

18
1953

სტადინის სახელმწიფო უნივერსიტეტის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



№48-57

გრამატიკა

Т Р У ДЫ

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
имени СТАЛИНА

48

სრული სახელმწიფო თბილის სახელმწ. უნივერსიტეტის გამოცემა
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

სტარინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



საქართველოს
გილდიონის მუზეუმი

გ რ ა მ ა ე ბ ი

Т Р У Д ы

ТБИЛІССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
имени СТАЛИНА

48

სტარინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაგამიშვილის
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

დაიბეჭდა სტაღინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დაგენილებით

პასუხისმგებელი რედაქტორი პროფ. ნ. კეცხოველი
საქ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი

୪୮. ପ୍ରମିଳେ

ଓ ନ ବ ବ ର ସ ର

୧. ଅ. ଜାନ୍ଯୁଲିୟେନ୍, କ୍ରମିକରେଣ୍ଟର୍ ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ	1
୨. ଶ. ପ୍ରସଂଗରେ ପାଠ୍ୟରେ, ମଧ୍ୟ ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ	15
୩. ପ୍ରେତେଜନ ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ, ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ	31
୪. ଶ. ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ, ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ	37
୫. ୬. ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ, ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ	43
୬. ୭. ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ, ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ	65
୭. ୮. ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ, ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ	75
୮. ୯. ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ, ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ	97
୯. ୧୦. ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ, ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ	111
୧୦. ୧୧. ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ, ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ	123
୧୧. ୧୨. ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ, ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ	131
୧୨. ୧୩. ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ, ପାଠ୍ୟରେ	143
୧୩. ୧୪. ପାଠ୍ୟରେ ପାଠ୍ୟରେ	157

СОДЕРЖАНИЕ

48. ТОМА

1. А. Джанелидзе, Проблема возникновения континентов	1
3. Ш. Чховребашвили, К геоморфологии верхней части бассейна реки Алазани	15
2. Кетевана Кавришвили, К установлению рубежей природных ландшафтov	31
4. Ш. Бебишвили, Установление частоты в частотно-модулизованном возбудителе на реактивных лампах	37
5. Н. Патарая, Гидродинамическое взаимодействие совместно движущихся в идеальной жидкости двух бесконечно длинных круговых цилиндров	43
6. Н. Тевзадзе, Вторая теорема о среднем для двойного интеграла	65
7. Л. Натадзе, Материалы к изучению развития и строения межглазничной области позвоночных	75
8. Г. Папалашвили, Некоторые закономерности исследования и его изменения в тутовом шелкопряде	97
9. Л. Кутубидзе, Роль <i>Lacerta strigata</i> Eichv в биоценозе . .	111
10. Гр. Джавелидзе, Некоторые материалы к изучению молодняков пресных вод Мегрелии	123
11. Ш. Чихистави, Материалы к изучению Самгорской орнитофауны	131
12. Л. Кутубидзе и А. Патаридзе, Живые организмы и условия их существования в б. Кукийском озере.	143
13. Г. Зардалишвили и Д. Уклеба, Указатель измененных имен городов СССР	157

პ. ჯანერიძე

ქონიგენეზების ნარმომბის პრობლემა*

წინა მოხსენებაში აღვნიშნავდი [4], რომ გეოლოგიურ კვლევას საფუძვლად უდევს მთელი რიგი პრინციპული დებულება, რომელთაც პიპოთების ხასიათი აქვთ, და რომ საჭიროა დროგამოშვებით ამ დებულებათა გადასინჯვა და კრიტიკული შემოწმება.

სულ სხვაგვარია დღევანდელი მოხსენების საგანი. კონტინენტებისა და ოკეანეების დიდი პრობლემა დღემდე ლია რჩება. არ არსებობს მისი გადაწყვეტის რაიმე სერიოზული, არათუ დამაკმაყოფილებელი, ცდაც კი. ამიტომ ჩვენ მოგვიხდება ლაპარაკა არა რომელიმე თეორიაზე ან პიპოთებზე, ამ საკითხის გადაჭრას რომ ისახავდეს მიზნად, არამედ თვით პრობლემაზე, მის შინაარსზე და აწინდელ მდგომარეობაზე. კონტინენტებისა და ოკეანეების პრობლემა გეოლოგის უდიდესი პრობლემა არის და ასეთი საკითხის თუნდაც მხოლოდ დაზუსტებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუ გზადაგზა ზოგი მეტად თუ ნაკლებად ორიგინალური მოსახრების გამოთქმაც მომიხდება, ეს გაგებული უნდა იქნეს არა როგორც გადაჭარბებული გაბედულება, არამედ როგორც საკითხის დასმაში მეტი გარკვეულობის შეტანის სურვილი. მეორე მხრით, ამჯერადაც ელემენტური და ყველასათვის ცნობილი ამბებით მოვიხდება დაწყება.

არც ისე შორს არის დრო, როდესაც ცნებები კონტინენტი და ოკეანე ხმელეთისა და წყლის სინონიმად ითვლებოდა. ამ წარმოდგენის მიხედვით წყალს მიწის ზედაპირის შემთხვევით უფრო დაბალი ადგილები ეჭირა და თითოეული აუზის უღრმესი ნაწილი სადმე შუაგულისაკენ უნდა ყოფილიყო. ასევე კონტინენტები მიწის ზედაპირის უფრო მაღალ ადგილებს წარმოადგენ. დნენ მხოლოდ და მათი უდიდესი სიმაღლეებიც უპირატესად შუაგულისკენ იგულისხმებოდნენ. სილრმისკენ მიწის ტემპერატურის ზრდის გამო დასკვნიდნენ, რომ მტკიცე ქერქის, ანუ ლითოსფეროს ქვეშ უნდა ყოფილიყო გამდნარი ფენა, ანუ პიროსფერო. ლითოსფეროს სისქე მიწის გარშემო დაახლოვებით ერთგვარი იგულისხმებოდა.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში კონტინენტების შესწავლამ და განსაკუთრებით კი ოკეანოგრაფიის წინსვლამ ეს წარმოდგენები რადიკალურად შესცვალა. გამოირკვა, რომ მაღალი მთები კონტინენტების შუაგულში კი არ

* მოხსენდა საქართველოს გეოლოგიურ საზოგადოებას 1952 წელის მაისის 9-ს.

არის, არამედ, როგორც წესი, მათ კიდევებზე. ის შემთხვევებიც, როდესაც მთები შუა კონტინენტზე მდებარეობენ, მხოლოდ მოჩვენებით გამოისახისა წარმოადგენენ: ესეც კონტინენტების კიდევებია, მხოლოდ კიდევები, სადაც ორი აღრინდელი კონტინენტი ერთმანეთს შეზრდია. ასევე ოკეანეების ულრ-მესი ნაწილი ნაპირებს მისდევს.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ კონტინენტის და ოკეანის საზღვარი ყოველთვის მეტნაკლებად უცარია და მეტიონ ბეჭობით გამოიხატება. ეს არის ე. წ. კონტინენტური ბეჭობი. ამგვარად წარმოიშვა კონტინენტური ზეგნებისა და ოკეანური აუზების ცნება. ეს ორი მორფოლოგიური გამონასახი ერთმანეთისაგან გაირჩევა ოკეანეებში წყლის არსებობის დამოუკიდებლადაც.

ეს დიდი პროგრესი იყო, მაგრამ ამაზე შეჩერება არ შეიძლებოდა. იზოსტაზისის თეორიის თანახმად ლითოსფერო მის ქვეშეთს უნდა ეყრდნობდეს, როგორც მოტივტივე სხეული. ამიტომ მაღალი კონტინენტური ზეგნის სხეული ღრმად უნდა ყოფილიყო პიროსფეროში ჩაფლობილი, ოკეანის ფსკერი — ბევრად ნაკლებად. ამის გამო ლითოსფერო კონტინენტურის ადგილას ძლიერ სქელი უნდა ყოფილიყო, ხოლო ოკეანის ქვეშ, პირიქით, თხელი. ამგვარად, ერთიანი სისქის მქონე ლითოსფეროს წარმოდგენა უკავდებულ იქნა და კონტინენტური ზეგნის ცნება კონტინენტური ბელტისამ შესცვალა.

ამავე ღრუს დღითიდლე იზრდებოდა გეოფიზიკის როლი მიწის აგებულების კვლევაში, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის დასაწყისიდან. გამოირკვა, რომ ფენაში, სადაც მანამდე გამდნარი პიროსფერო იგულისხმებოდა, მიწისძვრის ტალღების ორივე სახე ვრცელდება, გრძივიც და განივიც. პიროსფეროს წარმოდგენა განდევნილ იქნა მეცნიერებიდან. სამაგიეროდ, როგორც გრავიმეტრიამ, ისე სეისმომეტრიამ მტკიცედ დაადასტურა ძველი გეოლოგიური შეხედულება, რომ მიწის გარეფენა და მისი ქვეშეთი მეტიონ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან შედგენილობით. ეს არის სიალი, რომლის საშუალო შედგენილობა გრანიტისას უახლოვდება, და სიმა, რომლის შედგენილობა ბაზალტის თუ პერიდოტიტის მსგავსია. გამოირკვა ისიც, რომ სიალის ფენა უწყვეტი არ არის: კონტინენტური ბელტები ძირითადად სიალისაგან შედგებიან, ხოლო ოკეანეების ფსკერი ან შიშველს, თუ თითქმის შიშველს სიმას წარმოადგენს, როგორც წყნარი ოკეანის ცენტრული ნაწილი და ატლანტური ოკეანის ზეგი უბანი, ან სიალის ძლიერ თხელი ფენით არის დაფარული, როგორც ატლანტური ოკეანე ზოგადად და ინდოეთის ოკეანე. კონტინენტური ბელტები დღეს მიჩნეული არიან როგორც სიალის მეტად თუ ნაკლებად გათვისებული ბელტები. საქმაო საფუძველი არის ვითიქროთ, რომ უკანასკენლთა ქვედა საზღვარი მოპოროვიჩის ცვალების ზედაპირს ემთხვევა (30-ოდე კილომეტრის სილრმეზე), თუმცა მიწისძვრის ტალღების სისწრაფის მიხედვით ზოგი ფიქრობენ, რომ ამგვარად განსაზღვრული ფენის ქვედა ნაწილი შეიძლება უკვე კრისტალური ბაზალტისაგან შედგებოდეს ძირითადად და საკუთრივ სიალის საზღვარი უფრო მაღლა მდებარე ნაკლებ მეტიონ ცვალების ზედაპირს ემთხვეოდეს.

უკანასკნელი წარმოდგენა კიდევ რომ გამართლდეს, ის დებულები მაინც ძალაში რჩება, რომ კონტინენტები არსებითად სიაღისაგან შედგებიანება ხოლო ოქეანების ფსკერზე სიაღი ან სრულიად არ არის (წყნარი ოქეანი), ან თითქმის არ არის.

ყოველივე ამის მიხედვით უკვე შესაძლებელია დავაზუსტოთ კონტინენტების წარმოშობის პრობლემის შინაარსი. ეს იქნება პირველ რიგში სიაღის წარმოშობის და შემდეგ სიაღის წყვეტილობისა და კონტინენტურ ბელტებში მისი ლოკალიზაციის საკითხი. ამ ორი საკითხის გადაჭრა გადასწყვეტს ძირითადად მესამესაც, რომელიც აქამდე მთავარადაც კი შეიძლებოდა მიგველო, სახელდობრ, კონტინენტების ამაღლებული რელიეფის, კონტინენტური ზეგნებისა და ოქეანური აუზების საკითხს. მართლაც, თუკი სიაღის გავრცელება ლოკალიზებული იქნება, მისი რელიეფი იზოსტაზისის პრინციპის თანახრად ამაღლებული უნდა იქნეს, რადგან სიაღი საგრძნობლად უფრო მსუბუქია, ვიდრე სიმა. საჭირო იქნება მხოლოდ ზოგი დამატებითი გარემოების გათვალისწინება.

* * *

სანამ ლითოსფერო წარმოდგენილი იყო როგორც მღნარ პიროსფეროზე დაყრდნობილი მტკიცე ქერქი, კონტინენტებს ჰყულისხმობდნენ როგორც მიწის გაცივებისა და მისი გარე ფენის გამტკიცების შედეგს. ითვალისწინებდნენ, რომ ერთიანი ლითოსფერო ერთოვალ ვერ გაჩნდებოდა; ერთხანს ქერქის ნაფლეთები ხან იქ წარმოშობოდა, ხან აქ („როგორც ლაქები მზის ზედაპირზე“), მაგრამ მაღლ ისევ დნებოდა და იკარგებოდა. ბოლოს, ზოგი ასეთი კუნძული გადარჩა, როგორც მუდმივი. გარკვეული დროის შემდეგ ეს კუნძულები უწყვეტელმა ქერქმა ერთმანეთს დაუკავშირა, მაგრამ ბუნებრივად კუნძულების ადგილას ქერქი უფრო სქელი და მაღალი იყო—ეს არის კონტინენტების პირველი ჩანასახი, ხოლო მათ შუა უფრო თხელი და, მაშასა-ზამე, დაბალი—ეს იყო მომავალი ოქეანური აუზები. შემდეგში განმეორებითმა დანაკუთხებამ კონტინენტების ფართობისა და სისქის ზრდა გამოიწია.

როდესაც გამოირკვა, რომ მღნარი პიროსფერო არ არსებობს და მიწის ქერქი განსხვავდება ქვეშა ფენისაგან არა აგრეგატული მდგომარეობით ან არა მარტო აგრეგატული მდგომარეობით, არამედ უპირველეს ყოვლისა შედგნილობით, ეს ძეველი ახსნა, ცხადია, ველარ გამოდგებოდა.

პირველი აზრი, რომელიც ახლა უნდა მოსვლოდათ მკვლევარებს, იყო შეხედულება, რომ მიწის სიაღური ბრკის გამოყოფა მოხდა გეოლოგიურის-წინა დროში, როგორც ჯერ კიდევ თხევადი მიწის ნივთიერების გრავიტაციული დიფერენციალის შედეგი. მაშასადამე, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ გრანდიოზული პროცესისა, რომელმაც მიწის ცენტრისკენ რკინის გულის გამოყოფა გამოიწია. ცხადია, სიაღის ეს ფენი მთელი მიწის გარშემო უწყვეტი და დაახლოვებით ერთგვაროვანი სისქის უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში განედურ ზოლებში.

უკვე ოცნების ფსქერთან შედარებით კონტინენტების დიდი სისტემა აქვთ თეორიის წინაშე რთულ ამოცანას აყენებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც უკონტროლი რომ სიალი წყვეტილი არის, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. წარმოიშვა საკითხი, რომლის დაძლევა დღემდე შეუძლებელი რჩება.

მეორე მხრით, სითხეების ასეთი გრავიტაციული დიფერენციაცია ჰგულისხმობს მათს ურევადობას, წინააღმდეგ შემთხვევაში დიფუზიის გამო შედგენილობის მხოლოდ სრულიად თანდათანი ცვლა თუ იქნებოდა შესაძლებელი. მაგრამ პეტროგრაფებს დღეს საეჭვოდ არ მიაჩნიათ, რომ გრავიტული დაბაზალტური ან პერიდოტიტური მაგმები საგვებით შერევადი არიან.

ეს ორი გარემოება, ვთიქონობ, საკმაო არის, რათა ზემოხსენებული შეხედულება მცდარად მივიჩნიოთ. გარდა ამისა იგი მოკლებულია ინტერესს იმ მხრივაც, რომ მთლიანად სპეციალურია და გეოლოგიურ დაკვირვებათა კონტროლს გარეშე იმყოფება.

მეორე შესაძლებლობა არის სიალი პერიდოტიტური ან ბაზალტური მაგმის დიფერენციატად წარმოვიდგინოთ. დასაყრდენად შეიძლება ავილოთ პეტროგრაფებისათვის კარგად ცნობილი კრისტალიზაციური დიფერენციაციასე, როგორც ამ მოვლენას ბოლენი გვიხატავს და როგორც ეს ექსპერიმენტულადაც დადასტურებული არის.

მართლაც, სილიკატების კრისტალები საგრძნობლად (12-მდე პროცენტით) უფრო მძიმე არიან, ვიდრე შესატყვისი მდნარობი. ამას ემატება ისიც, რომ მაგმაში პირველ რიგში ზოგადად სწორედ უფრო მძიმე ფუძე მინერალები გამოიყოფა, რადგან მათი დნობის წერტილი უფრო მაღალი არის. ამიტომ ეს კრისტალები ნელ-ნელა უნდა დაიძირონ და მაგმის ქვედა ნაწილი უფრო ფუძე შეიქმნეს, შედა უფრო მჟავე. ექსპერიმენტი ადასტურებს ამ გზით პერიდოტიტური მდნარობიდან გრავიტაცის მიღებას.

ეს, უეჭველია, მნიშვნელოვანი ფაქტია, მაგრამ საკითხის გადასაჭრელად არ კმარა. როგორც დელი [6]. აღნიშნავს, ბუნებაში არ არის ცნობილი ისეთი შემთხვევა, რომ ფუძე ინტრუზიის, თუნდაც ძლიერ სქელის, სახურავში გრანიტი ეპოვოთ, როგორც დიფერენციაციის შედეგი. სადაც კი ამის მსგავსი რამეა, ყოველთვის შესაძლებელი არის მოვლენა ასიმილაციით იახსნას. მაგრამ აქედან დელი ისეთ დასკვნას როდი აყეთებს, თითქმ ფუძე მაგმის კრისტალიზაციურ დიფერენციაციის არ შეეძლოს გრანიტული შედგენილობის ფრაქცია მოგვცეს. ის ფიქრობს, რომ კრისტალიზაციური დიფერენციაციით გრანიტი მიიღება, მაგრამ მხოლოდ თანდათანობრივ, თუ დაკრისტალება და გადნობა მრავალჯერ გამეორდება. პროცესის ყოველი ახალი გამეორება უფრო და უფრო სუსტა პროცესს მოგვცემს.

მაშასადამე, საკითხი სახეს იცვლის. კრისტალიზაციური დიფერენციაცია სიალის წარმოშობის ასახსნელად კმარა, მაგრამ საჭიროა ისეთი მექანიზმი, რომ მრავალგზის დაკრისტალება გამოიწვიოს. ასეთ მექანიზმს დელი თვითონვე პროცესს. ის აღნიშნავს, რომ მთვარე, სულ ერთია, მას მიწიდან მოწყვეტილად ჩავსთვლით, თუ მიტაცებით დაჭრილად, დასაწყისში მიწასთან ძლიერ ახლოს უნდა ყოფილიყო, ჯ. დარჯინის მიხედვით 18-ოდე ათასი კი-

ლომეტრის მანძილზე. ასეთ პირობებში თვის ხანგრძლივობა მხოლოდ წუთისად საათი იქნებოდა, ხოლო მოგარეული მიმოქცევის ძალა ძლიერ და დამატებული ეს გამოიწვევდა მიწის ზედაპირზე მომოქცევის უზარმაზარ ტალღებს. აზევებისას ნივთიერების გადასვლა მაღალი ტემპერატურისა და წნევის პირობებიდან შედარებით დაბალი წნევისა და ტემპერატურის პირობებში და თან გაზების დაკარგვა კრისტალიზაციას გამოიწვევდა, ხოლო ისევ დაძირვა—გადნობას. ამ პროცესის ისევ და ისევ გამოიწვევდა კრისტალიზაციური დიფერენციაციის გზით მიწის ჰერიდოტიტურ სამოსხე სიაღური ფენის წარმოშობას.

როგორც ვხედავთ და როგორც თვით ავტორიც აღნიშნავს, ამ ჰიპოთეზის საფუძველი მთლიანად სპეციალურია და გეოლოგიის კონტროლის გარეშე მდებარეობს. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი მისი ნაკლი. პირველ რიგში საკითხავია, მიწის ზედა ფენის ისეთი ხშირი და ინტენსიური აწევდაწევა, როგორც აქ არის ნაგულისხმევი და ნელრევას ემსავსება, დიფერენციაციის გამოიწვევდა, თუ, პირიქით, თანდათან სრულ მექანიკურ არევასა და შედეგენილობის გაერთგაროვნებას.

გარდა ამისა, გეოლოგიურისწინა დროში წარმოშობილი სიაღის ეს ფენა მთელ მიწაზე გავრცელებული უნდა იყოს და დელი ისევე, როგორც სხვები, ამაოდ ცდილობს სიაღის შემდეგში კონტინენტებად შეკრების ახსნა.

ამრიგად, დელის ჰიპოთეზი მოკლებულია რეალურ ლირებულებას, მაგრამ არა მთლიანად. მისი საფუძველი, კრისტალიზაციური დიფერენციაცია, სიაღის წარმოშობის თითქო ისევ ერთადერთი გზა რჩება. სჭრია ის მოსაზრებაც, რომ ჯეროვანი ეფექტის მისაღებად საჭიროა დაკრისტალება-გადნობა მრავალგზის გამეორდეს. მაგრამ ამისათვის სრულიადც საჭირო არ არის საეჭვო კოსმოგონიურ ჰიპოთეზებს მიემართოთ.

ორიოდე წლის წინათ მე აღნიშნე, რომ ოროგენეზისი წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომელსაც შეუძლია ამ პროცესის დამაკმაყოფილებელი ახსნა მოგვცეს. ოროგენში განმეორებული აზევება და დაძირვა მიმდინარეობს. აზევება მაგმის გაცივების, წნევის შემცირებასა და გახსნილი გაზების გამოყოფას იწვევს. ამას შედეგად კრისტალიზაცია და კრისტალიზაციური დიფერენციაცია უნდა მოჰყევს. როდესაც დაძირვა დაიწყება, პირობები საჭინააღმდეგო მიმართულებით იცვლება. ამას შედეგად ქანის ნაწილობრივი ან სრული გადნობა მოჰყება. ორივე შემთხვევაში პირველად გადნება მუავე მინერალები, რომელთა დნობის წერტილი უფრო დაბალია და რომელიც აზევებისას უკანასკნელნი დაკრისტალდნენ. ეს უფრო მუავე და უფრო მოძრავი ნივთიერება ქანის პორებში იქნება მოთავსებული და, როგორც ვაალი აღნიშნავს, ცალმხრივი წნევა მის გამოწურვას გამოიწვევს. მუავე და მსუმბუქი ნივთიერება ზევითკენ გადაიწევს, დაძირვის ეფექტი აზევების შედეგს მიემატება. ამ პროცესის ისევ და ისევ გამეორება უფრო და უფრო სრულყოფილი გრანიტული შედეგის დიფერენციაცის გამოჰყოფს.

ოროგენეტული აწევდაწევა საკმაოდ ნელა მიმდინარეობს და დიფერენციაციის პროცესის დიდი მასშტაბით მწყობრად განვითარების საშუალებას იძლევა. იმ მექანიკურ ნელრევა-არევას, რომელიც დელის ჰიპოთეზის შემთხ-



ვევაში აუცილებელი ჩანს, აქ ადგილი არ ექნება. მეორე მხრით, უსამარტინო წარმოშობა ამ შეხედულებით გეოლოგიური დროის მოვლენაა და დღესაც უნდა გრძელდებოდეს.

როგორც ვხედავთ, ჰიპოთეზი ცნობილ გეოლოგიურ მოვლენებს ემყარება, მთლიანად გეოლოგიის სფეროში ტრიალებს და კონტროლის საშუალებას იძლევა.

ვისარგებლოთ ამ გარემობით.

ჩვენი ჰიპოთეზის შემოწმების ერთი გზა გეოქიმიური შეიძლებოდა ყოფილიყ. ჰიპოთეზის დედაბიზი იმაში მდგომარეობს, რომ დიფერენციაციის შედეგად გამოყოფილი სიალური მასალა მით უფრო მეტვე იქნება, მით უფრო გრანიტული, რაც უფრო მეტვე ექნება. მას გავლილი დაწმენდის ხემოსხენებული ციკლი. ამიტომ უძველესი სიალი, ახლად გამოყოფილი, შედარებით ფუძე უნდა ყოფილიყ, ხოლო შემდეგ ისევ და ისევ გადამუშავების შედეგად ის უფრო და უფრო მიუხსოვდებოდა გრანიტების შედეგნილობას. მაშასადამე, უძველესი სიალი, მაგ., არქეულის ქვედა ნაწილი, და ახალგაზრდა ფორმაციები თითქო მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდნენ.

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შეხედვით. ნამდვილად ოვით იმ უძველეს არქეულს შეიძლება არა ერთი ოროგენეტური პროცესი ჰქონდეს გავლილი, არაერთი რატინება განეცადოს და გრანიტიზაციის გვიან სტადიას წარმოადგენდეს. ეს უპეველად ასეც არის. მეორე მხრით, ახალი სიალი შედგება არა მარტო ძველი სიალის გადამუშავებული და ზედმეტად რატინებული მასალისაგან, არამედ ფუძე მაგმის ახალი დიფერენციატისგანაც, ასე გთქათ, იუგანური სიალისგანაც. უკანასკნელის შედეგნილობა უფრო ფუძე იქნება და საერთო საშუალოზედაც გავლენას მოახდენს. შესაძლებელია ამ გეოლოგიურად ახალი სიალის შედგენილობა გრანიტიზაციის უფრო დაბალ საფეხურს გამოხატავდეს, ვიდრე ძველის. ამას უნდა დაუუმატოთ ისიც, რომ ოროგენის განვითარების პროცესში ხდება სიალში ფუძე მაგმის უზარმაზარი რაოდენობის შეჭრა ინტრუზიების და განსაკუთრებით ეფუზიების სახით და ამან არ შეიძლება არ შესცვალოს მისი საშუალო შედეგნილობა. ასე რომ, შეუძლებელია სიალის გეოლოგიურ სიძეველეს მისი გრანიტიზაციის ხარისხი დავუკავშიროთ.

ამ ოვალსაზრისით უნდა გადაისინჯოს ჩემ მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრებები პეტროგრაფების მიერ შუა ციმბირის ფარის ქანების ქიმიური შედეგნილობის შესწავლის შედეგების შესახებ. პრიროდა-ში გამოქვეყნებული წინასწარი ცნობების მიხედვით [5] იქაური უძველესი არქეულის საშუალო შედეგნილობა საგრძნობლად განსხვავდება გრანიტისაგან და რამდენადმე ბაზალტისას უახლოვდება. ეს ძლიერ საინტერესოა, მაგრამ ჩვენი ჰიპოთეზი-საფის არადამარტინებელი. ასეთ მონაცემებზე დაყრდნობით ასაკობრივი სიძეველის დასკვნა მხოლოდ ერთხელვე მოცემულ სიალში პროგრესიული გრანიტიზაციის მოვლენას ითვალისწინებს, ხოლო იუგანური სიალის წარმოშობას სავსებით უგულებელყოფს ისევე, როგორც ფუძე მაგმის ახალ-ახალი პორციების მიმატებას.

ჩვენი პიპოთების შესამოწმებლად სულ სხვა მეთოდი იქნებოდა **საჭირო** უნდა აგველო ოროგენის განვითარების საწყისი სტადია: მაგ., მარიანთ კუნძულები ზურგობი, და შეგვესწავლა მისი საშუალო ქიმიური შედგენილობა, შეგვედარებია ძველი ქედების ქიმიური შედგენილობისათვის და, თუ აღმოჩნდებოდა, რომ პირველი ნაკლებად უახლოვდება საშუალო გრანიტისას, ჩვენი წარმოდგენა ერთგვარად დადასტურებული იქნებოდა. სამწუხაროდ, ასეთი მასალა არ არსებობს.

კონტროლის მეორე, უფრო უშუალება გეოლოგიური არის: თუ ჩვენი წარმოდგენა მართებული არის, სიალის გავრცელება ოროგენეზისისას უნდა დაემთხვეს. მართლაც, ცნობილია, რომ კონტინენტური სხეულები ერთობორის მომდევნო ოროგენეტური ციკლების შედეგს წარმოადგენენ. უძველესმა ციკლებმა კონტინენტების უძველესი გული მოვცეს და შემდეგ ამას ახალ-ახალი ოროგენეზისის შემდეგ ახალ-ახალი ზოლი ემატებოდა მთების მიგრაციის წესის შესაბამისად [1,2]. პიპოთების თანახმად სიალის გავრცელებაც ამ კონტინენტებისას დაემთხვევა. ასეთია ობიექტური ფაქტებიც.

თუ ჩვენს პიპოთების უკუვაგდებთ, იძულებული ვიქნებით დაუშვათ, რომ რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო ოროგენეზის მხოლოდ იქა აქვთ იდგილი, სადაც სიალი არის. ჩვენი წარმოდგენით კი ბუნებრივი კანონზომიერება აღინიშნება: სიალი მხოლოდ იქ წარმოიშობოდა, სადაც ოროგენეზის უმოქმედნია. ამითვე აღხსნება, რომ კონტინენტების ღრმა ნაწილი ე. წ. „ფუძის კომპლექსი“ ყოველთვის დანაოჭებული არის.

არის კიდევ უფრო ზუსტი კონტროლის საშუალებაც. ჩვენი პიპოთების მიხედვით იქ, სადაც ოროგენი პირველად ვითარდება ოკეანის ფსკერზე, სიალი ძლიერ თხელი უნდა იყოს. სწორედ ასეთია სურათი წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ კიდეზე, სადაც ერთ-ერთი წინა წერილში ოროგენის დაბადებას აღნიშნავდი [2]. ასევე ითქმის ატლანტური ოკეანის [3] და ინდოეთის ოკეანის შესახებაც.

დასასრულ, თუ სწორია შეხედულება, რომ მაგმის კრისტალიზაციური დიფერენციაცია ოროგენეზისთვის არის დაკავშირებული, მაშინ ახალგაზრდა ოროგენსა და ოკეანის ანოროგენულ ფსკერს შორის საზღვარი პეტროგრაფიულ საზღვარს უნდა წარმოადგენდეს. მართლაც, ცნობილია, რომ ჩრდილო-დასავლური წყნარი ოკეანის ოროგენის საზღვარი იყეანის ცენტრისაკენ ე. წ. ანდეზიტურ ხაზს ემთხვევა [2]: ხაზის აღმოსავლეთით ოკეანეში მხოლოდ ბაზალტური ლავა გვაძეს, დასავლეთით — ანდეზიტური ლავა და გრანიტიც.

*
**

ყოველივე თქმულიდან ნათელი არის, რომ წარმოდგენილი პიპოთების გეოლოგიური კონტროლის შესაძლებლობა არა მარტო პრინციპულად დასტურდება, ფაქტურადაც მოსახერხებელი არის და ამ კონტროლის შედეგი სავსებით დამაკმაყოფილებელი ჩანს. მაინც ჩემი შეხედულების სისწორის გადამწყვეტი შემოწმება, კვიქრობ, სხვაგვარად უნდა მოხდეს. გამოსაცდელად უნდა გამოვიყენოთ სიალის წყვეტილობის მოვლენა. როგორც ვიცით, ეს

მოვლენა მეცნიერებაში დღემდე აუხსნელი რჩება. ვეგენერი ჰეტლესებმობისა რომ სიალის ბრე დასაწყისში მთლიანი იყო მიწაზე და მხოლოდ შემტკიცებულება რაღაც უცნობია მიზეზმა დასწყვიტა და ეს ნაწყვეტები, ისევ უცნობი მიზეზის გამო, ერთად შეჯგუდნენ: წარმოიშვა ერთი დიდი კონტინენტი, პანგეა. უკანასკნელი უფრო გვიან ისევ რაღაც უცნობი მიზეზის გამო დაწყდა და ახლი ნაწილები თანამედროვე კონტინენტების სახით ერთმანეთს დაცილდნენ.

დელიც ფიქრობს, რომ სიალური ფენა დასაწყისში მთელ მიწას ჰქარავდა, ოღონდ ნაწყვეტების სახით: ერთ მთლიან ქერქად ჯერ კიდევ არ შეერთებულიყო. მთვარე ამ დროს, როგორც ზემოთაც ვსთვით, ისე ახლოს იყო მიწასთან, რომ თვის ხანგრძლივობა ხუთიოდე საათს არ აღემატებოდა. მთვარის მიერ მიზიდება უკვე გამტკიცებული სიალის ნაწყვეტების მოძრაობას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ძლიერ აფერხებდა. დელიც ფიქრობს, რომ მერიდიანულად წაგრძელებული დიდი ნაწყვეტების სისწრაფე უფრო ნაკლები იქნებოდა, ვიღრე პატარების. უკანასკნელი დიდს დაეწეოდნენ და შეუერთდებოდნენ. ამგვარად, ბოლოს მთელი სიალი ერთ (?) კონტინენტად შეიკრიბებოდა, როგორც ვეგენერის პანგეა. შემდეგ ეს კონტინენტი ისევ ცალკე კონტინენტებად უნდა დანაწილებულიყო (დევონურს აქეთ) დაახლოვებით ვეგენერის სქემისებურად.

როგორც ვხედავთ, ეს თავშეუკავებელი სპეციულაცია კიდევ უფრო ნაკლებად დამაგებულფილებელი არის, ვიღრე ვეგენერის ჰიპოთეზი. ამის ნაცვლად აქ წარმოდგენილი ჰიპოთეზი სიალის წყვეტილობის საკითხს სრულიად მარტივად და რაღიკალურად სწყვეტს. არც ჰიპოთეზი სიალის დაწყვეტაა საჭირო, არც მისი ისევ შექრება და ხელახალი დაწყვეტა. სიალი თავიდანვე წყვეტილი იყო. ის იქვე არის, სადაც წარმოიშვა, ხოლო სადაც სიალი არა გვაქვს, იქ არც ყოფილა.

ყველაფერი თითქო ნათელია. მაგრამ აქ შეიძლება ერთი გაბედული ნაბიჯი კიდევ გაღავსტებათ და ახალი საკითხი წამოგაყენოთ, რომელზედაც პასუხი დღემდე არავის გაუცია. სახელდობრ, ვსთვეთ, სიალი და კონტინენტები იქ განვითარდნენ, სადაც ოროგენეზისი მიმდინარეობდა, მაგრამ რატომ არ იყო ეს ოროგენეზისი ყველგან, რატომ არის ოროგენეზისიც, სიალიც და კონტინენტებიც გარკვეულ ადგილებში ლოკალიზებული და განაგებს თუ არა ამ ლოკალაზციას რაიმე კანონზომიერება? ასეთ კითხვაზე რაიმე გარკვეული პასუხის გაცემა აწინდელ მდგომარეობაში თითქმის უიმედო საქმედ ჩანს. მაგრამ ერთგვარი ცდა, თუნდაც სპეციალით დატვირთული, მანც გამართლებული იქნება, რადგან ყოველი გარკვეულად ფორმულებული კითხვა სათანადო პასუხის ძებნას ფსიქოლოგიურად აუცილებელს ხდის.

დაგიწყოთ თანამედროვე კონტინენტების მოხაზულობით და მდებარეობით. სწორედ ამ მოვლენას ხშირად მიუქცევია ყურადღება. კარგად ცნობილი ფაქტებია: კონტინენტების თავმოყრა ძირითადად ჩრდილო ნახევარსფეროში; მათი სოლისებური დაბოლოვება სამხრეთისაკენ სამ წყებად; ოკეანე ჩრდილო ჰოლუსზე და კონტინენტი სამხრულზე,—საერთოდ წყლისა და ხმელის ანტი-

პოდური განლაგება... ყველა ამ დაკვირვების თვალსაჩინოს ხდის და ფრასტული კული მცველობით გამოხატავს მიწის ქერქის გებულების ტეტრადლულებას კონცეპცია: ტეტრაედრის წახნაგები — ჩრდილო, წყარი, ატლანტური და ინდოეთის ოკეანები; სამწახნაგოვანი კუთხები, — კანადის, ბალტიური, ანგარისის და ანტარქტიის ძველი ფარები; წიბოები ჩრდილო პოლუსის გარშემო და ორი ამერიკის, ევროპა-აფრიკისა და აზია-ავსტრალიის გასწვრივ. არაჩვეულებრივ მარტივი და სწორედ ამიტომ ძლიერ ლამაზი სინთეზი არის, რომელიც კარგად ემთხვევა ცნობილ ფაქტებს. ტეტრაედრი, რა ოქმა უნდა, მრავდწახნაგოვანი უნდა წარმოვიდგინოთ, მაგრამ, როდესაც უფრო შორს მიღიან და მეტი სიზუსტის მიზნით წახნაგებზე პირამიდებს აგებენ, ეს უკვე თავის მოტყუება არის და თან ამ წარმოდგენას მთავარი ღირსება, სიმარტივე ეკარგება.

არაერთხელ აღნიშნულა, რომ მიწის ქერქის ტეტრაედრული სქემა, როგორც დაკვირვებითი ფაქტი, შეუძლებელია უარყოფილ იქნეს, მაგრამ რას წარმოადგენს ეს ფაქტი? ეგებ ეს დამთხვევა მხოლოდ შემთხვევის მოვლენა იყოს ისე, როგორც იქნებოდა ზოგჯერ ქარწანარეკი ლრუბლის ნაფლეთის მოხაზულობის მიმსგავსება, ვსთვავთ, აქლემისათვის. თუ ასეა, ტეტრაედრული სქემა მხოლოდ უბრალო მნემოტექნიკური ხერხი იქნებოდა კონტინენტების კონფიგურაციისა და განლაგების დასამახსოვრებლად.

მაგრამ ბევრი რამ გვაფიქრებინებს, რომ ტეტრაედრული სქემა რაღაც კანონზომიერებას უნდა გამოხატავდეს. ძნელია, მაგალითად, შემთხვევითად ჩაესთვალოთ ის გარემოება, რომ მიწის ბრუნვის ღერძი სწორედ ტეტრაედრის ერთ-ერთ ღერძს ემთხვევა. ტეტრაედრული ჰიპოთეზის ამოცანა არის არა ზემოხსენებული მსგავსების აღნიშვნა, არამედ სწორედ ის, რომ ტეტრაედრული სქემის უკან გარკვეული მიზეზი აღმოაჩინოს.

ცნობილია, თუ როგორ აღწევს ჰიპოთეზი ამ მიზანს. იწყება დაშვებით, რომ, როდესაც მდნარ მიწას გაცივების გამო მაგარი ქერქი გადაეკრა, ის პვლავ განაგრძობდა გაცივებას. თუკი დაცუშვებთ ერთ დროს გამდნარი პლანეტის არსებობას, ეს წარმოდგენა საეჭვო არ არის. სხვა გზითაც იმავე დასკვნამდე მივალთ: თუ გაციზიარებთ იმ შეხედულებას, რომ დღეს მიწა არ ცივდება, რადგან მიწის სითბოს ბალანსი რადიოაქტიური სითბოს მეოხებით წონასწორობის მდგომარეობაში არის, წარსულში მიწა აუკილებლად უფრო თბილი უნდა ყოფილიყო და, მაშასადამე, გაცივებულიყო, რადგან წინათ რადიოაქტიური სითბო მეტი იქნებოდა.

მაშასადამე, მიწა ცივდებოდა და აუკილებლად იკუმშებოდა. მაგრამ მაგარი ქერქის შეკუმშვე ნაკლები იქნებოდა, ვიდრე გამდნარი შიგნეთის. მალე ქერქი გულისათვის სრული აღმოჩნდებოდა და, რადგან ქერქი იმდენად მაგარი არ არის, რომ თავისი წონა თვითვე ზიდოს, წამოიჭრებოდა ქერქის დაპატარა ვებულ გულზე ისევ მორგების აუცილებლობა.

წონასწორობის პირობებში ქერქი მთელი თავისი წონით შიგნეთზედ არის დაყრდნობილი. ამიტომ შეკუმშვის გრავიტაციული ეფექტი თანდათან გაიზრდება, ნულიდან დაწყებული. სანამ ეს ძალა ქერქის ელასტიკურობის

ფარგლებს არ გასცილებია, მას მხოლოდ ქერქის უწყვეტი დეფორმაცია შეიძლება ლია. გამოიწვიოს. როგორი იქნება ეს დეფორმაცია?

ქერქის სფერო რომ დაპატარავებულ გულს ისევ მოერგოს, საჭიროა მისი ტევადობა შემცირდეს, მაგრამ აკეთ, მეორე მხრით, მისი მასალა მეტად ვეღარ შეიკუმშება, ეს ისე უნდა მოხდეს, რომ მისი ზედაპირის ფართობი უცვლელი დარჩეს. უნდა მივიღოთ ისეთი სხეული, რომელსაც ერთისა და იმავე ზედაპირისათვის მინიმალური მოცულობა ექნება.

გეომეტრიიდან ვიცით, რომ სფერო არის ისეთი სხეული, რომელსაც გარკვეული ზედაპირისათვის უდიდესი მოცულობა აქვს. უმცირესი მოცულობა, პირიქით, აქვს ტეტრაედრის. მაშასადამე, ზემოხსენებული ამოცანის ყველაზე უფრო ეკონომიური გადაჭრა იქნებოდა, თუ მიწის ქერქი ტეტრაედრის ფორმას მიიღებდა. ეს თეორიული წარმოდგენა ექსპერიმენტულადაც დადასტურებული არის: თუ თხელკედლიან ღრუ სფეროში ჰაერის გაიშვიათებას ფრთხილად აწარმოებენ, სფერო ტეტრაედრის ფორმას ღებულობს.

მიუხედავად ასეთი კარგი საბუთებისა, ტეტრაედრული ჰიპოთეზი მაინც სერიოზულ ყურადღებას ვერ იპყრობდა და ამას მრავალი მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, თუ ეს ჰიპოთეზი სწორია, კონტინენტებისა და ოკეანების განაწილების ხასიათი იმთავითვე და ყოველთვის ტეტრაედრული უნდა ყოფილიყო. ამას კი ეწინააღმდეგება ატლანტიკი, ინდოეთის და თვით წყნარ აკეანეში დაძირული კონტინენტების ტრადიციული წარმოდგენა. მაგრამ ღლეს გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ოკეანეთა ფსკერის შედგენილობა ასეთ წარმოდგენას ყოველგვარ საფუძველს აკლის. ეს სიძნელე დაძლეულია.

ტეტრაედრულ ჰიპოთეზს ეწინააღმდეგება ვეგენერის და მისთანა თეორიებიც, მაგრამ ღლეს გამართლებული აღარ იქნება ეს, სულ მცირე რომ ეს სტერილული კონტინენტების ტრადიციული წარმოდგენა. მაგრამ ღლეს გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ოკეანეთა ფსკერის შედგენილობა ასეთ წარმოდგენას ყოველგვარ საფუძველს აკლის. ეს სიძნელე დაძლეულია.

მაგრამ არის სხვა უფრო სერიოზული გარემოება. იმისათვის, რომ ღრუ სფეროს ტეტრაედრული დეფორმაცია მივიღოთ, საჭირო არის, რომ სფერო სრულიად ერთგვაროვანი იყოს (შედგენილობა, სისქე). მიწის ქერქი კი, რომელიც სიმასა და სიალის ბელტებისაგან შედგება, თავისი ხასიათით ამ პირობას აბსოლუტურად ეწინააღმდეგება. თვით კონტინენტების არსებობა გამორიცხავს ტეტრაედრული დეფორმაციის შესაძლებლობას.

ეს უდავო, მუგრამ, ვფიქრობ, მაინც მოჩენებითი დასკვნაა. საქმე ის არის, რომ ტეტრაედრული დეფორმაცია არც არის საგულისხმევი თანამედროვე პირობებში. დღეს ხომ გაცივებამ კონტრაქციული თეორიის თანახმად დანაოჭება უნდა გამოიწვიოს. ამიტომ ტეტრაედრული დეფორმაცია, თუ ის არსებობს, ძველი ამბავი უნდა იყოს. მეორე მხრით, ჩვენ ალვნიშნეთ, რომ სიალის ბელტები ყოველთვის როდი არსებობდა. მიწის პირველი ქერქი პერიდოტიტური უნდა ყოფილიყო და თან არავითარი საფუძველი. არა გვაქვს წარმოვიდგინოთ იგი სხვაგვარად, თუ არა როგორც ზოგადად ერთგვაროვანი. აი, ამ ქერქს შეეძლო განეცადა ტეტრაედრული დეფორმაცია. თანაც, რაკი მწა ბრუნავს, ბუნებრივია, რომ ტეტრაედრის ერთ-ერთი ღრები მიწის სიმეტრიის ღერძს დამთხვევოდა, ხოლო ტეტრაედრის შეერთები შეიძლე-

ბა წარმოვიდგინოთ, როგორც კანადის, ბალტიური, ანგარისის და უკანონო ტისის ფარების პირველი კვანძი.

ამგვარად, კონტინენტების ჩანასახები მოცემული არის. რას წარმოადგენენ ისინი? ტეტრაედრის სამწახნაგოვანი და ორწახნაგოვანი კუთხეების წიბოები გეოიდის წონასწორობის ზედაპირის მიმართ უეჭველად აზევებული არიან. ასეთი აზევება მხოლოდ მაგარი ქერქის არსებობის პირობებში არის შესაძლებელი და ამ ქერქის მექანიკური გამდლეობით ისაზღვრება, რადგან აზევება გრავიტაციის წინააღმდეგ ხდება.

აზევების მაქსიმუმი სამწახნაგოვანი კუთხეების წვეროებს ემთხვევა. მან აუცილებლად უნდა გამოიწვიოს წნევის შემცირება ქერქს ქვეშ. ამას მოჰყვება გაზების გამოყოფა, მაგრამ მეტი მოძრავობა და ეფუზიური ვულკანიზმის გალვივება. მეორე მხრით, ამ შვერილების წარმოშობა გამოიწვევს მეტი სითბოს დაკარგვას და უფრო ინტესიურ გაცივებას, რასაც ვულკანიზმიც ხელს შეუწყობს. დაიწყება მაგრამ კრისტალიზაცია ქერქს ქვეშ სათანადო ღიფერენციაციით.

ამავე ღროს ზედაპირზე იწარმოებს გამოფიტვა და დენუდაცია, იზოსტაზისური აზევებით. დენუდაციის მასალა დაღმა გადაიტანება და იწყება მისი დალექვა, რასაც ფსკერის იზოსტაზისური დაძირვა უნდა მოჰყვეს ყველა შესატყვის შედეგებით. ჩვენ გვექნება გეოანტიკლინური თაღი ან ზურგობი და გეოსინკლინები მის ფრთხებზე, ე. ი. ნამდვილი ოროგენი. კონტინენტების ჩანასახები თროგენებს წარმოადგენენ.

როგორი იქნება მდგომარეობა ამ ოროგენებს გარეთ? პირველხანად ტეტრაედრის ზედაპირი აღბათ მშრალი იყო, მაგრამ უეჭველია, მალე წყალი უნდა გაჩინილიყო: ტეტრაედრის წახნაგების ზედაპირი ოკეანეებად რქცეოდა. თუ ამ ოკეანეებში წყლის ცირკულაცია თანამედროვეის მსგავსი იქნებოდა, და უნდა ვითქმიროთ, რომ იქნებოდა, რადგან ჩრდილო პოლუსი ოკეანეს უნდა დაეჭირა, ოკეანის ფსკერის ტემპერატურა მუდმივი და დაბალი უნდა ყოფილიყო. თანამედროვე პირობებში, როგორც ვიცით, ოკეანის ფსკერის ტემპერატურა დაახლოვებით 0°S უდრის და უცვლელი არის. თუ მივიღებთ მხედველობაში სიმაღლეთა სხვაობას (დაახლოვებით 4500 მ), გეოთერმიულ გრადიენტს ($0,03 \text{ გრად/მ}$) და მიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურას (14°), კონტინენტების ტემპერატურა იმავე დონეზე დაახლოვებით 150° იქნება.

ტეტრაედრის წახნაგებს აზევება არ განუცდია, ქერქი აქ მთელი თავისი სისმიმით ქვეშითს აწვება—პირობები გეოანტიკლინურის საჭინააღმდეგოა. დაბალი ტემპერატურის გამო ქერქი უფრო მტკიცე იქნება, ხოლო ტემპერატურის უცვლელობა მის სტაბილობას ზრდის. გამოფიტვა და სედიმენტაციაც აქ უმნიშვნელოა, ასე რომ ყველაფერი ოროგენის განვითარებას ეწინააღმდეგება.

როგორც ვხედავთ, პირველი წყალი ოკეანეებში იმიტომ დაგროვდა, რომ ეს დაბალი აღგილი იყო, მაგრამ შემდეგში თვით წყალი განსაზღვრავს

ოკეანის ბედს. რამდენადმე გამართლებული იქნება გამოთქმა, რომ უკუცველებელი აუზიც წყლის შექმნილია ისევე, როგორც ხეობები მდინარეებისა.

ამიერიდან ოროგენების გაფართოვება მხოლოდ კონტინენტური კვანძებისა და ოკეანის საზღვარზე არის შესაძლებელი და იწყება კონტინენტური ბის ზრდა ოროგენის მიგრაციის ცნობილი მექანიზმის თანახმად. კონტინენტური ბის ზრდასთან ერთად მიმდინარეობს სიალის განვითარებაც. რაკი მიწის ქერქი ერთგვაროვანი აღარ არის და რაკი მიწის ქერქის ერთობლივ დეფორმაციას ქერქის სიმაგრის შეზღუდულობა გარკვეულ საზღვარს უდებს, ახლა ტეტრა-ედრული დეფორმაცია შესაძლებელი აღარ არის და მის აღგილს დანაოჭება იჭერს. ქერქის ტეტრა-ედრული ფორმა თანდათან იჩრდილება და დღეს საკმაოდ შენიღბული არის. ამ ზოგად მოვლენას უნდა დაუუმატოთ დიდი განედური რღვევა, ხმელთაშუა ზღვის სარტყლის სახელით ცნობილი, რომლის ახსნა ცალკე ამოცანას წარმოადგენს.

თითქო ყველა კითხვაზე ასე თუ ისე პასუხი გავვცით. ერთილა დაგვრჩა: კონტინენტური ბის ზეგნური რელიეფის ახსნა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონტინენტური ბის მაღალი რელიეფის მიზეზი თავისითავად გასაგები ხდება: კონტინენტური ბის პირველივე ჩანასახები ოროგენულ აზევებას წარმოადგენდნენ და შემდეგ, როდესაც სიალი განვითარდა, თავისი შედგენილობისა და იზოსტაზისის პრიციპის მიხედვითაც ამაღლებული მდებარეობა უნდა მიეღოთ. მაგრამ რატომ არის კონტინენტის საზღვარი ოკეანისაკენ ყველა მხარეზე უცარი? ეს გასაგები იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ კონტინენტი օროგენეზისის მეშვეობით იზრდება და კონტინენტის კიდე წარმოადგენს ოროგენის საზღვარს ოკეანის უფრო მტკიცე ფსკერისაკენ.

ჩვენი ამოცანა კონტინენტური ბის წარმოშობის პრობლემის გაშუქება იყო. გზადაგზა, ბუნებრივად, ოკეანებზედაც მოგვიხდა ლაპარაკი. თითქო შეიძლებოდა მოხსენების სათაური გავვეფართოვებია და მისთვის კონტინენტური ბის და ოკეანების წარმოშობის პრობლემა გვეწოდებია. მაგრამ ეს სწორი არ იქნებოდა. ჩვენ მხოლოდ ოკეანურ აუზებს შევეხეთ, ხოლო შიგ მოთავსებული წყლის შესახებ არაფერი გვითქვამს. ეს კი იგივეა, რაც სიალის პრობლემა კონტინენტური ბისათვის.

წინათ საკითხი მარტივი ჩანდა: მიწის გაცივების პროცესში გარკვეულ მომენტში მიწის ატმოსფეროდან წყალი უნდა დალექილიყო. დღეს ამას ვეღარ ვიტაროთ, ყოველ შემთხვევაში დაბეჯითებით ვეღარ ვიტაროთ. ასტროფიზიკოსები საკმაოდ დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ მიწას თავისი პირველელი ატმოსფერო მთლიანად ან თითქმის მთლიანად უნდა დაეკარგა, რაღაც მაღალი ტემპერატურის პირობებში გაზების მოლეკულების მოძრაობის სისტრატეგიადიდ მიაღწევდა ამ პატარა პლანეტიდან გასხლტომის საზღვარს. მაშასადამე, თანამედროვე ატმოსფერო შემდეგ უნდა იყოს უკვე საკმაოდ გაცივებული მიწის მიერ გამოყოფილი. ასევე წყალიც. მაგრამ როგორ? ეს არის საინტერესო საკითხი, რომელზედაც მე არც განზრახული მაქვს და არც შემიძლია რამე ვსოთქვა.

მართვული
გეოლოგიური

ლიტერატურა

1. ა. ჯანელიძე, მთების წარმოშობის საკითხისათვის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, ნოვ. 5, 1943.
2. ა. ჯანელიძე, ოროგენის დაბადება: სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 36, 1949.
3. ა. ჯანელიძე, ატლანტური ოკეანის პრობლემა: ib., ტ. 42, 1951.
4. ა. ჯანელიძე, ოროგენური ფაზისების თეორია დღეს: ib., 46, 1952.
5. Н. В. Фролова, О наиболее древних осадочных породах земли. Природа, 1950, № 9.
6. R. A. Daly, Origin of „Land Hemisphere“ and Continents: American Journal of Science, 1951, № 12.

სტალინის სახელმბის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გეოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1952. XI. 25)

გ. ცხრვალეაზვილი

მდ. ალაზანი ზემო წელში სხვადასხვა სახელით არის ცნობილი. მდინარის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს ბახტრიონის ციხის ნანგრევებსა და სოფ. ხორავის შორის, პანკისის სახელის მქონეა, ხოლო უკანასკნელსა და ღიღი ბორბალოს მთას შორის, ე. ი. სათავემდე, წიფლოვანის ხევს უწოდებენ.

მთელ ამ მანძილზე მდ. ალაზანს მოეპოვება რამდენიმე მეტნაკლებად წყალუხვი შემდინარე: ჩხათანას-წყლის, ბაწარასა, ხევის-ჭალისა და სხვათა სახით.

საკვლევი მხარის აღმოსავლეთი საზღვარი იწყება მ. სამყურის წვერიდან და, მოემართება რა მერიდიანულად სამხრეთისაკენ, წყდება სოფ. ზემო აღვანთან.

ასეთივე მერიდიანული მიმართულებისაა დასავლეთი საზღვარიც, რომელიც კავკასიონის მთაგრი ქედს დიდი ბორბალოს მთასთან გამოყოფა და, განიცდის რა თანდათანობით დადაბლებას, მთავრდება სოფ. მატანის მიდამოებში რაც შეეხება აუზის ჩრდილოეთ საზღვარს, იგი ემთხვევა ალაზანის ზემო წელის შემდინარეთა და მდ. თუშეთის ალაზანს შორის არსებულ წყალგამყოფს, ხოლო სამხრეთი საზღვარი სოფ. მატანზე გამავალ პარალელს გაჰყვება.

გესენავლილობა

საველე-კვლევითი მუშაობა, ალაზანის ზედა წელის აუზის გეომორფოლოგიური შესწავლის მიზნით, დღემდე თითქმის არ ჩატარებულა. ამიტომ ამ მხარის გეომორფოლოგიურ თავისებურებათა შესახებ არსებული ლიტერატურული მასალები უმთავრესად ზოგადი ხასიათისაა. მათ შორის აღსანიშნავია: გავრილოვისა და სიმონოვიჩის [4], ჯავახიშვილის [1, 5], მარუაშვილის, საბაშვილისა და სანებლიძის შრომები.

გავრილოვი და სიმონოვიჩი [4] მდ. მდ. იორისა და ალაზანის ხეობათა გეოლოგიური დახასიათებისას მკითხველის უზრაღლებას მიაქცევენ მხარის ოროგრაფიულ თავისებურებაზეც.

ჯავახიშვილი [1, 5] საქართველოს რელიეფის ტიპების დადგენისა და დახასიათებისას, ჩერდება რა ალაზანის ზემო წელის აუზის მორფოგეოლოგიაზე,

ამასთან ერთად მიუთითებს აქ არსებული რელიეფის მაკროფორმათა გენეზისზე.

მარუაშვილი იღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში შოქცეული კავკასიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისას მთიანი კახეთის ლანდშაფტურ რაიონში სამ გეომორფოლოგიურ ზონას გამოყოფს: 1) მთავარი ქედის თხემის ზონა, მეოთხეულის ყინვართა მოქმედების ნიშნების მატარებელი; 2) მთა-ხეობათა ზონა და 3) გორაკ-ბორცვიანი წინამთები.

კახეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება მოცემული აქვთ აგრეთვე საბაშვილს და სანებლიძეს; პირველი მათგანი კახეთის კავკასიონის ფარგლებში ორ ლანდშაფტურ რაიონს გამოყოფს: 1) მაღალმთიანი რაიონი და 2) საშუალომთიანი (მთატყიანი) რაიონი; მეორე კი აღგენს ხუთ ზონას: 1) კლდოვანი სუბნივალური, 2) ალპურ მდელოთი, 3) მთა-ხეობათა სუბალპური, 4) მთა-ტყეთა და 5) ვაკის ტყეთა ზონა.

გეოლოგიური თავისებაება

ალაზნის ზემო წელის აუზის რელიეფი საშუალო და მაღალმთიან მხარეს წარმოადგენს, რომლის გენეზისი პირველ რიგში ტექტონიკურ პროცესებთანაა დაკავშირებული. მას შემდეგ კი, რაც ეს მხარე სუბაერალური დენუდაციის ასპარეზზად გადაიქცა, მის რელიეფს მეტად ლრმა, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელი კვალი დააჩნიეს გარე დინამიკურმა პროცესებმა საერთოდ და კერძოდ კი მდინარეთა მოქმედებამ.

მხარის შემაღენლობაში მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა ასაკისა და პეტროგრაფიული ბუნების მქონე ქანები, დაწყებული ქვე უ იურულ ფიქლებით და გათავებული მეოთხეულის ალუვიალური ნაფენებით.

საკვლევი ტერიტორია, კარსტენის გამოკვლევების მიხედვით, ორი დიდი სტრუქტურული ზონის შემაღებელნობაში შედის: ჩრდილოეთ ნაწილში გვაქვს ზედაიურამდელი სტრუქტურების ზონის უკიდურესი სამხრეთი ქვეზონა ე.წ. მთავარი ქედისა და მისი სამხრეთი ფერდობის ანტიკლინორისა, ხოლო ამ უკანასკნელის სამხრეთით — მესამეულის სტრუქტურის სამხრეთი ზონა, რომელიც, თავის მხრივ, შედგება ფლიშური სინკლინორისა და ალაზნის დეპრესიის ქვე ზონისაგან.

აღნიშნული ტექტონიკური ერთეულები ერთმანეთისაგან გამოყოფილია დიდი რღვევის ხაზებით, რომელიც მთავარი ქედის ამგებელ შრეთა გაწოლის შესაბამისია, ე.ი. NW-SO-ით არის ორიგენტირებული.

აღნიშნულ მხარეს, მართალია, ინტენსიურად აქვს განცდილი გარედინამიკურ პროცესთა ზემოქმედება, მაგრამ მის რელიეფში მაინც შეინიშნება ზემოაღნიშნული ტექტონიკური ერთეულების ანარეკლი. სახელდობრ: მხარის უმაღლესი აღილები ზემოხსენებული ანტიკლინორის ფარგლებშია წარმოგენილი, ხოლო უდაბლესი აღილები ემთხვევა პირველ რიგში ალაზნის დეპრესიისა და ფლიშური სინკლინორის ქვეზონას.

მთავარი ქედის ანტიკლინორს ძირითადად ქმნის მძლავრად დანაოჭებული და სამხრეთით გადმობრუნებული, ხშირ შემთხვევაში ვერტიკალურ მდგომა-

რეობაში მყოფი ქვედა და შუა იურული ნალექები, რომლებიც შეტამორცვული თიხაფიქლებისა და ქვიშაქვებისაგან შედგება. მათ სამხრეთით შრეული ჭედა იურისა და ცარცის ნალექები, წარმოდგენილი მერგელოვანი ფიქლებით, კირქვიანი ქვიშაქვებით და კირქვებით. მეოთხეულის ნაფენები ვლინდება მდინარეთა ხეობების ძირზე და ზოგიერთი ტერასის ზედაპირზე, უმთავრესად ალაზნისა, სამყურის-წყლისა და ხევის-ჭალის ხეობებში.

თუ რა მნიშვნელობა აქვს მხარის ამგებელ ქანთა პეტროგრაფიულ თავისებურებას, ეს იქიდან ჩანს, რომ ალაზნის ამ ნაწილის აუზში არსებული ყუთისებური ხეობები ფლიშური ნალექების გავრცელების აღგილებში ვლინდება, ხოლო „V“ ხეობების არსებობა მეტამორფული თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების არეებს უკავშირდება.

მორფოგრაფია

როგორც ზემოთ აღინიშნა, განსახილებულ მხარეში საქმე გვაქვს მთა-ხეობათა ლანდშაფტის რელიეფთან. აქ გვხვდება როგორც მაღლა აზიდული, მუდმივი თოვლის ფრაგმენტებით მოსილი კლდოვანი მთები, ისე ლრმადჩაჭრილი ხეობები.

საშუალო სიმაღლითი მაჩვენებლების მიხედვით მხარის უმაღლეს ნაწილს მდ. სამყურის-წყლის მარცხენა სიგანედური ორიენტირების წყალგამყოფი წარმოადგენს. მასზე არსებული ცალკეული მთებიდან აღსანიშნავია: დიდი ბორბალო, მის აღმოსავლეთით — გველის მთა, სამყურის წვერი და მთელი რიგი უსახელო მთები, რომლებიც ზღვის დონიდან 3 კმ აღემატებიან.

ზემოაღნიშნული მთავარი ქედის ნაწილს მ. დიდ ბორბალოსა და მ. სამყურის-წვერის მიდამოებში გამოყენებული მიმართულების შტოები, რომლებიც სამხრეთით თანდათან დაბლდებიან და წყდებიან კახეთის ვაკეზე. რელიეფის თანდათანობითი დადაბლების სურათი ირლევა მხოლოდ ქვედა იურული ფიქლების კიდის მახლობლად, სადაც რელიეფში დიდ გარდატეხასთან გვაქვს საქმე.

აღნიშნულთაგან მ. დიდი ბორბალოს შტო წარმოადგენს წყალგამყოფს მდ. მდ. ალაზნისა და ილტოს აუზებს შორის. მისი უმაღლესი ადგილიდან აღსანიშნავია მდ. ილტოს სათავეში მთები: მასარა, ლაგაი, ტბათანა, საკანაფო, მთაწმინდა, ჯაბური და სხვ., ხოლო რაც შეეხება სამყურის მთის შტოს, მასზე წარმოადგენილი მთები რამდენადმე უფრო დიდი სიმაღლისაა; მათ შორის გამოირჩევა მთები უსახელო, დიდგვერდი, ორწვერი, ნაქერალა და საბორი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს წყალგამყოფს მდ. მდ ალაზნისა და სტრის აუზებს შორის.

შეორებარისხოვანი მერიდიანული ორიენტირების ტოტებიდან აღსანიშნავია გველის მთის სამხრეთით მომართული კოჩარა-სპეროზის მთებზე გამავალი შტო, რომელიც წყალგამყოფს ქმნის მდ. ალაზნის ზემო დინებასა და სამყურის-წყალს შორის.

ზემოაღნიშნული წყალგამყოფები მახვილი ზედაპირისაა. ეს ითქმის განსაკუთრებით დიდ-ბორბალოსა და ლაგაის მთების, აგრეთვე სამყურის წვერსა

და ორწვერს შორის არსებული თხემის შესახებ; რაც შეეხება ტბაზანიძესა და ნაქერალის მთების სამხრეთით არსებულ წყალგამყოფებს, ისინი ნაჟიშვილების ნაკლებად მოგლუვებული ზედაპირისა, არიან.

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ციცაბო და მახვილი ზედაპირის წყალგამყოფა შორის არსებულ მდინარეთა ხეობები ყველა უკლებლივ განივ ჭრილში „V“ ფორმისაა; ხოლო სამხრეთით, ზემოაღნიშნული საფეხურის შემდეგ, ნაზი ზედაპირის წყალგამყოფთა არეში წარმოდგენილია ტიპიური ყუთისებური ხეობები.

საკვლევი მხარის რელიეფის უარყოფითი ფორმებიდან აღსანიშნავია მდ. ალაზნისა და მდ. ხევის-ჭალის ხეობები, რომელთაგან უკანასკნელი მერიდიანული მიმართულებისაა, პირველი კი ზემო დინებაში სიგანელური, ამგებელ შრეთა გაწოლის თანხვედრილია, ხოლო ქვემო დინებაში, ხევის-ჭალას მსგავსად, მერიდიანულადაა ორიენტირებული. რაც შეეხება ჩხათანას-წყლის, ბაწარას და ზედარებით სხვა პატარა მდინარეთა ხეობებს, ისინი ძირითადად სიგანელურად არიან მიმართული ან გარდამავალი მდგომარეობა უკავიათ ზემოაღნიშნულ ძირითად მიმართულებითა შორის.

დიდი ბორბალოს მთის კალთებიდან სარავეს იღებს და სხვადასხვა მიმართულებით მიედინება მთელი რიგი მდინარეები, რომელთაგან აღსანიშნავია: ალაზნი, იორი, ფშავის არავე და ანდაკი. ეს უკანასკნელნი მხარის ამ ხაწილის რელიეფს რადიალური დანაწევრების სახეს აძლევენ.

ჩელიუზის გეოეგი

თუ გავითვალისწინებთ საკვლევი მხარის გეომორფოლოგიურ თავისებურებებს, მაშინ აქ შესაძლებელია გამოვყოთ რელიეფის შემდეგი ტიპები:

1) მაღალმთაანი ტექტონიკურ-ეროზიული რელიეფის ტიპი „V“, ხეობების ჭარბობით, განვითარებული უმთავრესად იურული ფიქლებისა და ქვიშაქვებისაგან შემდგარ სუბსტრატზე.

2) საშუალმთაანი ტექტონიკურ-ეროზიული რელიეფის ტიპი, ყუთისებური ხეობების ჭარბობით, განვითარებული ზედაიურული და ცარცის მერგელოვანი ფიქლების და კირქვიანი ქვიშაქვებისაგან შემდგარ სუბსტრატზე.

3) ალაზნის ხეობის ტერასებიანი, ეროზიულ-აკუმულაციური რელიეფის ტიპი, განვითარებული ზედაიურული და ცარცის ქვიშაქვებისა და მერგელოვანი ქვაკირებისაგან შემდგარ სუბსტრატზე.

აღნიშნული ტიპები ქმნიან გეომორფოლოგიურ რაიონებს.


1. მაღალმთაანი ტექტონიკურ-ეროზიული რელიეფის ტიპი „V“, ხეობების ჭარბობით, განვითარებული უმთავრესად იურული ფიქლებისა და ქვიშაქვებისაგან შემდგარ სუბსტრატზე.

რელიეფის ამ ტიპს უკავია საკვლევი მხარის ჩრდილოეთი ნაწილი, სადაც წარმოდგენილია მდ. მდ. სამყურის-წყლის, წიფლოვანის ხევისა და მთა შემდინარეთა ხეობები.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონის ამგებელი იზკლინალური ნაოჭები დღიერ არის დენულირებული, მანც დიდ სიმაღლეს ინარჩუნებს, რაც მატერიალური სიონის ამ ნაწილის ინტენსიური ამოწევით აიხსნება.

აქ მდ. ჩხათანას-წყლის შესართავის მახლობლად და მის ჩრდილოეთით არსებული ხეობების ფერდობთა გაშიშვლებაში მეტად დიდი დახრილობის სტრუქტურებთან გვაქვს საქმე, რომელთაც ძირითადად მოშავო-ფერის იურული ფიქლები ქმნიან.

აქ არსებული მდინარეთა ხეობები—წიფლოვანის ხევის, სამყურის-წყლის, ჩხათანასა და სხვ., საერთოდ დიდი სიღრმით ხასიათდება. გარდა ამისა, ყველა მათგანს „V“ ფორმა და ხეობის ძირის სივიწროვე ახასიათებს. განსაკუთრებით დიდი სივიწროვით გამოირჩევა ხეობათა ის ნაწილები, რომლებიც შრეთა გაწოლის მართებულად არიან გამომუშავებული. ასეთებია, მაგალითად, სამყურის-წყლის ხეობის ძირი შუა და ბოლო წელში, რომელიც მხოლოდ რამდენიმე მეტრის სიგანის მდინარის კალაპოტით არის წარმოდგენილი და უშუალოდ გადადის დიდ დახრილობის მქონე მთის კალთებში. რაც შეეხება იმ ხეობებს ან მათ ნაწილებს, რომლებიც შრეთა გაწოლის თანხვედ-



ჭრილი № 1. აღაზნის ხეობის განვითარები
მთა მასინის მახლობლივ:

ჭრილი № 2. აღაზნის ხეობის განვითარები
მთა მასინის მთასთან.

რილია ან დიაგონალური, ისინიც განივ ჭრილში „V“ ფორმის რამდენადმე უართო ძირის მქონე და მცირედ ასიმეტრიული არიან. მათი S ან SW კალთა უფრო ციცაბოა მოპირდაპირესთან შედარებით (იხ. ჭრილი. № 1, 2). ამასთანავე მათ ძირზე, გარდა კალაპოტისა, გვხვდება კალაპოტისპირა რიყიანი ადგილების ვიწრო ზოლი.

როგორც წესი, ზემოაღნიშნული მდინარეები რელიეფის აკუმულაციური ფორმებს თითქმის არ ივითარებს და, დიდი ვარდნის გამო, ჩეტვრითი ჭრა ჭორომიანი ხასიათისაა.

ხეობის ფერდობები სუსტადაა დანაწევრებული პერიოდული ღვარების ეროვნული მოქმედებით. მათზე ასესბული რელიეფის მიკროფორმებიდან აღსანიშნავია მეტყერები, რომლებიც ყოველნაირი ექსპოზიციის ფერდობებშე გვხვდება როგორც შრეთა დახრილობის თანხვედრილად, ისე მათ საწინააღმდეგო მიმართულებით. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, საერთოდ შრეთა დიდი დახრილობაა.

საჭიროა აღნიშნოს, რომ, მიუხედავად რელიეფის აღნიშნული ტიპის დიდი სიმაღლით განვითარებისა, მასზე არ გვხვდება მეოთხეულის ყინვართა ეგზარაციული მოქმედების ნათელი კვალი, იმ დროს როდესაც კავკასიონის დასავლეთ ნაწილში, შესაბამის ან და უფრო მცირე აბსოლუტური სიმაღლის ადგილებში, გლაციური ფორმები და წარმონაქმნი ფართო გავრცელებით სარგებლობს [2]. მიუხედავად ამისა, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩინია პლეისტოცენის ყინვართა გავრცელება კახეთის კავკასიონის ხსენებულ ნაწილში, რაზეც მიუთითებს თანამედროვე ხანაში. ზემოაღნიშნულ მდინარეთა სათავეებში, განსაკუთრებით მ. დიდ ბორბალობები, მუდმივი თოვლის ფრაგმენტებისა და ზოგიერთი მიკრო-გლაციურ ფორმათა არსებობა.

გლაციური ფორმების სუსტი გამოვლინების მიზეზი, ჩვენი აზრით, აიხსნება, ჯერ ერთი, მხარის ლითოლოგიური თავისებურებებით, ხოლო მეორე მხრივ, კლიმატური პირობებით.

როგორც ცნობილია, განხილული რაიონის შედგენილობაში მრანაწილეობს დენუდაციური პროცესების მიმართ შედარებით სუსტი წინააღმდეგობის უნარის მქონე ქანები ქვედა იურის შავი ფიქლების სახით, რომლებიც ყინვარი გამოფიტვისა და სხვა გარედინამიკური პროცესების მოქმედებით ადვილად იშლება, რაც, თავის მხრივ, რელიეფის მიკროფორმათა ასეთსავე სწრაფ ცვლილებას იწვევს.

რაც შეეხება კლიმატურ პირობებს, ცნობილია, რომ კავკასიონის ეს ნაწილი, ხერთოდ, რამდენადმე უფრო მშრალი ჰავით ხასიათდება, რის გამოც ფირინის ველები და მით უფრო ყინვარები წარსულში არ უნდა ყოფილიყო მძლავრი და, უმეტეს შემთხვევაში, აქ კარული ან დაკიდებული ყინვარები უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში გამომუშავებული რელიეფის გლაციალური ფორმები ნაკლები სიმკვეთრის მატარებელი იქნებოდა და მით უფრო ადვილად დაკარგავდა თავის სახეს ყინულოვანი საფარის მოცილების შემდეგ.


თანამედროვე ხანაში ყინვარული რელიეფი თითო-ოროლა კარლინგით და მძლავრად დენუდირებული კარით ამოიწურება. უკანასკნელთაგან თითქმის ყველა უმოქმედოა და გამოფიტვის შედეგად მიღებული სხვადასხვა სიღიღისა და ფორმის ნაშალის სქელი წყებით არის ძირზე მოფენილი. ზოგიერთი კი პატარა ტბების ქვაბურს წარმოადგენს.

2. საშუალო მომთიანი ტექტონიკურ-ეროზიული რელიეფის მიზანი, ყუთისებური ხეობების ჭარბობით, განვითარებულისა და მიზანი იურული და ცარცის მერგელოვანი ფიქლებითა და კირქვითა კვიშა კვებით შემდგარ სუბსტრატზე.

რელიეფის ამ ტიპს უკავია საკვლევი მხარის სამხრეთი ნაწილი, მდ. ალაზნისა და მისი ზოგიერთ შემდინარეთი ტერასებიანი ხეობის ძირის გამოკლებით.

მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი გენეზისურად ზემოგანხილული რაიონის ანალოგიურია, არსებითად განსხვავდება მორფოგრაფიული თავისი ბურებით, რაც საფუძველს იძლევა გამოვყოთ დამოუკიდებელ ტიპად. ასეთი განმასხვავებელი ნიშნებიდან აღსანიშნავია: 1) ნაკლები სიბალლით განვითარება, 2) რელიეფის ცილქულ ფორმათა სინაზე, მათ შორის წყალგამყოფთა მოგლუვებული ზედაპირი. 3) ყუთისებური ხეობის ფართო გამოვლინება და 4) კარსტულ პროცესთა ნიშნები.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ალაზნის ხეობა მორფოგრაფიული ნიშნების მიხედვით ორ მკაფიოდ განსხვავებული ნაწილისაგან შედგება: ერთი—სათავიდან მდ. ბაჭარას შესართავამდე, ხოლო მეორე—ამ უკანასკნელის სამხრეთით. პირველი ნაწილის შესახებ აღნიშნული იყო, რომ იგი ტიპიური „V“ ფორმისაა და, სხვა აქ არსებულ ხეობათა მსგავსად, დიდ სიღრმესთან ერთად, მეტად ციცაბო კალთები აქვს; რაც შეეხება მეორე მონაკვეთს, აქ უკვე საქმე გვაქვს არანაკლები ტიპიური სახის მქონე ყუთისებურ ხეობასთან (იხ. ჭრ. № 3,4). ასე, მაგალითად, თუ ზემო ნაწილში რამდენიმე ათეული მეტრისაა ალაზნის ხეობის ძირის სიგანე, რომელიც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ მდინარის კალაპოტს აქვს დაკავებული, მეორე მონაკვეთში მისი განი საშუალოდ 20–30-ჯერ მეტია.



ჭრილი №3. ალაზნის ხეობის განვითარები
სოფ. საკონტაროსათ.

ჭრილი №4. ალაზნის ხეობის განვითარები
სოფ. დუისთან.

ანალოგიური მორფოგრაფიისაა მდ. ალაზნის შემდინარეთი ხეობები განსაშუალებით მარცხენა მხარისა, როგორიცაა, მაგ., სოფ. ქორეთზე, წინუბანზე და ხალაჭანზე ჩამომავალი შემდინარები. მიუხედავად იმისა, რომ ესენი მეტად მოკლე და მცირე წყლის შემცველი არიან, არახეცულებრივი სიფართოვე ახასიათებთ (იხ. ჭრ. № 5, 6 და 7); მათი განი ხშირ შემთხვევაში რამდენიმე ასეული მეტრით განიზომება. მთიანი მხარისათვის ასეთი უჩვეულო ფარ-

თო წეობების არსებობის მიზეზი უნდა ვეძიოთ ტექტონიკურ და პეტროგრაფულ ფიულ თავისებურებაში.

როგორც ცნობილია, ალაზნის ხეობის მორფოგრაფიაში არსებული გარდატეხა ემთხვევა ზემოხსენებული ანტიკლინორისა და ფლიშური სინკლინორის კონტაქტს, რომელთაგან პირველი მდლავრად მეტამორფული ფიქლებით არის წარმოდგენილი, ხოლო უკანასკნელი — ნაკლებად მეტამორფული მერგელოვანი ფიქლებით. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი გარედინამიკურ პროცესთა მოქმედებით გაცილებით უფრო აღვილად იშლება, რასაც ადასტურებს.


S

N

S

N

N



ალაზნის ხეობის ძირისა და ფერდობთა გაღაევეთის ზოლში ზეავების ფართო გამოყლინება, რასაც, გარდა ალნიშნულისა, ხელს უწყობს მდინარეთა გვერდითი ეროზია. ზეავები განსაკუთრებით ფართოდ სოფ. ბირკანის ჩრდილოეთით ვლინდება. ალნიშნულ მონაკვეთში, მართალია, საზღვარი ხეობის ძირისა და ფერდობთა შორის მქაფიოდ გამოიყოფა, მაგრამ აქ ფერდობები გაცილებით დამტკიცია და წყალგამყოფთა მცირე საშუალო სიმაღლით ხასიათდება; მათ ზედაპირზე ფოთლოვანი ხემცენარების მთლიანი საფარის განვითარებული.


ჭალები განსაკუთრებით ფართოდ ალაზნის მარჯვენა მხარეზე გვხვდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მდინარე ჭარბ გვერდითს ეროზიულ პროცესს მოპირდაპირე მხარეზე აწარმოებს.

წინა რაიონის მსგავსად, მეწყრული პროცესები აქაც ვლინდება დაწარმოშობს რელიეფის მიკროფორმებს. ისინი განსაკუთრებით ფართოდ გვხვდება ტბათანას მიდამოებში, სადაც დამეწყრულ უსწორმასწორო ბორცვიან ზედაპირზე პატარა ტბაცაა.

გარდა ალნიშნულისა, მეწყრული გვხვდება ბაზარას ხეობის ბოლო წელში, ე.წ. მელორის წყაროს მახლობლად; ალაზნის ხეობაში, სოფ. ჯოყოლის მახლობლად, დამეწყრული აღგილები ხშირად რამდენიმე ათეული მეტრის სიგრძეს იგანისაა, ხოლო გადაადგილების ამპლიტუდი უდრის ერთეულ ან 1—2 ათეულ მეტრს.

მდ. ალაზანს, მარჯვენა მხრიდან, სოფ. მატანის მახლობლად, მდ. ხევის-ჭალა ერთვის. იგი სათავეს იღებს მ. ჩორუს სამხრეთ კალთაზე და ძირითადად მერიდიანულად მოედინება. მას ყველგან განივ ჭრილში „V“ ფორმა აქვს, ზოგჯერ (განსაკუთრებით შუა დინებაში) ასიმეტრიულობა ემჩნევა (იხ. ჭრილი).

№ 8, 9). როგორც ჩანს, ამ უკანასკნელსაც, ალაზნის მსგავსად, ტენდენციალურად აქვს აწარმოოს ჭარბი ეროზიული პროცესი ხეობის მარცხენა მხარეზე მდგრადი მიმღება.



ჭრილი № 6 ცვისჭირის ხეობის განვითარების დროის და ასახულის ცვისჭირის შედეგი.

ჭრილი № 8 ცვისჭირის ხეობის განვითარების დროის და ასახულის ცვისჭირის შედეგი.

საკვლევი მხარის სამხრეთ პერიფერიაზე, ისტორიულად ცნობილ ბახტრიონის ციხის მიდამოში, შემჩნეულ იქნა კარსტული პროცესების ნიშნები. კარსტული ფორმები წარმოდგენილია სხვადასხვა ფორმის დოლინების სახით. ზოგიერთი მათგანი ნამდვილ ძაბრს მოვაკონებს, ნაწილი ოვალური ან თირკმლის ფორმისა. აღნიშნული ფორმები ხშირად ჯგუფურადაც გახვდება; ასეთ შემთხვევაში ისინი ადგილს უსწორმასწორო სახეს აძლევენ. მათი ზედაპირი მოსილია ბალიხეული და ხე-მცენარეთი საფარით. მართალია, მათ ფსკერზე არ ემჩნება ნაპრალების ან ხერელების არსებობა, მაგრამ უნდა ვითიქროთ, რომ ვათ ნაპრალების ან ხერელების არსებობა ასეთი წყალსაღინარი ზოგიერთ მათგანს მაინც მოეპოვება. ამაზე მიუთითობს აღნიშნული ციხის ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე ალაზნის მერქეს ტერასაზე ვოლკლუზური ტიპის პატარა წყაროს არსებობა. კარსტული ფორმების სუსტი განვითარება შეიძლება აისნას ამ ადგილის ამგებელი მერგელოვანი ქვაკირების ცუდი გახსნით და, ნაწილობრივ, ატმოსფერული ნალექების სიმცირით. ზემოაღნიშნული რელიეფის მიკროფორმები მდ. ალაზნის მეორე და მესამე ტერასის ზედაპირზეა ძირითადად განლაგებული და დაფარული ტიპის (შუაევროპის ტიპის) კარსტის მიეკუთვნება.

3. ალაზნის ხეობის ტერასებიანი ეროზიულ-კუმულაციური რელიეფის ტიპი განვითარებული იურული და ცირკული ქვიშაქვებისა და მერგელოვანი ქვაკირებისაგან შემდგარ სუბსტრატზე.

ალაზნის ხეობაში ტერასები ფართოდაა გავრცელებული. ეს ითქმის განსაკუთრებით მერეზე და მერისზე I ტერასაზე, რომლებიც თითქმის ყველა შეიძლება შენიშვნულ იქნეს ბახტრიონის მიდამოებიდან მდ. ჩხათნას შესართავამდე. რაც შეეხება მომდევნო II, III და IV ტერასებს, ისინი ფრაგმენტული გავრცელებით ხასიათდებიან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ალაზნის ხეობის ძირი სოფ. აღმეტიდან სოფ. ბირკიანამდე, მთიანი მხარისათვის დამახასიათებელი ხეობებისაგან განსოფ.

სხვავებით, მეტად დიდი სიგანის მქონეა და თითქმის მთლიანად მერეს და მერისზედა I ტერასას უკავია.

მერე მდინარის ღონიდან საშუალოდ 1—3 მეტრის სიმაღლის შედეგი ალუვიური მასალისაგან, ათეულ კმ-ზე სიგრძისაა; იგი მთლიანად შედგება ალუვიური მასალისაგან, რომელიც უზრუნველი ნიადაგით არის დაფარული. მდინარის პირა ადგილებში კი გაშიშვლებულია და რიყითაა მოფენილი. ტერასა ძირითადად მდინარის კარჯვენა მხარეზე წარმოდგენილი. სოფ. ბირკიანი, ჯოყოლო, დუისი, ხალა-წანი და სხვა თითქმის მთლიანად მის ბაქანზე გაშენებული. ტერასის ზედა-პირს მეტად მცირედ ეტყობა დახრილობა მდინარის კალაპოტისაკენ და მისი დინების მიმართულებით. ხშირ შემთხვევაში მერის ტერასა ალაზნის კალაპოტიან მიახლოვებისას არავითარ ფლატეს არ აჩენს და შეუმჩნევლად უერთდება მას. თუ მხედველობაში არ მივიღებთ კალაპოტის მახლობლად არსებულ ნამდინარევებს, სხვა გეომორფოლოგიურად საყურადღებო მიკროფორმები ტერასის ბაქანზე თითქმის არა გვხვდება.

შარა-გზა სოფ. შატანისა და ბირკიანს შორის ზემოხსენებულ ტერასაზე გაყვანილი.

მერის ზედა I ტერასა მდ. ალაზნის ზემო წელში პირველად ვლინდება სოფ. ბირკიანის მახლობლად, ხეობის მარცხენა მხარეზე, და აქედან ვრცელდება მდინარის გაყოლებით რამდენიმე კმ-ის სიგრძეზე ფრაგმენტების სახით. მისი სიმაღლე სოფ. ბირკიანთან 10—12 მეტრია, ხოლო შემდეგ თანა-დათანობით დაბლდება და სოფ. დუმასტურისა და ხალა-წანის მახლობელ ადგილებში მხოლოდ 5—6 მ შეადგენს. ტერასის ბაქანი არათანაბარი სიგანისაა და მერყეობს რამდენიმე ათეული მეტრიდან ასეული მეტრის ფარგლებში, შედგება ალუვისა და ძირითადი ქანებისაგან და ზედაპირზე აძევს რამდენიმე ათეული სმ-ის სისქეს მთლიანი ნიადაგსაფარი; ამის გამო, მერის ტერასის მსგავსად, ეს უკანასკნელიც სახნავ-სათესად არის გამოყენებული. შესაბამისი ზედაპირები ხეობის მარჯვენა ფერდობზე გვხვდება სოფ. დუმასა და ქოწა-ურის შორის.

აღნიშნული ტერასა სოფ. ბირკიანის მოპირდაპირე მხარეს, თითქმის 1 კმ-ის სიგრძეზე, დაფარულია გამოზიდვის კონუსის ნაფენებით, რომელთა მაქსიმალური სისქე 10 მ აღემატება. იგი ტერასასთან ერთად ამჟამად ჩაჭრილია მდინარით.

კონუსის ნაფენები ჩრდილოეთისა და განსაკუთრებით კი სამხრეთის მიმართულებით თანდათან თხელდება და ბოლოს სრულიად ქრება. მათი კონტაქტის ზოლი მეტად მკაფიოდაა გამოსახული.

მერის ზედა II ტერასა მდ. ალაზნის ზემო წელში პირველად გვხვდება სოფ. ჯოყოლოს სამხრეთით კიდის მახლობლად; აქ მისი სიმაღლე 10—15 მეტრს შეადგენს. დასაწყისში სიგანე რამდენიმე ათეული მეტრია, შემდეგ კი მდინარის დინების გაყოლებით ფართოვდება 100 და ალა-ალაგ 300 მეტრამდე; შედგება მოწითალო მოეანგისფერო ნიადაგისა და გამოფიტვის ქერქისაგან, რომელსაც შიგადაშიგ ერევა ალუვი. შესაბამისი ზედაპირი მარჯვენა მხარეზე გვხვდება დუისოფლისა და ხალა-წანის მიღამებში, აგრეთვე, სოფ. მატანთან და ხორბალოსთან.

მერის ზედა III ტერასას ისევე, როგორც მომდევნო IV ტერასას, ფრანგული გველაზე მეტი იგი წარმოქმნილი იყო მარტენის სიმაღლე 40—50 მეტრი, სიგანე 100—150 მ, ხოლო სიგრძე რამდენიმე ასეული მეტრი. შესაბამისი ზედაპირი გვევდება სოფ. დუისის ჩრდილო კიდეზე, ბახტრიონის ციხის მიდამოებში და ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. მატანის ჩრდილოეთით, 5—6 კმ-ის დაშორებით, 200—300 მეტრის სიგრძე-სიგანის რამდენიმე ფრაგმენტის სახით.

ტერასა შედგება ძირითადი ქანებისაგან, რომელთაც ფარავს ნიადაგის მძლავრი ფენა, ალუვი მასზე თითქმის არა. შეინიშნება მხოლოდ აქა-იქ არსებულ გაშიშვლებებში. ტერასის ზედაპირს კარგად ემჩნევა დახრილობა ხეობის ძირისასაცენ.

მერის ზედა IV ტერასა. მისი სიმაღლე მდინარის დონიდან 120—140 მ შეადგენს, მთლიანად ძირითადი ქანებისაგან შედგება და ზედაპირის უმეტესი ნაწილი ბუჩქნარით ან ხე-მცენარეებითა მოსილი. ეს უკანასკნელი რელიფურად კარგადაა წარმოდგენილი სოფ. დუისთან და ხალაწანთან. ტერასის ბაქანს კარგად ემჩნევა დახრილობა ხეობის ძირის მიმართულებით.

გარდა მდ. ალაზნისა, ტერასები განვითარებული აქვს აგრეთვე ზოგიერთ მის შემდინარეს: ბაწარას, ჩხათანას, ხევის-ჭალას და სხვ. ამ მდინარეთა ხეობებში გვევდება მეტე და მერის ზედა I ტერასის ფრაგმენტები, ხშირად რამდენიმე ათეული მეტრის სიგრძე-სიგანით; ასე, მაგ., ჩხათანის ხეობის ზემო წელში წარმოდგენილია 10—15 მ სიგანისა და 200 მეტრამდე სიგრძის მერის ზედა I ტერასა, აგებული მთლიანად წვრილმარცვლოვანი ალუვით და გამოფიტული მასალით. მისი სიმაღლე 5 მ-ია მდ. ბაწარის ხეობის ბოლოს, ხოლო 5—7 მ სიმაღლისა შუა წელში და 2—4 ათეული მეტრის სიგრძის ფრაგ-მენტებია; უკანასკნელი შედგება სუსტად დამუშავებული ლონდარისაგან. მდ. ხევის-ჭალის მერის ზედა I ტერასა გვევდება 4—7 მეტრის სიმაღლეზე, უფრო ხშირად ხეობის მარჯვენა მხარეზე, ვეძათ-ხევის შესართავის მახლობლად და მის სამხრეთით ალაზანთან შეერთებამდე.

როგორც ჩანს, მდ. ალაზნის აუზში განვითარებულია მერის ზედა 4 ტერასა:

№ №	ტერასის დასახელება	სიმაღლე მდინარის დონიდან მ-ობით
1.	მერის ტერასა	2—3
2.	I მერის ზედა ტერასა	5—10
3.	II "	10—15
4.	III "	40—50
5.	IV "	120—140

აღნიშნული ტერასებიდან მერისა და მერისზედა I ტერასა აღმოჩენილი ტერასათა ტიპს მიეკუთვნება. II და III—შერეულს, ხოლო მეოთხეულს ულტრაულს. ოთხივე ციკლურია.

ზემოაღნიშნულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მდ. ალაზნის ზემო წელის ხეობა გენეზისური ნიშნების მიხედვით ანტეცედენტურ მრავალ-ციკლიან ხეობათა ტიპს მიეკუთვნება, ხოლო მორფოგრაფიულად ორი სხვადა-სხვა ტიპის ხეობას წარმოადგენს: დასაწყისში „V“ ფორმისას, ხოლო სოფ. ბირკიანის სამხრეთით—ყუთისებურს.

მდ. ალაზნის ტერასების დათარიღების ცდა მოცემული აქვს კარსტენს, [6], რომელსაც აღნიშნულ ხეობაში არსებულ თხო ტერასას მეოთხეულის გაყინვარების თხო პერიოდს უკავშირებს და გიუნც-მინდელ რის-ვიურმის სინჯრონულდ მიაჩინეს. რაღაც ხსენებული ავტორი ამ საკითხის გადაწყვე-ტას ყოველგვარი ფაქტიური მასალის გარეშე ახდენს და ეყრდნობა მხოლოდ გაყინვარების პერიოდთა რაოდენობის თანხვედრას, ამიტომ ავტორის მოსაზ-რება დამაჯერებლად არ მიგვაჩინია.

ზოგიერთი მოსაზრება და ფაქტიური მასალა ჩვენ საშუალებას გვაძლევს მდ. ალაზნის მერისზედა IV ტერასა ვიურმის წინა წარმონაშობად მივიჩიოთ, ხოლო დანარჩენი—ვიურმისა და მომდევნო დროისად.

ჩვენ 1948 წელს ვცადეთ მდ. თებერდის ხეობაში არსებული ტერასების დათარიღება, რომლის მიხედვითაც უძველესი (მეოთხე) ტერასა შესაძლებლად ვცანით ჩაგვეთვალა ვიურმის წინა, შესაძლოა რისის სინჯრონულად, ხოლო მომდევნო სამი ტერასა—ვიურმის შემდგომდროინდელად [2].

შევადაროთ აღნიშნული ტერასები ერთმანეთს:

№/№	ტერასის დასახელება	ალაზნის ხეობა	თებერდის ხეობა
1.	I მერისზედა ტერასა	5—10 მ	3—5 მ
2.	II " "	10—15 მ	15—20 მ
3.	III " "	40—50 მ	25—30 მ
4.	IV " "	120—140 მ	80—90 მ

ამგვარი შედარების უფლებას გვაძლევს, ჯერ ერთი, ის, რომ ორივე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს. კავკასიონის ღერძულ ნაწილთან; მეორე—ის, რომ აქაც და იქაც ხეობების ისეთ მონაკვეთებთან გვაქვს საქმე, სადაც პირველად ვლინდება ტერასები და შემდეგ ვრცელდება მდინარეთა დინების მიმართულებით; მესამე, რომ ორივე ხეობაში ტერასების თანაბარ რაოდენობასთან გვაქვს საქმე.

როგორც შედარებიდან ჩანს, ტერასების სიმაღლითი მდებარეობა თე-ბერდისა და ალაზნის ხეობებში ასპლოუტური მაჩვენებლების მიხედვით რამ-დენადმე არათანხვედრილია. ეს გასაგებიცა, რაღაც ერთმანეთისაგან დაცი-ლებულ მდინარეთა ხეობებში, რომელთაგან ერთი კავკასიონის სამხრეთ-კალთაზეა განვითარებული, ხოლო მეორე—ჩრდილოეთისაზე, წარმოუდგენე-

ლია ზუსტად ერთნაირი ტექპის აღმავალი მოძრაობა. ამ შედარებისას ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ აქაც და იქაც IV ტერასის განსაკუთრებულ დიდი ფლატე აქვს და ორივე შემთხვევაში IV ტერასის სიმაღლე აღემატება ერთად აღებულ ყველა დანარჩენ ტერასას. ეს ფაქტი იმაზე მიგვითოვებს, რომ ორივე შემთხვევაში IV ტერასის ფლატის ჩამოყალიბებისას ჰქონია აღილი განსაკუთრებით ძლიერ სიღრმით ერთხოული პროცესი კი შესაძლებელია ყოფილიყო რისული ყინვარების უკან დახევისას, რაღაც, როგორც ცნობილია, ამ პერიოდში კავკასიონზე, და არა მარტო კავკასიონზე, ყველაზე მძლავრი გაყინვარების პერიოდს ჰქონდა აღილი. მხოლოდ ამ მძლავრ ყინულოვან საფარს შეეძლო დიდი წყლის ნაკადების წარმოშობა, რომელთაც შესწევდათ უნარი ინტენსიური სიღრმითი ერთხოული პროცესის წარმოებისა და ამასთან დაკავშირებით მაღალი ტერასის განვითარებისა. ხოლო, ვინაიდან მომდევნო პერიოდის ვიურმული ყინვარები შედარებით სუსტი იყო, მათი უკანდახევის შედეგად წარმოშობილი მდინარეებიც ასეთივე სისუსტით გამოიჩეოდა და ამის გამო ერთნაირი აწევითი მოძრაობის პირობებშიც კი მცირე სიმაღლის ტერასებს ავითარებდა.

იბადება კითხვა: რატომაა, რომ თებერდის ხეობას, სადაც გაცილებით უფრო მძლავრი ყინულოვანი საფარი იყო გავრცელებული, IV ტერასის რამდენადმე მცირე სიმაღლის ფლატე აქვს (80—90 მ), ვიდრე ალაზნის ხეობას, სადაც მისი სიმაღლე 140 მ-მდე აღწევს. ეს კითხვა აღვილად აისხნება, თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოხსენებული ხეობების აგებულებაში მონაწილე ქანების ლითოლოგიურ თავისებურებას. იქ დიდი სიმკვრივის გრანიტებთან და სხვა ინტრუზიულ ქანებთან გვაქვს საქმე, აქ კი—გაცილებით უფრო აღვილად შლად ფიქლებთან.

აღნიშნული დასკვნები არ მიგაჩნია უდავოდ ან მით უფრო საბოლოოდ დადგენილად.

კავკასიონის ღერძულ ზოლში მომავალში წარმოებული დაკვირვებები საშუალებას მოვცემს რამდენადმე დავაზუსტოთ ეს ფრიად საინტერესო და ამავე დროს მნიშვნელოვანი საკითხი.

რელიეფის განვითარების სიმრავის

ალაზნის ზემო წელის აუზის მსხვილი ტექტონიკური ელემენტები ძირითადად ფორმირებულ იქნა კალოვიურისწინა და ტიტონურისწინა ოროგენულ ფაზებში [7].

აღნაგილ-აფშერონის ღროში მთავარი ქედის ღერძული ნაწილი ხმელეთს წარმოადგენდა და სუბაერალური დენუდაციის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ხოლო ალაზნის სინკლინური დეპრესია, შესაბამისი პერიოდის ზღვის თხელუბებს ჰქონდა დაკავებული, სადაც მიმდინარეობდა დენუდაციური პროცესების დაგროვება კონგლომერატების სახით.

აღნიშნულმა შხარემ პლიოცენის შემდეგ რამდენჯერმე განიცადა ოროგენული ფაზა: აფშერონის, ბაქოს, ხაზარის და ხვალინსკის დასაწყისში [3],

რამაც ძირითადად განსაზღვრა ამ მხარის რელიეფის საერთო სახე შესაბუქებული სი პერიოდის მღინარეთა მოქმედებასთან ერთად.

შესაბუქებული
პერიოდი

აქ არსებულ ხეობათა მორფოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზემო-აღნიშვნული ტეტრონიკური ელემენტების მოძრაობა არათანაბარი ინტენსივობით მიმდინარეობდა და ამჟამადაც მას ასეთივე ტენდენცია აქვს. ის ფაქტი, რომ საკვლევ მხარეში გვხვდება, ერთი მხრივ, სწორი ან ამოზნექილი ფერდობების მქონე „V“ ხეობები, ხოლო, მეორე მხრივ, სოფ. ბირკიანის სამხრეთით სწორი ზედაპრის მქონე ყუთისებური ხეობები, ან შეიძლება აქსნათ მხოლოდ პეტროგრაფიული ფაქტორის გავლენით. უფრო სწორი იქნებოდა, თუ ამას-თან ერთად დავუშვებდით ალაზნის აუზის ცალკეული ნაწილების არათანაბარ მოძრაობას.

მდ. ალაზნის, ხევის-ჭალის, სამყურის-წყლის, ხალაწანის, წინუბანის, ქორეთის და სხვათა ხეობების „V“ ან „U“ სახე, ზოგიერთი მათგანის ასიმეტ-რიულობა და ალაზნის ხეობის სხვადასხვა ნაწილის ფერდობთა განსხვავებული სახე მიუთითებს იმაზე, რომ:

1. ახლო გეოლოგიურ წარსულში და ამჟამადაც ანტიკლინორის არეში რელიეფი იღმავალი განვითარების მდგომარეობაში იმყოფება.

2. ფლიშური სინკლინორის არეში თანამედროვე ხანაში და ახლო გეო-ლოგიურ წარსულშიც რელიეფის აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით წამმართავ პროცესთა შორის ერთგვარ წონასწორობას უნდა ჰქონდეს ადგილი. ამასთან, შესაძლებელია ვიზუალურო, რომ აწევითი მოძრაობანი ალაზ-ნის მარჯვენა მხარეს რამდენიმედ მეტად უნდა მიმდინარეობდნენ. ამას ადას-ტურებს მდ. ალაზნის, ხევის-ჭალისა და სხვა ხეობების ასიმეტრიულობა და თანამედროვე ხანაში მდინარეთა ჭარბი გვერდითი ერთზოული პროცესი მარცხნა მხარეს.

ლიტერატურა

1. ალ. ჭავახიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, ტ. I (გეომორფოლოგია): თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოც., 1926.
2. შ. ცოგრებაშვილი, თებერდის აუზის შუა წლის გეომორფოლოგიისათვის: საქ-სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვანუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკ. 1, 1949.
3. Л. А. Варданянц, Постплиоценовая история Кавказско-Черноморско-Каспийской области: Гос. изд. Арм. ССР, 1948.
4. Ф. Гаврилов и С. Симонович, Геологические наблюдения в области речных долин Иори и Алазани: Мат. для геол. Кавказа, сер. 2, к. 9, 1895.
5. А. Н. Джавахишвили, Геоморфологические районы Грузинской ССР: Изд. АН СССР, 1947.
6. И. Е. Карстенс, Материалы к палеогеографии Кахетинского хребта и долины р. Алазани: Труды Нефт.-геол. разв. ин-та, сер. Б, вып. 47, 1934.
7. В. Н. Крестников, Тектоническая характеристика восточной части Центрального Кавказа: Изв. АН СССР. Сер. геол. № 6, 1947.

8. В. Н. Крестников, К вопросу об аркозовых песчаниках в верховьях реки Алавани и Стори (Груз. ССР): Докл. АН СССР, т. УШ, № 1, 1947. ГИДРОГЕОЛОГИЯ
 9. Л. И. Маруашвили, К геоморфологии и четвертичной истории Тушетии: Изв. Гос. геогр. об-ва, т. 71, в. 7, 1939.

სტალინის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 გეომორფოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1952. I. 19).

Ш. А. Цховребашвили

К геоморфологии бассейна верхней части р. Алавани

Р е з ю м е

Рассматриваемая территория охватывает верхнюю часть бассейна р. Алавани от верховий до с. Матани.

На основании морфографических и морфогенетических признаков на упомянутом отрезке бассейна р. Алавани можно выделить три типа рельефа.

1. Тип рельефа высокогорной-тектонико-эрэзионный, с преобладанием V-образных долин, развиты главным образом на юрском сланцевом песчаниковом субстрате.

2. Тип рельефа среднегорно-тектонико-эрэзионный, с преобладанием ящиковидных долин, развиты в верхнеюрском и меловом мергелисто-сланцевом и известняково-песчаном субстрате.

3. Тип рельефа эрозионно-аккумулятивный, террасированный разбит в верхнеюрском и меловом песчано- и мергелисто-известняковом субстрате.

В пренелах указанного отрезка долины р. Алазани развиты 4 надпойменные циклические террасы: 1) 5—10 м над уровнем реки, 2) 10—15 м, 3) 40—50 м и 4) 120—140 м. Среди них первая терраса—аккумулятивная, вторая и третья—смешанные, а четвертая—скользкая.

На основании имеющегося материала, I, II и III надпойменные террасы можно считать возникшими после вюрмского оледенения, а IV—как предвюрмскую.

ეკონომიკური ყავაშირების საზღვრების დაღვენისათვის

ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა ლანდშაფტმცოდნეთა შორის დაისვა საკითხი ბუნებრივი ლანდშაფტების საზღვრების დადგენისა და მათი ანალიზის შესახებ.

საკითხი მეტად საინტერესოა და ამასთანავე ერთად საქმაოდ რთულიც, მაგრამ ჯერჯერობით ამ საკითხის ირგვლივ ლანდშაფტმცოდნეთა შორის ერთსულოვნება არაა.

როგორ მკვლევრებისა იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ ბუნებრივ კომპლექსებს შორის საზღვარი მხოლოდ და მხოლოდ მკვეთრი და ხაზობრივია.

ასეთი აზრისაა ნ. სოლნცევი [7], რომელსაც აგრეთვე საქმაოდ მეტყველი ფორმულირება აქვს შემუშავებული თვით ლანდშაფტის არსის შესახებ.

ლანდშაფტების საზღვრების ხაზობრივ ხასიათს ამტკიცებენ ვ. ლიდოვი, ნ. დიკი, ე. ნიკოლაევსკაია, ნ. ხელოვა და კიდევ რამდენიმე მათი თანამოაზროვნენი.

ზოგიერთი მკვლევარი კი ფიქრობს, რომ სხვადასხვა ტაქსონომიური მნიშვნელობის ბუნებრივი კომპლექსების ერთიმეორები გადასვლა უმეტესწილად თანდათანობითი ხასიათისა უნდა იყოს და ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია გარდამავალ ლანდშაფტურ ერთეულებზედაც კი ეიმსჯელოთ, ხოლო როგორ შემთხვევაში კი საზღვარი მართლაც მკაფიო და ხაზობრივია, რომლის დროსაც ლანდშაფტების გამოხატვა შესაძლებელია მკაფიოდ გამოხატული საზღვრების დადგენის საშუალებით.

ასე ფიქრობს ს. კალენცი [3], რომელსაც საბჭოთა ლანდშაფტმცოდნების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი; ასე ფიქრობენ ფ. მილკოვი [5], რუსეთის ვაკის ტყე-ველის ლანდშაფტის სპეციალისტი და ი. ისაჩენკო [2], რომელმაც რუსეთის ვაკის ლანდშაფტების საზღვრების საქმაოდ ღრმა ანალიზი მოგვცა.

საზღვრების „ხაზობრივობის“ მომხრეებს, მართალია, მოეპოვებათ მრავალი ფაქტი, რომლებიც შეკრებილია მათი საექსპედიციო მუშაობის საფუძველზე, მაგრამ ეს, ეტყობა, არა კმარა, რათა ბუნებაში არსებული მეტად დიდი მრავალფეროვნება აღნიშნული მკვლევარების მიერ მხოლოდ ხახული ლანდშაფტების ურთიერთობით ამოიწუროს. გარდა ამისა, ვ. ლიდოვის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს „ბუნებაში ერთი ბუნებრივი კომპლექსიდან მეორეში

გადასცელა არასოდეს გარდამავალი სახით არა ხდება“, საზღვრების „ხაზობრივი რიცობის“ აბსოლუტიზაციის კანონად გამოცხადებას გულისხმობს შენიშვნული მაგრამ ვ. ლიდოვის და მისი თანამოაზროვნების შეხედულება სხვა- მხრივაც იპყრობს ყურადღებას; მათი აზრით, ბუნებრივი კომპლექსების საზღვრები ბუნებრივი კომპლექსების განვითარების „ნახტომებს“ უნდა უბასუ- ხებდონენ.

„ნახტომის“ არსი აქ შემდეგი მნიშვნელობით იგულისხმება: ბუნებრივი გარემოს განვითარების პროცესში, მისი გარკვეული ხარისხობრივი მდგომა- რეობიდან მეორე ხარისხობრივ მდგომარეობაში გადასცელა გაცილებით უფრო სწრაფად უნდა ხდებოდეს, ვიდრე მანამდე ბუნებრივ გარემოში მიმდინარე რაოდენობრივი ცვლილებების დაგროვება.

ამ მხრივ სიყურადღებოა ს. კალესინიკის სრულიად სამართლიანი მითი- თება [3]; აღნიშნულ მკვლევარებს „ნახტომის“ ცნება მეტად ხანმოკლე ევო- ლუციის პერიოდად უნდა ეჩვენებოდეთო, რის გამოც ეს უკანასკნელი „ნახ- ტომს“ უკავშირებენ განვითარების ისეთ ფორმას, როგორიცაა „აფეთქება“, ამასთან დაკავშირებით კი ლანდშაფტის „ხაზობრივობის“ კანონიც აბსოლუ- ტურ კანონად აქვთ გამოცხადებულით.

ამიტომ, ლანდშაფტტების საზღვრების ხასიათი (ხაზობრივი თუ თანდა- თანხმობით, გამოხატული უმეტესწილად გარდამავალი ლანდშაფტტური საფე- ხურის სახით) დამკიდებული უნდა იყოს „ნახტომის“ ფორმაზე. რის გამოც რიგ შემთხვევაში საზღვარი მართლაც მქევთრია და, ამიტომ „ხაზობრივია“, რიგ შემთხვევაში კი საზღვარი ბევრად უფრო რთულია და თანდათანობითი ხასი- ათისაა. კანსაკუთრებით ეს უკანასკნელი ეხება ისეთ რთულ ბუნებრივ კომ- პლექსებს, როგორიცაა ლანდშაფტტური განედური ზონები; აქ თათქმის ყო- ველთვის საზღვრები გარდამავალი ქვეზონების საშუალებით არის გიმოხატული და მათი კარტირება ბევრად უფრო რთულ საქმეს წარმოადგენს, ვიდრე „ხა- ზობრივი“ ხასიათის საზღვრების გამოხატვა ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფ- ტური) დარაიონების რუკებზე.

ეს იცოდა ჯერ კიდევ 1883 წელს დოკუჩიევმაც, მაშინ როდესაც შავ- მიწა ნიადაგების ზონის ჩრდილო საზღვრად იგი გულისხმობდა: „в виде бо- льше или менее широкой (иногда до 100 верст и более в поперечнике) полосы“.

ჯერ კიდევ 1909 წელს პროფ. ვისოცკი წერდა: „В природе сущес- твуют грани самого различного вида, самой различной сглаженности или резкости“ [1]. მართლაც, მთიან ქვეყნებში, სადაც ფიზიკურ-გეოგრაფი- ული კანონზომიერება ძირითად ვერტიკალურ ლანდშაფტტურ ზონადობაში ვლინდება, ხშირად ერთი ლანდშაფტტური ზონიდან მეორეში გადასვლა უცრივ; და მკეთრად ხდება; აქ „ხაზობრივი“ საზღვრის დადგენა ძნელ საქმეს არ- წარმოადგენს, თუმცა ამ „ხაზობრივობის“ მიზეზებზე ფიქრი უფრო მეტ ყუ- რადღებას მოითხოვს ხოლმე, ვიდრე მათი ფიქსირება ბუნებაში თუ ლანდშაფ- ტური დარაიონების რუკებზე.

კიდევ უფრო ხშირად, იმავე მთიან ქვეყნებში ლანდშაფტური ვერტიკულური ლური ზონები ერთიმეორები თანადათან და შეუმნენვლად გადადიან და მოფიქსირება ბუნებაში გარკვეულ გამოცდილებასა და დიდ ყურადღებას მოითხოვს.

„ხაზობრივი“ საზღვრების გამოვლინების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მთიან ყირიმში ჩატირ-დაღის იაილისა და აი-პეტრის იაილის თხემური ნაწილის ლანდშაფტი, რომელიც მთის მდელოს ფონზე ზედაპირული და მიწისქვეშა კარსტული ფორმების კონტურების ფართო გავრცელების დასურათებას წარმოადგენს, რომლის „ხაზობრივი“ საზღვარი მოების ზედა კალთების კიდეზე წიფლნარი და ზოგან ფიჭვნარი ტყის ფრაგმენტებით (*Pinus hama*) შემოიწერება; განსაკუთრებით მკვეთრია საზღვარი იაილების სამხრეთ კალთის კიდესთან, რომელიც უმეტესწილად ჩამოწყვეტილი, შევული კირქვიანი შიშველი კლდეებით განისაზღვრება, მაშინ როდესაც იაილას მოსწორებულ-მაგიდისებრივ თხემზე მთის მდელოს მშვანე კოლორიტი ჭარბობს, რომელიც ალაგ-ალაგ კირქვიანი ლოდებისა და დაკარული ზედაპირების გამოფლინებასაც იძლევა.

ყირიმის იაილების თხემის ლანდშაფტის მსგავსად მაღალმთიან აფხაზეთ-შიც გრეველება ლანდშაფტების „ხაზობრივი“ საზღვრების გამოვლინების მაგალითები.

ბზიფის მაღალმთიანი კირქვიანი ქედის თხემი ჩატირ-დაღის ლანდშაფტის მსგავსია; აქაც იგივე კარსტული ლანდშაფტი, მხოლოდ ზედაპირული კარსტის უფრო მეტყველი განვითარებით, რომელიც სუბალპურ მდელოს ფონზეა გადაშლილი, დეკანების გარეშე, უწყლოა და ზედაპირული ჰიდროგრაფიული ქსელის სრული განვითარებლობით ხასიათდება.

ბზიფის ქედის თხემს კიდეზე მაღალტანიანი სოჭნარი (*Abies Nordmanniana*) და სოჭნარ-წიფლნარი ტყის არშია მიუყვება, რომელიც აქ სუბალპური ტანგრეცილა ტყის ზონის გარეშე უშუალოდ გადადის სუბალპურ მდელოსა და მაღალბალახეულობაში, რაც ლანდშაფტური ზონის საზღვრის „ხაზობრივობის“ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

აფხაზეთში, მდ. იუფშარის გრანდიოზული კანიონიდან, რომელიც დაახლოებით ხუთი კილომეტრის მანძილზეა გადაჭიმული, უცარივ რიცის ტბის ულამაზესი პანორამა იშლება, რომელიც ჩრდილოეთით აცეტუკას მაღალმთიან განედურ ქედს ებჯინება, რომლის კალთებზედაც ნათლად არის გამოხატული ლანდშაფტური ვერტიკალური ზონალობა ალპური მდელოებითა და დაკბილულ-კარული თხემით დაგვირგვინებული.

ტბის ანკარა წყლის სარკეში ფშეგიშხვას კირქვიანი ჩამოწყვეტილი შიშველი კალთები ციმიმებს, რამაც განსაზღვრა ტბიური ქვაბურის წარმოშობა გრანდიოზული დამწეწყრის შედეგად და მდ. ლაშიფსესა და მდ. იუფშარის ყოფილი მთლიანი ხეობის გადატიხვრა.

აღმოსავლეთიდან აჩხოს მაღალმთიანი პორფირიტული ქედის დასავლეთი კალთები, მაღალტანიანი სოჭნარ-წიფლნარი ტყებით დაფარული, ტბიური ქვაბურის აღმოსავლეთ კალთას შემოსწერენ.

ამგვარად, აქაც რიცის ტბის ქვაბურის ლანდშაფტის საზღვრები მკვეთრია „ხაზობრივი“ ხასიათისაა, მათი ფიქტურება ბუნებაში უძრავია მეს არ წარმოადგენს, ისევე როგორც მათი კარტირება აფხაზეთის ლანდშაფტური დარაიონების რუკაზე.

მაგრამ მტკიცება იმის შესახებ, რომ ბუნებაში მხოლოდ და მხოლოდ ხაზობრივი საზღვრები არსებობს, ისევე მეტაფიზიკური ხასიათის მტკიცება იქნება, როგორც მტკიცება მხოლოდ თანდათანობითი ხასიათის საზღვრების არსებობის შესახებ.

ისმის კითხვა: სხვადასხვა ტაქსონომიური მნიშვნელობის ბუნებრივი კომპლექსების საზღვრები ერთნაირი ხასიათისაა, თუ არსებობს რაიმე განსხვავება ამ მხრივ?

ამ კითხვას ვ. ლიდოვი და მისი თანამოაზროვნენი ასე უბასუხებენ: თუ უმცირესი მნიშვნელობის მქონე ბუნებრივ კომპლექსებს შორის (ფაციესებს შორის) საზღვარი ხაზობრივი ხასიათისაა, ხაზობრივი იქნება საზღვარი ლანდშაფტურ რაიონებს შორისაც, რადგანაც ამ უკანასკნელის შემადგენელია თვით ფაციესები.

ამავე საფუძველზე ვ. ლიდოვი მსჯელობს, რომ, რაკი ლანდშაფტურ რაიონებს შორის საზღვარი ხაზობრივია, ლანდშაფტურ ზონებს შორის საზღვარიც ხაზობრივი იქნება, რადგანაც ზონა ხომ ლანდშაფტური რაიონების კრებადობას წარმოადგენს.

ასეთი დასკვნა, ჩვენი აზრით, ნაკლებად სარწმუნო უნდა იყოს. სინამდვილეში შესაძლებელია მიკროლანდშაფტებს შორის საზღვარი მართლაც ხაზობრივი და მკვეთრი იყოს (მაგალითად, რუსეთის ვაკის ტყე-ველის ლანდშაფტის ველის ფონზე ტყის კუნძულები მკვეთრ და ხაზობრივ საზღვრის მაგალითს (წარმოადგენენ), მაგრამ საკმარისია ლანდშაფტურ მიკრორაიონებს გავცილეთ და ოვალსაჩინო გახდება, რომ მსხვილ ლანდშაფტურ ერთეულებს შორის საზღვარი გართულდეს და უფრო გარდამავალი ხასიათი მიიღოს, და შეტიც, შესაძლებელია ქვეზონების სახითაც კი გამოიხატოს.

ლანდშაფტების საზღვრების დადგენისა და მათი ანალიზის გარდა საყურადღებოა კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ჭიდროდ არის დაკავშირებული საზღვრების დადგენასთან; საყურადღებოა ლანდშაფტური ტიპების გამოყოფის პრიციპები, რომლებიც, ისევე როგორც წინა საკითხი, ლანდშაფტურ ცოდნეთა შორის ერთნაირად არ არის გაგებული.

ზოგიერთი მკვლეფარი ბუნებრივი ლანდშაფტების გამოყოფისას ე. წ. „წამყანი ფაქტორებით“ ხელმძღვანელობს [5] და არა გეოგრაფიული ერთეულების (ლანდშაფტური ტიპების) ხარისხობრივი მაჩვენებლების სხვაობის პრინციპებით.

როგორც ცნობილია, ყოველი ასეთი „წამყანი ფაქტორი“ მხოლოდ ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს მთელი ბუნებრივი კომპლექსისას, რაგინდ მნიშვნელოვანი და რაგინდ ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებელსაც უნდა წარმოადგენდეს იგი. ამიტომ, ბუნებრივი კომპლექსების გამოყოფის ყველაზე მართებული გზა, ჩვენი აზრით, იქნება, — გენეზისური პრინციპებით ვაწარმოოთ

ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) დარაიონება მთელი ბუნებრივი კომპლექსის მხედველობაში მიღებით, და არა „წაყვანი ფაქტორებიდან“ აღნიშნულ პრინციპთა არჩევაზე დამკიდებული იქნება ოვთონ საზღვრების მართებული ფუნქციებად მართებული დადგენა და მათი სწორი ანალიზება.

ლიტერატურა

1. Г. Н. Висоцкий, О фито-топологических картах, способах их составления и их практическом значении: Почвоведение, т. XI, в. 2, 1909 г.
2. А. Г. Исаченко, О физико-географических рубежах Русской равнины: Известия Всесоюзного географ. о-ва, 1952 г., т. 84, в. I, стр 26—36.
3. С. В. Калесник, Линейны ли границы ландшафтов? Известия Академии наук СССР. Серия географическая, 1952 г., № 2, стр. 61—67.
4. В. П. Лидов, Из опыта комплексных географических исследований: Известия АН СССР. Серия географическая, 1951 г., № 2.
5. Ф. Н. Милков, К анализу ландшафтных (физико-географических) рубежей на Русской равнине: Известия Всесоюзного географического о-ва, 1952 г., т. 84, в. I, стр. 11—26.
6. М. Д. Семенов Тян-Шанский, Опыт определения таксономических единиц в географии: Землеведение, т. 38, № 4, 1936 г.
7. Н. А. Солицев, Итоги и очередные задачи советского ландшафтования Вопросы географии, сб. 16, Географгиз, 1949 г.
8. Н. А. Солицев, О морфологии природного ландшафта Вопросы географии, сб. 16, Географгиз, 1949 г.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1953. I. 15.)

შ. ბეგიაშვილი

სისმირის ღამის რეაქციულ მიღაკებზე მომუშავე სისმირე-მოძულირებულ კავშირები

შესავალი

საშუალო სისმირის ავტომატური სტაბილიზაციის მქონე რეაქციულ მიღაკებზე მომუშავე სისმირე-მოძულირებულ ამგზნებში მოძულატორულ მილაკის ბალეზე ერთოველი სწორკუთხოვანი ძაბვის იმპულსის $E1(t)$ მოქმედების შემთხვევაში, სისმირის გადახრა საერთო სახით წარმოადგენს სქემის პარამეტრებისა და მოქმედ მამოძულირებელი ძაბვის ფუნქციას:

$$\Delta f = \varphi[A, E1(t)] \dots \quad (1)$$

შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სისმირის დამყარების ხასიათი და A პარამეტრის სიდიდე გამფილტრავი მოწყობილობის სქემასთან დამკიდებულებით, რომელსაც ამგზნებში ყველაზე დიდი დროის მუდმივა აქვს, სხვადასხვა იქნება. აქედან აშკარაა, რომ სიგნალის ფორმაც ამგზნების გამოსავალზე სხვადასხვა გვარად იქნება დამახინჯებული.

შრომაში განიხილება სისმირის დამყარება ერთუჯრედიან და ორუჯრედიან გამფილტრავი მოწყობილობის მქონე სიტემაში, რომლებსაც უფრო მეტი გავრცელება აქვთ.

სისმირის ღამის რეაქციაზე უმღრჩის მარცვა სისხვავი

ერთუჯრედიანი RC გამფილტრავი მოწყობილობის მქონე სისტემაში, რომლის ბლოკ სქემავა სურ. 1-ზეა წარმოადგენილი, სისმირის დამყარება შემდეგი კანონის თანახმად მიმდინარეობს:


$$\Delta f = -\frac{S_m^2 S_a}{1 + S_m S_a} E1(t) + \frac{S_m^2 S_a}{1 + S_m^2 S_a} E1(t) e^{-\frac{K}{T}} + S_m E1(t) \dots \quad (2)$$

მაღალ: S_m — სამოძულაციო მახასიათებლის დახრილობაა, S_a — დისკრიმინატორის მახასიათებლის დახრილობა, $K = 1 + S_m S_a$ — იწოდება სისტემის სისმირის ავტომოწყობის კოეფიციენტად და $T = rc$ წარმოადგენს ფილტრის დროის მუდმივას.

სიხშირე-მოდულირებულ ამგზნებში ცენტრალური სიხშირის ფარახრის აქ მოტანილი განტოლება, მხოლოდ დროის მიხედვით ჰარმონიული ფარახრის ცვლად მამოდულირებელი ძაბვის შემთხვევისათვის, მიღებულია აღრინდელ შრომაში [2]. ამჯერად, როგორც აღვნიშნეთ, მამოდულირებელ ძაბვად ერთეული სწორკუთხოვანი იმპულსია გამოყენებული.

მოცემული განტოლების პირველი მდგენელი არსებობს როგორც გარდა-მავალ, ისე სტაციონარულ რეჟიმში, მეორე კი მხოლოდ გარდამავალ რეჟიმში და იგი მით მაღებ შიილება, რაც მცირეა ფილტრის დროის მუდმივა. ამ ორი წევრის მოქმედება სისტემაში გამფილტრავი მოწყობილობის არსებობით არის გამოწვეული.

მესამე მდგენელი მამოდულირებელი იმპულსის პროპორციული ამგზნები გენერატორის სიხშირის გადახრის გამოხატავს.



სურ. 1.

მიღებული განტოლება გვიჩვენებს, რომ ერთუჯრედიანი გამფილტრავი მოწყობილობის მქონე სისტემაში სიხშირის დამყარების პროცესს აპერიოდული ხასიათი აქვს — $\frac{K}{T} = -\frac{1 + S_m S_a}{r_c}$ მიღევის კოეფიციენტით. როგორც


ჩანს, სიხშირის დამყარების სისტრაფე და, აქედან, გამოსავალი სიგნალის იმპულსის ფორმის მოწესრიგება შესაძლებელია ფილტრის დროის მუდმივას ამორჩევით.

[2] განტოლებით გათვლილი მრუდები, რომლებიც სურ. 2-ზეა წარმოდგენილი, ზემო ნათქვამს ადასტურებს.

მრუდები გათვლილია ქვემოთ მოტანილი შემდეგი სამი შემთხვევისათვის.

- 1 შემთხვევა: $S_a = 4,4 \frac{\text{ვოლტი}}{\text{კ. ჰერცი}}$; $S_m = 2,5 \frac{\text{კ. ჰერცი}}{\text{ვოლტი}}$; $K = 12$; სისტემის დროის მუდმივა $T_y = 1,96$ მილისეკ.; ფილტრის დროის მუდმივა $T = 23,5$ მილისეკ.
- 2 შემთხვევა: $T_y = 19,6$ მილისეკ.; $T = 235$ მილისეკ. 3 შემთხვევა: $T_y = 98$ მილისეკ.; $T = 1175$ მილისეკ.; S_a და S_m -ის სიდიდეები მეორე და მესამე შემთხვევებისათვის არ შეცვლილა.

მიღებულ გათვლილ მრუდთა შედარება ექსპერიმენტულ ოსურუაჭარ-მებთან მოცემულ სამი შემთხვევისათვის გვიჩვენებს საკმაოდ კარგ შეკრისებულ რიც თანხვედრას. სიხშირის დამყარების ოსცილოგრამები მოტანილია იმავე სურათზე მარჯვენა ზედა კუთხში.




სურ. 2.

სიხშირის დამყარება რეაქტორის ფილტრის მქონე სისტემაში მომუშავე რეაქტიული მიღავების ბადეზე მუდმივი ძაბვის სწორკუთხია იმპულსის მოდების შემთხვევაში სიხშირის დამყარების კანონს შემდეგი სახე აქვს:

$$\Delta f = -\frac{S_m^2 S_a}{1 + S_m S_a} E 1(t) + \frac{S_m^2 S_a}{(1 + S_m S_a) \sin \xi} E 1(t) e^{-\delta \tau} \sin(\omega t + \xi) - \frac{S_m^2 S_a}{1 + S_m S_a} E 1(t) e^{-\delta \tau} \sin \omega t + S_m E 1(t) \dots \quad (3)$$

მოცემული განტოლება გვიჩვენებს, რომ ამგხნების სიხშირის გადახრის სტაციონარული მდგენელების $S_m E 1(t)$ და $-\frac{S_m^2 S_a}{1 + S_m S_a} E 1(t)$ გარდა, რხევად-მიღევადი ხასიათის მქონე გარდამავალი პროცესის მდგენელებიც (მეორე და მესამე მდგენელი) აქვს, რომლებიც ერთმანეთისაგან $\xi = \arctg \frac{\omega}{\delta}$ [1] კუთხით არის განხრილი.



ნახ. 3.

აშკარაა, რომ გარდამავალი პროცესის მიმღინარეობაზეა დამოკიდებული სიხშირის დამყარების ხასიათი და სიგნალის ფორმა.

(3) განტოლებაში, გარდა უკვე ცნობილი სიდიდეებისა:

$$\omega = \frac{1}{T} \sqrt{\frac{1 + S\delta S_m}{n} - \frac{1}{4} \left(1 + \frac{1}{n} + \frac{1}{m} \right)^2} \text{ თავისუფალ რხევათა სიხშირეა,}$$

$$\delta = -\frac{1}{2} \left(1 + \frac{1}{n} + \frac{1}{m} \right) \text{ სისტემაში რხევათა მილევის კოეფიციენტია,}$$

$$n = \frac{RC_1}{rc} - \text{წარმოადგენს ფილტრის შემორჩენის დროს } \frac{\text{უჯრედი}}{\text{უჯრედი}} \text{ და } \frac{R}{r} - \text{გამფილტრავი}$$

შეფარდებას პირველი უჯრედის დროის მუდმივასთან, $m = \frac{R}{r} - \text{გამფილტრავი}$ მოწყობილობის მეორე და პირველი უჯრედის წინაღობათა შეფარდებაა.

(3) განტოლება სწორად გაძმოსტევს სისტემაში სიხშირის დამყარების სურათს, რაც დასტურდება სურ. 3-ზე წარმოდგენილ ამ ფორმულის თანახმად გათვლილი მრუდის ოსცილოგრამასთან შედარებით. გათვლილი მრუდი და ოსცილოგრამა შემდეგ შემთხვევას აღწერენ: $n = 10$; $T_y = 0,001$ სეკ; $T = 0,0065$ სეკ; $RC_1 = 0,0065$ სეკ.; $r = 10^5$ ომს; $m = 5$; $S\theta = 4,4$ $\frac{\text{ვოლტი}}{\text{კ. ჰერცი}}$; $S_m = 2,5$ $\frac{\text{კ. ჰერცი}}{\text{ვოლტი}}$

ვკმაყოფილდებით რა ერთი მრუდის მოტანით, საჭიროდ ვთვლით აღნიშნოთ, რომ სისტემის გაზრდილი დროის მუდმივას T_y -ის პირობებში სიხშირის დამყარების მრუდი და სიგნალის ფორმა უფრო ნაკლებადაა დამახინჯებული.

ექსპერიმენტი ჩატარებულია სიხშირე-მოდულირებული გადაცემის ამგზნებ გენერატორზე, რომლის სქემაც სურ. 1-ზე წარმოდგენილ საერთო ბლოკ-სქემის მიხედვით იყო აწყობილი. ოსცილოგრამების დასამზრად კათოდური ოსცილოგრაფი ერთდებოდა ამგზნებთან დაკავშირებული სიხშირის დეტაქტორის გამოსვლაზე.

განსაზღვრული ხანდაზმულობის მქონე ოთხუთხა იმპულსების მიწოდება რეაქტორული მიღაკების კათოდის წრედში ჩართული წინაღობის დამოკლებით წარმოებდა.

დასკვნა

საშუალო სიხშირის ავტომატური სტაბილიზაციის მქონე რეაქტორულ მილაკებზე მომუშავე სიხშირე-მოდულირებულ ამგზნებში, ერთუჯრედიანი გამფილტრავი მოწყობილობით, გარდამავალი პროცესის ხასიათი აპერიოდულია და სიგნალის ფორმა ნაკლებადაა დამახინჯებული, ვიდრე ორუჯრედიანი გამფილტრავი მოწყობილობის მქონე სისტემაში. ამისათვის გამფილტრავი მოწყობილობის სქემის ამორჩევისას ამ მდგომარეობასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

ამ შრომის შედეგი აღასტურებს აღრე [2] მიღებულ დასკვნებს.

ლიტერატურა

1. К. А. Круг, Основы электротехники, т. II. Госэнергоиздат, М.—Л., 1946 г.
2. III. L. Бебиашвили, Исследование переходного режима в частотном модуляторе на реактивных лампах: Труды Тбилисского гос. университета имени СТАЛИНА, XXXIII а, 1949.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რადიოფიზიკის კაფედრა

Ш. Л. Бебиашвили

Установление частоты в частотно-модулированном возбуждителе на реактивных лампах

Резюме

В частотно-модулированном возбуждителе на реактивных лампах с автоматической стабилизацией средней частоты, блок-схема которого представлена на рис. 1, при действии на сетку модуляторной лампы единичного прямоугольного импульса напряжения $E_1(t)$, отклонение частоты в общем виде является функцией параметров схемы и действующего модулирующего напряжения [1].

Можно утверждать, что характер установления частоты и величина параметра A в зависимости от схемы фильтрующего устройства, имеющего наибольшую постоянную времени в возбудителе, будут различными. Отсюда очевидно, что и форма сигнала на выходе возбудителя будет в разной степени искажена.

В работе рассматривается установление частоты в системах с однозвенным и двухзвенным фильтрующим устройством, имеющим наибольшее распространение.

В системах с однозвенным и двухзвенным фильтрующим устройством закон установления частоты выражается формулами (2) и (3) соответственно. Кривые, рассчитанные по этим формулам для разных величин постоянной времени системы и фильтра, представленные на рис. 2 и 3, дают достаточно хорошее качественное совпадение с экспериментальными осциллограммами. Осциллограммы процесса установления частоты приводятся на тех же рисунках в правом верхнем углу.

Можно заключить, что в частотно-модулированном возбудителе на реактивных лампах с автоматической подстройкой средней частоты с фильтрующим устройством из одного звена, характер переходного процесса апериодический и форма сигнала менее искажена, чем в системе с фильтрующим устройством, имеющим два звена. Поэтому при выборе схемы фильтрующего устройства и на это обстоятельство следует обратить должное внимание.

Результат данной работы подтверждает выводы, сделанные ранее [2].

6. პაგარები

ილია ლევაშვილი ერთდროულად მოქავი რჩი უსასრულოდ გრძელი ნიუკონი ტილინგრის პილარდინამიკაზე ერთიანთქმებები

§ 1. საექითხის დახმა

განვიხილოთ ორი უსასრულოდ გრძელი წრიული ცილინდრების ერთდროული მოძრაობა უსასრულო მოცულობის იდეალურ სითხეში, რომელიც უსასრულობაში უძრავია.

დავუშვათ, რომ ცილინდრები აწარმოებენ ბრტყელ ძრაობას მათი ღერძების მართობულ სიბრტყეებში. მივიღოთ, რომ მოძრაობის ღროს ცილინდრის ღერძები რჩებიან ურთიერთპარალელურნი. ასეთ პირობებში სითხის ძრაობაც იქნება ბრტყელი. ყველა იმ სიბრტყეში, რომლებიც გატარებულია ცილინდრის ღერძების მართობულად, სითხის მოძრაობის სურათი იქნება ერთი და იგივე, ამიტომ საკმარისია შევისწავლოთ სითხის მოძრაობა ერთ-ერთ სიბრტყეში, რომელსაც შემდეგში ჩვენ მივიღებთ xoy სიბრტყედ, შევარჩევთ რა კოორდინატთა ძირითადი (ინერციული) სისტემის x და y ღერძებს იმავე სიბრტყეში.

ადვილად გასაგებია, რომ ძირითადი სისტემის z ღერძი თრიენტირებული იქნება ცილინდრების ღერძების პარალელურად.

აღვნიშნოთ ξ_1 , η_1 , ξ_1 და ξ_2 , η_2 , ξ_2 მოძრავი ცილინდრების xoy სიბრტყით კვეთის წრეებაზების ცენტრების კოორდინატები—სათანადოდ x , y და z ღერძებზე.

ცხადია, რომ, საზოგადოდ, $\xi_1 = \xi_1(t)$, $\eta_1 = \eta_1(t)$, $\xi_1 = 0$, $\xi_2 = \xi_2(t)$, $\eta_2 = \eta_2(t)$, $\xi_2 = 0$ (აქ t -თი აღვნიშნულია ღრო).

პირველ ცილინდრზე მოქმედი სითხის პიდროდინამიკური რეაქციის მთავარი ვექტორი აღვნიშნოთ \vec{F}_1 -ით, ხოლო მეორე ცილინდრზე მოქმედი სითხის პიდროდინამიკური რეაქცია \vec{F}_2 -ით (იგულისხმება ძალები მოქმედი სიგრძის ერთეულზე).

თუ სითხის პიდროდინამიკური რეაქციის ნაზრდებს პირველ და მეორე ცილინდრებისთვის, რომლებიც შესაბამისად გამოწვეულია მეორე და პირველ ცილინდრებით, აღვნიშნავთ $\vec{\Delta}F_1$ -ით და $\vec{\Delta}F_2$ -ით, ცხადია, რომ:

$$\overline{F}_1 = \overline{F}_{1,0}^* + \Delta \overline{F}_1$$

$$\overline{F}_2 = \overline{F}_{2,0}^* + \Delta \overline{F}_2,$$



სადაც $\overline{F}_{1,0}^*$ და $\overline{F}_{2,0}^*$ წარმოადგენენ სითხის ჰიდროლიდინამიკური რეაქციის მთავარ ვექტორებს პირველი და მეორე ცილინდრების იზოლირებული მოძრაობის დროს (სათანადოდ პირველსა და მეორე ცილინდრებზე).

ვექტორებს $\Delta \overline{F}_1$ და $\Delta \overline{F}_2$ -ს შემდგომში ვუწოდოთ პირველ და მეორე ცილინდრებზე მოქმედი პონდერომოტორული ძალები.

როგორც ცნობილია, იდეალური სითხის მოძრაობა, რომელიც გამოწვეულია მასში ჩაძირული მყარი სხეულების მოძრაობით, თუ საწყის მომენტში $t=0$ სისტემა: სითხე+მყარი სხეულები წონასწორობაში იყო, იქნება პოტენციალური მოძრაობა (თუ საწყის მომენტში მორევები სითხეში არ გვქონდა და სითხეზე მოქმედი გარე ძალები პოტენციალურია).

\overline{F}_1 და \overline{F}_2 ვექტორების მოსახებნად უნდა განვსაზღვროთ სითხის სიჩქარის პოტენციალი φ (x, y, t), რომელიც საშუალებას მოგვცემს განვითარებულ ცილინდრის ზედაპირზე ჰიდროლიდინამიკური ჭნევა შემდეგი ფორმულით:

$$P(xy) = \rho \cdot u (xy) - \rho \frac{\partial \varphi}{\partial t} - \frac{1}{2} \rho \cdot \text{grad}^2 \varphi + \psi(t),$$

სადაც ρ — სითხის სიმკვრივეა.

u — სითხეზე მოქმედი გარე ძალების პოტენციალი, $\psi(t)$ — დროის გარევეული ფუნქცია, რომელიც მთავარი ვექტორის განსაზღვრის დროს არავითარ როლს არ თამაშიობს.

(სხეულის სიმყარის გამო იგი იძლევა თანაბარ კუმშვას, რომლის მთავარი $\overline{\text{ვექტორი}} = 0$).

თუ იმ ძალას, რომელიც პირველი ცილინდრის სიგრძის ერთეულზე მოქმედებს, გამოვითვლით ამავე ცილინდრებზე მოქმედი სითხის ჰიდროლიდინამიკური ჭნევის განაწილების საშუალებით, უნდა მივმართოთ შემდეგ ფორმულას:

$$\overline{F}_1 = -\oint p \overline{n} de_1,$$

სადაც: n ზედაპირის გარე ნორმალია, ხოლო de_1 — პირველი ცილინდრის ზედაპირის xoy სიბრტყით კვეთის წრეხაზის ელემენტი. ანალოგიურად მეორე ცილინდრისათვის გვექნება:

$$\overline{F}_2 = -\oint p \overline{n} de_1.$$

რადგან პირველი და მეორე ცილინდრების ზედაპირებზე სითხის ჰიდროლიდინამიკური რეაქციის განსაზღვრისათვის აუცილებელია, პირველ ყოვლისა, სითხის სიჩქარის პოტენციალის განსაზღვრა, ამიტომ შემდგომ პარაგრაფში ჩვენ შევუდგებით ამ ამოცანის გადაწყვეტას.

§ 2. სითხის სიჩქარის პოზიციის განსაზღვრა



ვთქვათ, a_1 და a_2 იყოს პირველი და მეორე ცილინდრის რადიუსების
მაშინ, როგორც ცნობილია, პირველი ცილინდრის მოძრაობით გამოწვეული
სითხის სიჩქარის პოტენციალი, როდესაც იგი მარტოდმარტო მოძრაობს სი-
თხეში, შემდეგნაირად გამოისახება:

$$\varphi^1_1 = a_1^2 u_1 (\bar{e}_1 \Delta_1) \ln r_1, \quad (2.1)$$

სადაც

$$\nabla_1 = \bar{i} \frac{\partial}{\partial \xi_1} + \bar{j} \frac{\partial}{\partial \eta_1}$$

სიმბოლური ოპერატორია, \bar{i} და \bar{j} — საკოორდინატო ღერძების მეცნავები,
ხოლო u_1 — ცილინდრის სიჩქარის მოდული და e_1 — ცილინდრის სიჩქარის ერ-
თულოვანი ვექტორი. $r_1 = -[(x - \xi_1)^2 + (y - \eta_1)^2]^{1/2} - xoy$ სიბრტყით კვეთის წრე-
საზის ცენტრიდან მანძილია სითხის ნებისმიერ (xy) წრეტილამდე.

ამასთანავე (2.1) ფორმულაში ფრჩხილები აღნიშნავენ სკალარულ გამ-
რავლებას, ე. ი.

$$(\bar{e}_1, \nabla_1) = \frac{\partial}{\partial \xi_1} \cos \alpha_1 + \frac{\partial}{\partial \eta_1} \cos \beta_1.$$

(აქ $\cos \alpha_1$ და $\cos \beta_1$ ცილინდრის კვეთის წრეხაზის ცენტრის სიჩქარის მიერ x
და y ღერძებთან შედეგნილი კუთხეების კოსინუსებია).

სითხის სიჩქარის პოტენციალი, როდესაც მაშინ მოძრაობს ერთადერთი
მეორე ცილინდრი, (2.1) გამოსახულების ანალოგიურად, გამოისახება შემ-
დეგნაირად:

$$\varphi^2_2 = a_2^2 u_2 (\bar{e}_2 \nabla_2) \ln r_2, \quad (2.2)$$

სადაც

$$r_2 = [(x - \xi_2)^2 + (y - \eta_2)^2]^{1/2},$$

$$(\bar{e}_2, \nabla) = \frac{\partial}{\partial \xi_2} \cos \alpha_2 + \frac{\partial}{\partial \eta_2} \cos \beta_2;$$

u_2 — მეორე ცილინდრის სიჩქარის მოდულია. (აქ $\cos \alpha_2$, $\cos \beta_2$ — მეორე ცილინ-
დრის კვეთის წრეხაზის ცენტრის სიჩქარის მიერ x და y ღერძებთან შედე-
გნილი კუთხის კოსინუსებია).

განვიხილოთ ფუნქციათა სისტემა:

$$\begin{aligned} \varphi_1^2 &= a_2^2 a_1^2 u_1 \left\{ \frac{\partial}{\partial \xi_1} (\bar{e}_1, \nabla) \ln R_{12} \frac{\partial}{\partial x} \ln \left(\frac{1}{r_2} \right) + \right. \\ &\quad \left. + \frac{\partial}{\partial \eta_1} (\bar{e}_1, \nabla_1) \ln R_{12} \frac{\partial}{\partial y} \ln \left(\frac{1}{r_2} \right) \right\} + \\ &+ \frac{a_2^4 a_1^2}{2} u_1 \left\{ \frac{\partial^2}{\partial \xi_1^2} (\bar{e}_1, \nabla_1) \ln R_{12} \left[\frac{1}{a_2^2} \ln \left(\frac{1}{r^2} \right) + \frac{1}{2} \frac{\partial^2}{\partial x^2} \ln \left(\frac{1}{r_2} \right) \right] + \right. \end{aligned}$$

$$\begin{aligned}
 & + \frac{\partial^2}{\partial \eta_1^2} (\bar{e}_1, \nabla_1) \ln R_{12} \left[\frac{1}{a_2^2} \ln \left(\frac{1}{r_2} \right) + \frac{1}{2} \frac{\partial^2}{\partial y^2} \ln \left(\frac{1}{r_2} \right) \right] + \text{გრაფიკული გვ. 2} \\
 & + \frac{\partial^2}{\partial \xi_1 \partial \eta_1} (\bar{e}_1, \nabla_1) \ln R_{12} \frac{\partial^2}{\partial x \partial y} \ln \left(\frac{1}{r_2} \right) \} + \dots \\
 \varphi_1^2 = & a_2^2 a_1^2 u_2 \left\{ \frac{\partial}{\partial \xi_2} (\bar{e}_2, \nabla_2) \ln R_{21} \frac{\partial}{\partial x} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) + \right. \\
 & + \frac{\partial}{\partial \eta_2} (\bar{e}_2, \nabla_2) \ln R_{21} \frac{\partial}{\partial y} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) \} + \\
 & + \frac{a_2^2 a_1^4}{2} u_2 \left\{ \frac{\partial^2}{\partial \xi_2^2} (\bar{e}_2, \nabla_2) \ln R_{21} \left[\frac{1}{a_1^2} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) + \frac{1}{2} \frac{\partial^2}{\partial x^2} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) \right] + \right. \\
 & + \frac{\partial^2}{\partial \eta_2^2} (\bar{e}_2, \nabla_2) \ln R_{21} \left[\frac{1}{a_1^2} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) + \frac{1}{2} \frac{\partial^2}{\partial y^2} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) \right] + \\
 & \left. + \frac{\partial^2}{\partial \xi_2 \partial \eta_2} (\bar{e}_2, \nabla_2) \ln R_{21} \frac{\partial^2}{\partial x \partial y} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) \right\} + \dots
 \end{aligned}$$

შეიძლება დავამტკიცოთ, რომ სიჩქარის პოტენციალის მიახლოებითი მნიშვნელობა წევრებამდე სიზუსტით, რომლებიც პროპორციული არიან R^{-4}_{12} -სა, შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც

$$\varphi = \varphi_1^1 + \varphi_2^2 + \varphi_1^2 + \varphi_2^1. \quad (2.3)$$

დასამტკიცებლად შევნიშნოთ, რომ ფუნქცია განსაზღვრული (2.3) ტოლობით აკმაყოფილებს ლაპლასის განტოლებას

$$\Delta \pi = 0.$$

მართლაც, როგორც უკვე ვიცით,

$$\Delta \varphi_1^1 = \Delta \varphi_2^2 = 0;$$

გარდა ამისა, რადგან

$$\begin{aligned}
 \Delta \frac{\partial}{\partial x} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) &= 0, & \Delta \frac{\partial}{\partial x} \ln \left(\frac{1}{r_2} \right) &= 0, \\
 \Delta \frac{\partial}{\partial y} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) &= 0, & \Delta \frac{\partial}{\partial y} \ln \left(\frac{1}{r_2} \right) &= 0, \\
 \Delta \frac{\partial^2}{\partial x \partial y} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) &= 0, & \Delta \frac{\partial^2}{\partial x \partial y} \ln \left(\frac{1}{r_2} \right) &= 0,
 \end{aligned}$$

ცხადია, რომ $\Delta \varphi_1^2 = \Delta \varphi_2^1 = 0$ და, მაშასადამე, $\Delta \varphi = 0$.

ვაჩვენოთ ახლა, რომ ფ ფუნქცია, როგორც პირველი ცილინდრის კვეთის წრეხაზე, ისე შეორე ცილინდრის კვეთის წრეხაზე აკმაყოფილებს სი-

თხის სრიალის სასაზღვრო პირობას იმ წევრებამდე სიზუსტით, რომელიც
პროპორციული არიან $R^{-\frac{4}{12}}$ სიდიდისა.

თუ სიმბოლურად პირველი ცილინდრის კვეთის წრეხაზის კონტურს აღ-
ვნიშნავთ (S_1)-ით, ხოლო მეორისას — (S_2)-ით, ცხადია, რომ:

$$\left[\frac{\partial \varphi}{\partial n} \right]_{(S_1)} = \left[\frac{\partial \varphi^1_1}{\partial n} \right]_{(S_1)} + \left[\frac{\partial \varphi^2_2}{\partial n} \right]_{(S_1)} + \left[\frac{\partial \varphi^2_1}{\partial n} \right]_{(S_1)} + \left[\frac{\partial \varphi^1_2}{\partial n} \right]_{(S_1)},$$

$$\left[\frac{\partial \varphi}{\partial n} \right]_{(S_2)} = \left[\frac{\partial \varphi^1_1}{\partial n} \right]_{(S_2)} + \left[\frac{\partial \varphi^2_2}{\partial n} \right]_{(S_2)} + \left[\frac{\partial \varphi^2_1}{\partial n} \right]_{(S_2)} + \left[\frac{\partial \varphi^1_2}{\partial n} \right]_{(S_2)}.$$

(აქ $\frac{\partial}{\partial n}$ აღნიშნავს გაწარმოებას კონტურის ნორმალის გასწვრივ).

ჩვენ აქ ვაჩვენებთ, რომ სრიალის სასაზღვრო პირობა კმაყოფილდება პირველი ცილინდრის ზედაპირზე; ანალოგიურად შეიძლება ვაჩვენოთ, რომ იგივე პირობები ზემოხსენებული სიზუსტით კმაყოფილდებიან მეორე ცილინ-დრის კვეთის წრეხაზის კონტურზე.

შემოვიღოთ პოლარ კოორდინატთა სისტემა, რომლის სათავე ავიღოთ პირველი ცილინდრის კვეთის წრეხაზის ცენტრში, ხოლო პოლარული ღერძი დაგამთხვიოთ x ღერძს.

ცხადია, შეიძლება დაგწეროთ, რომ

$$x - \xi_1 = r_1 \cos \vartheta; \quad y - \eta_1 = r_1 \sin \vartheta;$$

$$\begin{aligned} \frac{\partial}{\partial x} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) &= -\frac{x - \xi_1}{r_1^2} = -\frac{\cos \vartheta}{r_1}; \quad \frac{\partial}{\partial y} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) = -\frac{\sin \vartheta}{r_1}; \\ \frac{\partial^2}{\partial x^2} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) &= -\frac{1}{r_1^2} + \frac{2 \cos^2 \vartheta}{r_1^3}; \quad \frac{\partial^2}{\partial y^2} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) = -\frac{1}{r_1^2} + \frac{2 \sin^2 \vartheta}{r_1^3}; \quad (2.4) \\ \frac{\partial^2}{\partial x \partial y} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) &= \frac{2 \sin \vartheta \cos \vartheta}{r_1^3} \end{aligned}$$

გავშალოთ φ^2_2 ფუნქცია პირველი წრეხაზის ცენტრის o_1 წერტილის ვარშემო ტეილორის მცკრივად და შევინარჩუნოთ $R^{-\frac{4}{12}}$ სიდიდის პროპორციული წევრები; გვექნება:

$$\varphi^2_2 = a^2_2 u_2 \quad (\bar{e}_2, \nabla_2) \ln R_{21} + a^2_2 u_2 (\bar{e}_2, \nabla_2) \left[\frac{\partial}{\partial x} \ln r_2 \right] \chi = \xi_1 \cdot (x - \xi_1) +$$

$$+ a^2_2 u_2 \quad (\bar{e}_2, \nabla_2) \left[\frac{\partial}{\partial y} \ln r_2 \right] \chi = \xi_1 \cdot (y - \eta_1) +$$

$$+ \frac{a^2_2 u_2}{2} \quad (\bar{e}_2, \nabla_2) \left[\frac{\partial^2}{\partial x^2} \ln r_2 \right] \chi = \xi_1 \cdot (x - \xi_1)^2 +$$



$$+ \frac{a_2^2 u_2}{2} (\bar{e}_2, \nabla_2) \left[\frac{\partial^2}{\partial y^2} \ln r_2 \right] \chi = \xi_1 \cdot (y - \eta_1)^2 + \\ + a_2^2 u_2 (\bar{e}_2, \nabla_2) \left[\frac{\partial^2}{\partial x \partial y} \ln r_2 \right] \chi = \xi_1 \cdot (\chi - \xi_1) (y - \eta_1) + \dots$$

თუ მხედველობაში მივიღებთ (2.4) ფორმულებს, შეგვიძლია დავწეროთ, რომ

$$\varphi_2^2 = a_2^2 u_2 (\bar{e}_2, \nabla_2) \ln R_{21} - a_2^2 u_2 (\bar{e}_2, \nabla_2) \frac{\partial}{\partial \xi_2} \ln R_{21} \cdot r_1 \cos \vartheta + \\ + a_2^2 u_2 (\bar{e}_2, \nabla_2) \frac{\partial}{\partial \eta_2} \ln R_{21} r_1 \sin \vartheta + \frac{a_2^2 u_2}{2} (\bar{e}_2, \nabla_2) \frac{\partial^2}{\partial \xi_2^2} \ln R_{21} \cdot r_1^2 \cos^2 \vartheta + \\ + \frac{a_2^2 u_2}{2} (\bar{e}_2, \nabla_2) \frac{\partial^2}{\partial \eta_2^2} \ln R_{21} \cdot r_1^2 \sin^2 \vartheta + \\ + a_2^2 u_2 (\bar{e}_2, \nabla_2) \frac{\partial^2}{\partial \xi_2 \partial \eta_2} \ln R_{21} \cdot r_1^2 \sin \vartheta \cos \vartheta + \dots \quad (2.5)$$

უკანასკნელ ფორმულაში მხედველობაშია მიღებული, რომ

$$r_2 = [x - \xi_2]^2 + (y - \eta_2)^{1/2}$$

და, მაშასადამე,

$$\left[\frac{\partial}{\partial x} \ln r_2 \right] \chi = \xi_1 = - \frac{\partial}{\partial \xi_2} \ln R_{21}; \quad \left[\frac{\partial}{\partial y} \ln r_2 \right] \chi = \xi_1 = - \frac{\partial}{\partial \eta_2} \ln R_{21}, \\ \left[\frac{\partial^2}{\partial \chi \partial y} \right] \chi = \xi_1 = - \frac{\partial^2}{\partial \xi_2 \partial \eta_2} \ln R_{21}.$$

ანალოგიური გამოთვლების ჩატარებით დავრწმუნდებით, რომ ფუნქცია φ_1^2 პირველი ცილინდრის კვეთის ცენტრის მახლობლობაში მოგვცემს გამოსახულებას:

$$\varphi_1^2 = - \frac{a_2^2 a_1^2 u_2}{r_1} \left\{ \frac{\partial}{\partial \xi_2} (\bar{e}_2, \nabla_2) \ln R_{21} \cos \vartheta + \frac{\partial}{\partial \eta_2} (\bar{e}_2, \nabla_2) \ln R_{21} \sin \vartheta \right\} \\ + \frac{a_2^2 a_1^4}{2} u_2 \left\{ \frac{\partial^2}{\partial \xi_2^2} (\bar{e}_2, \nabla_2) \ln R_{21} \left[\frac{1}{a_1^2} \ln \left(\frac{1}{r_1} \right) - \frac{1}{2r_1^2} + \frac{\cos^2 \vartheta}{r_1^2} \right] + \right. \\ \left. + \frac{\partial^2}{\partial \eta_2^2} (\bar{e}_2, \nabla_2) \ln R_{21} \left[\frac{1}{a_1^2} l \frac{1}{r_1} - \frac{1}{2r_1^2} + \frac{\sin^2 \vartheta}{r_1^2} \right] + \right. \\ \left. + 2 \frac{\partial^2}{\partial \xi_2 \partial \eta_2} (\bar{e}_2, \nabla_2) \ln R_{21} \frac{\cos \vartheta \sin \vartheta}{r_1^2} \right\}. \quad (2.6)$$

რაც შეეხება ფუნქცია φ_1^2 , იგი პირველი ცილინდრის კვეთის წრეზე შემობლობაში იძლევა წევრებს, რომლებიც პროპორციული არიან R_{12}^{-1} -სა და \dot{R}_{12}^{-1} -სა და $\dot{\eta}_1$ მიღებული სიზუსტე უფლებას არ გვაძლევს მის შენარჩუნებისას.

თუ მხედველობაში მივიღეთ, რომ

$$\left[\frac{\partial \varphi_1^2}{\partial n.} \right]_{s_1} = \frac{d\xi_1}{dt} \cos \vartheta + \frac{d\eta_1}{dt} \sin \vartheta$$

და (2.5) და (2.6) ფორმულებიდან განვსაზღვრავთ პირველი ცილინდრის კვეთის კონტურისათვის სითხის სიჩქარის ნორმალურ კომბონენტებს, რომლებიც დაკავშირებულია φ_2^2 და φ_2^1 ფუნქციებთან, ე. ი. სიდიდეებს:

$$\left[\frac{\partial \varphi_2^2}{\partial n} \right]_{s_1} = \left[\frac{\partial \varphi_2^2}{\partial r_1} \right]_{r_1=a_1}; \quad \left[\frac{\partial \varphi_2^1}{\partial n} \right]_{s_1} = \left[\frac{\partial \varphi_2^1}{\partial r_1} \right]_{r_1=a_1}$$

ადვილად დავტრიმუნდებით, რომ

$$\left[\frac{\partial \varphi_2^2}{\partial r_1} \right]_{r_1=a_1} = - \left[\frac{\partial \varphi_2^1}{\partial n} \right]_{r_1=a}$$

და ამიტომ

$$\left[\frac{\partial \varphi}{\partial n} \right]_{s_1} = \left[\frac{\partial \varphi}{\partial r_1} \right]_{r_1=a_1} = \left[\frac{\partial \varphi_1^1}{\partial r_1} \right]_{r_1=a_1} = \frac{d\xi_1}{dt} \cos \vartheta + \frac{d\eta_1}{dt} \sin \vartheta.$$

ამით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ სიზუსტით R_{12}^{-1} სიდიდის პროპორციული წევრებისა პირველი ცილინდრის ზედაპირზე სასაზღვრო პირობები პოტენციალისათვის დაცულია.

ამგვარადვე დამტკიცება, რომ ფ ფუნქცია აქმაყოფილებს სითხის სრიალის პირობას მეორე ცილინდრის კვეთის კონტურზე და, მაშასადამე, სითხის სიჩქარის საძიებელი პოტენციალი, ჩვენ მიერ მიღებული სიზუსტით, იდენტურია ფ ფუნქციისა.

განვსაზღვროთ ფ ფუნქციის ის კერძო მნიშვნელობათა ერთობლიობა, რომელსაც იგი ღებულობს პირველი ცილინდრის კვეთის კონტურზე. (2.1) ტოლობიდან მივიღებთ:

$$[\varphi_1^1]_{s_1} = [\varphi_1^1]_{r_1=a_1} = -a_1 \left(\frac{d\xi_1}{dt} \cos \vartheta + \frac{d\eta_1}{dt} \sin \vartheta \right).$$

თუ (2.5) და (2.6) ფორმულებში დავუშვებთ $r_1=a_1$, ადვილად გამოვითვლით, რომ

$$[\varphi]_{(s_1)} = [\varphi]_{r_1=a_1} = [\varphi_1^1]_{r_1=a_1} + [\varphi_2^2]_{r_1=a_1} + [\varphi_2^1]_{r_1=a_1} = -a_1 \left(\frac{d\xi_1}{dt} \cos \vartheta + \frac{d\eta_1}{dt} \sin \vartheta \right)$$

$$+ \frac{d\eta_1}{dt} \sin \vartheta \right) + a_2^2 u_2 (\bar{e}_2, \nabla_2) \ln R_{21} - 2a_1 a_2^2 u_2 (\bar{e}_2, \nabla_2) \left(\frac{\partial}{\partial \xi_1} \ln R_{21} \cos \vartheta + \right.$$

$$\begin{aligned}
დებოდა ¹. ძირითად ობიექტად გამოყენებული იყო გექონი—*Tarentola mauri-
tanica* (6 ასაკი); ხელიკი—*Lacerta* sp. (5 ასაკი); გარდა ამისა, შედარე-
ბისთვის შესწავლილ იქნა სეფსის (*Chalcides tridactylus*), ქამელონის (*Cha-
maeleo* sp.) და ანკარას (*Natrix natrix*) ცალკეული ემბრიონები; ნაშილობრივ
გამოყენებულ იქნა ამფიბიებიც, კერძოდ აქსოლოტლი (*Ambystoma mexicanum*).

მასალა მუშავდებოდა შედარებით-ემბრიოლოგიური გამოკვლევებისათვის ჩვეული მეთოდით: ფიქსირებული ემბრიონები ტოტალურად იღებებოდა ბორის კარმინით, ყალიბდებოდა პარაფინში და იჭრებოდა მიკროტომით 8—10 მიკრონის სისქის სერიულ ანათლებად. ლიფერენციალური შეღება მალორის მეთოდით ხდებოდა. ჩახატავა აბეს სახატავი აპარატისა და ედინგერის სახატავი-საპროექციო აპარატის მეშვეობით წარმოებდა. ცალკეული სერიებისა-გან კაზჩენკოს შეთოდით გრაფიკული რეკონსტრუქციები იყო გავრცებული.

III. ԱԼԵՎԱՐՈՒԹՈ ԵԱՑՈՂՈ


1. گزمو (Tarentola mauritanica)

განვითარების აღრეულ პერიოდში (ემბრ. I) ოქემის ნაღრუეკი მეტად ძლიერად გამოხატული. ოვალები შედარებით მცირე ზომისაა, სქელკედლიანია, ოვალის ღრუ არაა დიდი მოცულობისა, ბორლის ფარდობითი ზომა ძალიან დიდია. ოვალის კაკლის მედიალური ზედაპირი რამდენადღე გაბრტყელებულია. მანძილი ოვალებს შორის უაღრესად დიდია. მთელი შორისული ტვინი და ნაჭილობრივ წინა ტვინი ოვალბუდებულის სივრცეში ძევს. მხედველობის ნერვი ჰორი-

¹ რეპტილიების გმბრიონები მიღებული იყო პროფ. ბ. მატვეევისაგან მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლეჯიდან. გარდა ამისა, გამოყენებულ იქნა მხარ პრეპარატები აკად. ა. სკვერცოვისა და პროფ. ს. ემელიანოვის კოლეჯიდან (სსრ კაშირის მცნიობებათა აკადემიის სკვერცოვის სახელმბის ცხოველთა მორფოლოგიის ინსტრუმეტი).

ზონტალურია, სხეულის ღერძთან იგი მართ კუთხესა ქმნის. ორგანოები ვა-რემოცულია ნაზი მეზენქიმით, რომელშიც ქალის ელემენტთა ნერვულმა ფუნქციებმა ვარჩევთ.

ოდნავ უფრო გვიან (ემბრ. II; სურ. 1) თვალები რამდენადმე უფრო დიდია, ვიღრე წინა სტადიაზე. მათი ფორმა დაახლოებით ისეთივეა. უკვე იწყება ტვინის ფუძის გა-მართვა. თვალების კუდო-ლატერალურად ეხედავთ თვალის კუნთების ნერვებს, რომლებიც ინტერორბიტა-ლურ სივრცეშია შექრილი. ჩონჩხი ტრაბეკულების ნაზი, მეზენქიმოვანი ნერვებითაა წარმოდგენილი; ტრაბეკუ-ლების ნერვები ურთიერთი საგან დიდი მანძილითაა და-კილებული და ტვინის ფუ-ძის დონეზე ძევს.




სურ. 1. გეკონი, II. განვით ჭრილი თვალების მიდამოში.

მომხდარა. თვალსაჩინოდ მატულობს თვალების ზომა და თვალის კაკალი უკვე სფე-რულ ფორმას ღებულობს. უფრო მჭიდროა ტრაბეკულების ხერგების ქსოვილი.

მნიშვნელოვნაუ უფრო გვიან ემბრიონთან (ემბრ. IV; სურ. 2) თვის ის ორგანოთა განვითარება მნიშვნელოვნადაა წასული წინ. თავი უფრო გრძელია, ფართო და დაბალი, ვიღრე

წინათ, რაც ტვინის ნაღრე-კების გამართვის პროცეს-თანაა დაკავშირებული. წინა ტვინი უკვე დიფერენცირებულია: უკანა, ფართო ნაწილად. და წინა, ვიწრო ყნოსვის წილებად. შუა ტვინის ფარ-დობითი ზომა მნიშვნელოვნა-დაა შემცირებული და თხემის ბორცვი შედარებით მომცრო გამობერილობასლა ქმნის. თვალები ძალიან დიდი ზო-მისაა, საესებით ბურთისებ-რი; მხედველობის ნერვი მსხვილია, ისევე როგორც წინათ, ჰორიზონტალური;





სურ. 2. გეკონი, IV. განვით ჭრილი თვალების მიდამოში.

ზრდისა. ამის მიზეზი ისაა, რომ თვალის კაკლების ურთიერთთან დაახლოები ბის პროცესი ჯერ დაწყებული არაა, თვალის ზრდა ყოველი მიმართულებულ მათგარი თანაბრად ხდება. თვალბუდეთშორის სივრცეში წინა ტვინი თავისი მთავარი ნაწილით ძევს, მისი აწევა ქალის ფუძის დონიდან უკვე თვალსაჩინოა. ტრაბეკულების ნერგები ნაწილობრივ გახრტილებულია; პრეპიპოფიზურ ნაწილში ისინი დაახლოებული არიან ერთიმეორესთან და ფირფიტისბ სგავსად შევიდრი ქსოვილით შეკავშირებული. ამრიგად, ამ ასაკში უკვე შესამჩნევია ტროპიზაზა-ლურიობის ნიშნები.

მომდევნო ასაკში (ემბრ. V; სურ. 3) ადგილი აქვს იმ ტოპოგრაფიული ცვლილებების შემდგომ განვითარებას. რომელც წინა ასაკში იყო დაწყებული. შესამჩნევია ტვინის ფუძის გაშართვა. წინა ტვინის ფუძე უკვე თვალსაჩინოდა აწეული ქალის ფუძის ზემოთ. თვალბუდეთშორის მიღამოში ტვინის შევიწროებული ნაწილი ძევს, საკუთრივ ჰემისფეროები კი შორისული. ტვინის ღორსალურ მხარეზე გადადის. ინტერორბიტალური სივრცე კიდევ უფრო შევიწროებულია. ტრაბეკულები მოელ სიგრძეშე საერთო ტრაბეკულადა (trabecula communis)

შეზრდილი, მაგრამ მათი შევილადობა ჯერ კიდევ აშეარად ჩანს. თვალების

სურ. 3. გვ. 2 ნ. V. განვითარებული თვალების მიღამოში.



სურ. 4. გვ. 2 ნ. VI. განვითარებული თვალბუდეთშორისი მიღამოს უძლიერესი შევიწროების ადგილას.

მათ გვიან ემბრიონს, რომლის თავი და ცალკეული ორგანოები თითქმის

დასასრულ, VI ასაკი (სურ. 4) წარმოადგენს საკუთრის უძლიერესი შევიწროების ადგილას.

დეფინიტურია. თავი ბრტყელია და მოგრძო. ქვედა ყბა დინგის შვერის უკვე აღწევს; თვალების არე ფართოა; თვალებს კარგად აქვთ განვითარებული უზარესი განა და ქუთუთოები. ტვინის ნაწილების ტოპოგრაფია თითქმის დეფინიტურია: წინა ტვინის ნახევარსფეროები ზემოდან ფარავს შორისულ ტვინს, ყნოსვის წილები თვალებს წინაა გამოყევებული, ინტერორბიტალურ მიღამოში მხოლოდ ვიწრო ყნოსვის ტრაქტები იმყოფება. ტვინი ძალიან მაღლა აწეული და მისი ფუძე დიდადა დაცილებული ქალის ფუძეს. შუა ტვინი თხემის ბორცვს აღარა ქმნის. თვალები ძალიან დიდი ზომისაა; მხედველობის ნერვი ღლანა ქვევით და წინაა მიმართული, რაც მაჩვენებელია სხვა ორგანოების მიმართ წინ და ქვევით თვალების გადაადგილებისა. ამ ასაკში თვალბუდეთშორისი მიღამო უკვე დეფინიტურია: თვალები ძლიერაა ერთიმეორესთან დაახლოებული და მათ შორის სივრცე მეტისმეტად ვიწროა. ამრიგად, აქ უკვე აღგილი აქვს ე. წ. თვალების ჩაძირება.


სათანალოდ ძლიერაა შეცვლილი ქონდროკრანიუმის აგებულებაც; ტრაბეკულები საესტილ შერწყმულია საერთო ტრაბეკულად, ისე რომ მათი წყვილადობა სრულებით აღარა ჩანს. უკიდურესი წინა ნაწილის გარდა. საერთო ტრაბეკულას ზემოდან უერთდება თვალბუდეთშორისი ძგირე, რომლის დორსალური ნაწილი ორბიტალიების ვენტრალური ნაწილების ურთიერთთან შეზრდის შედეგია, ქვემო ნაწილი კი ახლადაა წარმოქმნილი. თვით ორბიტალიების შუაბაზზე შეერთებით შექმნილია ძგიდისზედა ფირფიტა (planum suprareptale), რომელიც თვალბუდეთშორის ძგიდეს ყრდნობა. ძგიდისზედა ფირფიტაზე წინა ტვინი ძეგს. თვალების ერთიმეორესთან მაქსიმალური დაახლოების ადგილას ძგიდისზედა ფირფიტა, რომელზედაც აქ მხოლოდ ყნოსვის ტრაბეკული ძეგს, ვიწრო ღარითა წარმოდგენილი, ხოლო ძგიდე აქ უალრესად გაღალია და თხელი. ამრიგად, ამ ასაკში ქალა ტიპობრივი ტროპიკაზალური აგებულებისაა.

2. ხვლიკი (Lacerta sp.)

უაღრეს ასაკში (ემბრ. I) თვალების ზომა შედარებით მცირეა. თვალის კაკალი ღლანა შებრტყელებულია მედიოლატერალურად. თვალებს შორის მანძილი ფრიად დიდია. ტვინის წინა ნაწილები, ძლიერი თხემის ნადრევის არსებობის გამო, თვალბუდეთშორის სივრცეშია მოქცეული და ვენტრალურ მხარეზეა მოკეცილი. ტრაბეკულები ჯერ არა ჩანარეგილი, ქალის ქორდალური ნაწილი კი წარმოდგენილია ფუძის ფირფიტის (planum basale) ნაზი მეზენქიმოვანი ნერგით. ეს ემბრიონი მნიშვნელოვნად უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე გეკონის განვითარების ზემოთ განხილული უაღრესი ჩანასახი.

შემდეგ ასაკში (ემბრ. II; სურ. 5) თავის ორგანოების ტოპოგრაფია-მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. პირველ ყოვლისა, აქ თვალების ზომის გადიდება და ფორმის შეცვლა აღსანიშნავი: თვალის კაკალს შეფარდებით უაღრესად დიდი ზომა აქვს და, ამავე დროს, იგი თითქმის სფერულია; მაგრამ მისი ზრდა, როგორც ჩანს, ყველა მიმართულებით თანაბრად ხდება, რის გამოც თვალების არეში თავი უაღრესად განიერია: მისი სიგანე როსტროპა-

რეეტალურ სიგრძეს აღემატება. თვალების დიდი ზომის მიუხედავად, ინტერ-ორბიტალური სივრცე ფრიად ფართოა, და წინა ტვინის მნიშვნელოვანების წილი, კერძოდ ჰემისფეროების უკანა ნახევარი და აგრეთვე შორისული ტვინი ამ სივრცეშია მოქცეული. შუა ტვინი ძალიან დიდია და დიდი ზომის თხე-მის ბორცვსა ქმნის.




სურ. 5. ხელიკი, II. თავის ორგანთა გრაფიკული რეკონსტრუქ-
ცია ფრონტალური ანათლების მიხედვით (ხედი ქვემოდან).

ჩონჩხის განვითარება მნიშვნელოვნადაა წასული წინ. ქალის ელემენტების უმეტესობა უკვე გახრტილებულია. მხოლოდ ტრაბეკულები და აგრეთ-ვე ინტერბალიები ჯერ კიდევ არ შეიცავს ხრტილოვან ქსოვილს. მანძილი ტრაბეკულებს შორის ფრიად დიდია და საერთო ტრაბეკულად მათი შეერთება ჯერ არაა დაწყებული. როგორც ვხედავთ, მაშინაც კი, როცა ქალის ელე-მენტები განვითარების საქმაოდ მაღალ ხარისხს აღწევენ, პლატიბაზალურობა ყველა თავისი ნიშნით ნათლადაა გამოხატული.

უფრო გვიან (ემბრ. III; სურ. 6) უკვე ვხვდებით ტრაბეკიბაზალურობის დამახასიათებელ მთელ რიგ ნიშნებს: თვალები კიდევ უფრო დიდია და სავ-სებით სფერული; შიგნითკენ მათი ინტენსიური ზრდის შედეგად, თვალბუდეთ-შორის არე შესამჩნევადა შეეგიროებული, თუმცა მანძილი თვალებს შორის ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია. წინა ტვინის ნახევარს ფეროს უკვე მსხლისებრი მოყვანილობა აქვს, ე. ი. იგი უკვე დიფერენცირებულია საკუთრივ ნახევარ-ს ფეროდ და ყნოსვის წილად; მისი ძალითადი მასა უკვე გაძევებულია ინ-ტერობიტალური სივრციდან, რომელშიც ჰემისფეროების მხოლოდ შევიწ-

როებული ნაწილილა. იმყოფება. მიუხედავად ამისა, ჰემისფეროებით შორი-
სული ტკინის შხოლოდ მცირედი ნაწილია დაფარული.


საქონის
მდგრადი
გეგმის
მიზანი



სურ. 6. ხ ვ ლ ი კ ი, III. თვალბუდეთშორისი მიღამოს უძ-
ლიერესი შევიწროების ადგილის განვით ჭრილი.

ტრაბეკულები უკვე იწყებენ საერთო ტრაბეკულის შექმნას, ისინი მჭიდ-
როდ ეკვრიან ერთომეორეს და სულ წინა ბოლოებით შერწყმულიც არიან,
უკანა ნაწილში კი ორ პარალელურ ღეროს წარმოადგენენ. ორბიტალიები
კვლავინდებურად ფართოდაა გადაშლილი, მაგრამ თვალების მაქსიმალური
დაახლოების ადგილას მათი ვერტრალური კიდეები უკვე უახლოვდება ურთი-
ერთს. ამრიგად, აქ უკვე აშკარა პლატიბაზალური ქალის ტროპიბაზალურად
გარდაქმნის პროცესის დაწყება.


განვითარების შემდგომ საფეხურზე (ემბრ. IV; სურ. 7) ტროპიბაზა-
ლურობის ნიშნები კიდევ უფრო მკვეთრადაა გამოხატული. მნიშვნელოვნადაა



სურ. 7. ხ ვ ლ ი კ ი, IV. თვალბუდეთშორისი მიღამოს უძლიერესი
შევიწროების ადგილის განვით ჭრილი.

შეცვლილი თავის ფორმა: თვალსაჩინოდაა გამოსახული ყნოსვის მიღამო, რომელიც მოქლე დინგსა ქმნის; თხემის ბორცვი ისევე დიდია, მაგრამ უძირულესობა დობითი ზომა წინანდებაზე ნაკლებია, რაც თავის ფუძის გამართვასთან დაკავშირებული, შუა ტვინის უკან და ქვემოთ გადანაცვლების შედეგია. თვალები უზარმაზარია, სავსებით სფერული და ერთიმეორესთან მნიშვნელოვნად დაახლოებული. ინტერორბიტალური სივრცე მეტისმეტად ვიწროა; წინა ტვინის, ჰემისფეროები ზემოდან ფარავენ შორისულ ტვინს, თვალბუდეთშორის სივრცეში მარტოოდნენ ყნოსვის წილებილა დარჩენილი; ამასთანავე, ტვინის ფუძე დიდი მანძილითა დაშორებული ქალის ფუძეს. ჩონჩხი კენტი საერთო ტრაბეკულითა წარმოდგენილი, რომელსაც წყვილადი შედგენილობა აღარ ემჩნევა; ზემოდან მას მეტად მაღალი და თვალების ერთიმეორესთან მაქსიმალური დაახლოების ადგილას სიფრიფანამდე გათხელებული თვალბუდეთშორის ძგიდე ეყრდნობა; ორბიტალური შუახაზზე ძგიდისჩედა ფირფიტადა შეზრდილი, რომელიც წინ თანდათან ვიწროვდება. ამ ასაკში უკვე ადგილი აქვს ძვლების ინტენსიურ წარმოქმნას.

უკვე საქმიან მოზრდილი, გვიანი ემბრიონი (ემბრ. V; სურ. 8) გარეგნულადაც და ორგანოთა ტოპოგრაფიითაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვე-



სურ. 8. ხვლიკი, V. თვალბუდეთშორისი მიღამოს უძლიერესი შევიწროების ადგილის განვითარებით.

მოთვალეობაზე განხილულ ემბრიონთაგან. თავი ვიწროა, მოგრძო და ბრტყელი, მისი წინა ბოლო მოგრძო დინგადაა შევიწროებული. თვალები ძალიან დიდია, მაგრამ მათი ფარდობითი ზომა შესამჩნევად უფრო ნაკლებია, ვიღრე წინათ. ამავე დროს თვალს სფეროსებრი ფორმა აღარა აქვს: მისი გარეთა ზედაპირი რამდენადმე გაბრტყელებულია და იგი უფრო ნახევარსფეროს მოგვაგონებს, რომლის ამოზნექილობა შიგნითა მიმართული. მხედველობის ნერვი მიმართულია რამდენადმე წინ და ქვევით და იგი თვალის კაქლის უკანა ნაწილს უკავშირდება და არა ცენტრალურს, როგორც მანამდე. ყოველივე ეს მაჩვე-

ნებელია თვალის „ჩაძირვის“ პროცესისა. თვალებს შორის მანძილი უკიდურესადაა შემცირებული და ინტერიორბიტალური სივრცე, შესაბამისად უფლება სადაც შევიწროებული: მისი მაქსიმალური შევიწროების აღგილას თვალები თითქმის ეხება ერთიმეორეს. წინა ტვინი სავსებითად თვალბუდეთშორისი სივრციდან გაძევებული: ჰემისფეროები თვალების უკან ძევს და მთლიანად ფარავს შორისულ ტვინს ზემოდან; თვალბუდეთშორის მიდამოში, ქალის თალის ქვეშ, მხოლოდ ვიწრო და გრძელი ყნოსვის ტრაქტებია, რომელიც თვალების წინ მდებარე ყნოსვის წილებს უკავშირდებიან. შუა ტვინის ზომა გაცილებით ნაკლებია წინანდელზე.

ამ ასაკში ქონდროკრანიუმის განვითარება უკვე მთლიანადაა დასრულებული. ქალის ფუქე, ტვინის ნაღრევების გამართვის შესაბამისად, საფსებით გასწორებულია. ინტერიორბიტალური მიდამოს ჩონჩხის დეფინიტური აგებულება აქვს; მის ფუქეს საერთო ტრაბეკულა ქმნის, რომელსაც ზემოდან უაღრესად მაღალი და მეტისმეტად თხელი, თითქმის აპოვანი თვალბუდეთშორისი ძგიდე ეყრდნობა. ღორისალურად ძგიდეს უკავშირდება ძგიდისზედა ფირფიტა, რომელიც თვალბუდეთშორისი სივრცის უძლიერესი შევიწროების აღგილზე ვიწრო, ხრტილოვანი ღარითა წარმოდგენილი. ოსტეოკრანიუმის ელემენტები უკვე საკმაოდ კარგადაა განვითარებული და, კანოვან ძვლებთან ერთად, მეორად გაძვალებებსაც ვპოულობთ.

IV. გელასიანი ნაცილი

როგორც ფაქტობრივი მასალის აღწერისას დავინახეთ, აღრეულ პერიოდში ხვლიკისებრ რეპტილიებს ტიპობრივი პლატიბაზალურობა ახასიათებს: თვალები შედარებით მცირე ზომისაა, მანძილი მათ შორის დიდია, წინა და შორისულა ტვინი ინტერიორბიტალურ სივრცეშია და წინა ტვინის ფუქე ქალის ნერგების ღონებზე ძევს. ტრაბეკულების ნერგები ერთიმეორეს ძლიერად დაცილებული, თვალბუდეთშორისი ძგიდე სულაც არაა. ორბიტალიების ნერგები ძგიდისზედა ფირფიტას (planum suprareptale) არა ქმნიან. ამ აღრეულ პერიოდში რეპტილიების ორბიტალური მიდამოს აგებულება თითქმის სრულებით არ განსხვავდება ამფიბიების ამავე მიდამოს აღნაგობისაგან. მაგრამ თუ ამფიბიებთან განვითარების პროცესში ორბიტალური მიდამოს სტრუქტურა თითქმის არ იცვლება, რეპტილიებთან იგი უაღრესად დიდ გარდაქმნას განიცდის.

პირველი საკითხი, რომელიც ამ აღრეულ პერიოდში ყურადღებას იპყრობს, ტრაბეკულების ნერგების საკითხია. დე ბირი (1929, 1937), რომელსაც მოცემული აქვს ხელიკის (*Lacerta agilis*) ქალის განვითარების აღრეული სტადიების აღწერა, აღნიშნავს, თითქოს ტრაბეკულების ნერგები თავიდანვე შერწყმული იყოს საერთო ტრაბეკულად (*trabecula communis*). ჩვენი ფაქტობრივი მასალა ამ მონაცემებს არ ადასტურებს. როგორც დავინახეთ, ხელიკსაც და გეკონსაც ტრაბეკულები მნიშვნელოვნად დაშორიშორებით ენერგება. მეტიც: სწორედ ხელიკთან (იხ. სურ. 5) ტრაბეკულებს შორის მანძილი ფრიად დიდია მაზინაც კი, როცა ქალი ნაშილობრივ უკვე გახსრტილებულია. ამჩინად, უემფონა, რომ რეპტილიებს თავდაპირველად პლატიბაზალური ქალა აქვთ და

ტროპიბაზალურობა მათ მხოლოდ შემდეგ უვითარდებათ. ამასაც უდიას ტუ-
რებენ სევერცოვის (1900), რაისის (1920), შეინერის (1926), ფაინმანის (1941) და
და სხვათ მონაცემები. ეჭვს გარეშე, რომ რეპტილიების ქალის განვითარე-
ბაში პლატიბაზალური სტადიების არსებობა ანცესტრალური ნიშნის რეკაპი-
ტულაციას წარმოადგენს და ტროპიბაზალურობა კი მეორეულად ვითარდება
თავის ორგანოთა ტოპოგრაფიული ურთიერთმიმართებების შეცვლის შედეგად.

განვითარების შემდგომ საფეხურზე აღილი აქვს, პირველ ყველისა, თვა-
ლების ინტენსიურ ზრდას. თვალის კაკალი თანდათან სფეროსებრი ხდება, რაც
ემბრიონის თავის კონფიგურაციისა და თავის ორგანოთა ტოპოგრაფიის მნიშვ-
ნელოვან შეცვლას იწვევს. თავის სიგანე ამ პერიოდში მის სიგრძეს—დინგის
წევროდან თხემის ბორცვამდე — ჭაბობს. იწყება წინა ტვინის თვალბუდეთ-
შორისი სივრციდან გაძევება უკან და ზევით, რის შედეგადაც იგი შორისული
ტვინის არეში ექცევა და თანდათან ეფარება მას ზემოდან. ტვინის ფუძე სულ
უფრო და უფრო მაღლა იწევს ქალის ფუძის დონიდან.

თვალების გადიდება მნიშვნელოვნად ცვლის ქალის აგებულებასაც. ტრა-
ბეკულების ნერგები ურთიერთს უახლოვდება და საერთო ტრაბეკულად ერთ-
დება, რომელსაც ერთხანს კიდევ ეტყობა წყვილადი შედგენილობა, შემდეგ კი
ერთიან ხრტილოვან ლეროდ იქცევა. ორბიტალიებიც ერთდება თავისი ვენ-
ტრალური კიდეებით და ძგიდისზედა ფირფიტას (planum supraseptale) ქმნის.
ინტერორბიტალურ სივრცეში ძგიდე (septum interorbitalis) ვითარდება. ავ-
ტორთა უმრავლესობა (შაუინსლანდი, 1900¹; ფუჯსი, 1915¹, დე ბირი, 1929; 1937) თვალბუდეთშორის ძგიდეს ახალ
წარმონაქმნად თვლის და არა სხვა რომელიმე ნაწილის დერიგატად. ეს აზრი
სამართლიანია სეპტის ვენტრალური ნაწილის მიმართ, მისი ზედა ნაწილი კი
ორბიტალური ხრტილების ვენტრალური ნაწილების შეერთებით მიიღება. ამას
აშკარად ადასტურებს ის, რომ სეპტის ეს ნაწილი წყვილადი წარმოშობის
ნიშნებს გვიანადე ინარჩუნებს.

სუპრასეპტრალური ფირფიტის წარმოქმნა მეტად საინტერესო მორფო-
ლოგიური პროცესია. ექვემდებარება ადგილი აქვს ერთი და იგივე ფუნქციის შესრულე-
ბაში ორი მორფოლოგიური წარმოქმნის შენაცვლებას. თავდაპირველად, ისევე
როგორც პლატიბაზალურ ქალაში, წინა ტვინის საყრდენის როლს ქალის ფუ-
ძის ტრაბეკულარული ნაწილი ასრულებს, შემდეგ კი ეს ფუნქცია სუპრასეპ-
ტრალურ ფირფიტად გარდაქმნილ ორბიტალიებზე გადადის. ტრაბეკულები
ტროპიბაზალურ ქალაშიაც მონაწილეობენ ტვინის საყრდენის შექმნაში, მაგ-
რამ ამ ფუნქციის ისინი ასრულებენ არა უშუალოდ, არამედ სეპტის მეშვეო-
ბით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი და იგივე ფუნქციის შემსრულებელი
მორფოლოგიური წარმოქმნის გართულებასთან: ტვინის საყრდენის ფუნქციის,
რომელსაც პლატიბაზალურ ქალაში მარტო ტრაბეკულები ატარებდა, ტრო-
პიბაზალურ ქალაში ტრაბეკულები, სეპტა და ორბიტალიები ასრულებენ. ამავე
დროს ორბიტალიების განვითარებაში ადგილი აქვს დონისეული ფუნქციის

¹ დე ბირის (1937) მიხედვით.

შეცვლას: პირველადად მთავარი ფუნქცია (ტვინის გვერდებიდან დაცვა) უკვე იხევს, ხოლო ახალი ფუნქცია (ტვინის საყრდენისა) მთავარ ფუნქციის მიზნების უკვე

როგორც ვხედავთ, აღწერილ პერიოდში ტროპიბაზალურობა მირითადად უკვე ჩამოყალიბებულია და შემდგომ მხოლოდ მისი გაძლიერება ხდება.


ემბრიონალური განვითარების ბოლო პერიოდში, როცა ოსტეოკრანიუმის ელემენტები უკვე მნიშვნელოვნადა განვითარებული, თვალების ზომა იმატებს, მაგრამ ახლა უკვე თავის სხვა ორგანოებიც ფრიად ინტენსიურად იზრდება, რის გამოც თვალების ფარდობითი ზომა ამ პერიოდში ნაკლებია, ვიდრე წინათ. ამავე დროს, თვალის კაქლის ზრდა ყოველი მიმართულებით აღარ ხდება და იგი კვლავ ჰყარგავს სფერულ ფორმას. გარდა ამისა, ადგილი აქვს თვალების რამდენადმე წინ და ქვემოთ გადაადგილებას სხვა ორგანოების მიმართ. ყველაფერი ეს თვალის „ჩაძირვის“ პროცესზე შეიგვითოთებს, რაც გაუპის (1891, 1900) მიერ იყო აღნიშნული¹. გაუპის აზრით, თვალის ეს „ჩაძირვა“ ტროპიბაზალურობის გამომწვევი ერთი მიზეზთაგანია. ნამდვილად კი, როგორც დავინახეთ, ტროპიბაზალურობა „ჩაძირვის“ დაწყებამდე ვითარდება, თვალების ინტენსიური გადიდების შედეგად. „ჩაძირვა“ კი აძლიერებს ტროპიბაზალურობის ნიშნებს: თვალბუდეთშორისი სივრცე უკიდურესად ვიწროვდება, წინა ტვინი მთლიანად განიდევნება ზევით და უკან, თვალბუდეთშორისი ძგიდე სიფრიფანად თხელდება, ძგიდისზედა ფირფიტა წინა ნაშილში ვიწრო ხრტილოვანი ღარითაა წარმოდგენილი.

თვალის კუნთები, ძვლოვანი თევზებისაგან განსხვავებით, ტროპიბაზალურობის განვითარების პროცესში აგრეთვე სავსებით განიდევნება ინტერორბიტალური სიერციდან. მაშასადამე, რეპტილიიებთან თვალის მუსკულატურა ტროპიბაზალურობის განვითარების ფაქტორს არ წარმოადგენს და ასეთად აქ მარტოლდენ თვალები გვევლინება. ამ მხრივ საყურადღებოა *Lygosoma punctatum*, რომელთანაც, პირსონის (1921) მონაცემებით, თვალის გარეთა სწორი კუნთები (mm. recti externi) შედიან კრანიალურ ლრჯში თევზების მიოდომის მსგავსად. სამწუხაროდ, აღნიშნული ნაშრომიდან არა ჩანს, თუ რა გავლენას ახდენს ეს მოვლენა ტროპიბაზალურობის განვითარებაზე.

მეტად საინტერესო სურათს იძლევა სხვადასხვა ხელიკისებრ რეპტილიათა ინტერორბიტალური მიდამოს ბიომორფოლოგიური შედარება. სეფსის (*Chalcides tridactylus*) თვალბუდეთშორისი მიდამო ძალიან ჰეგის ხელიკისას, მაგრამ ყურადღებით განხილვისას მთელ რიგ განსხვავებებსაც ვპოულობთ. კერძოდ, სეფსის გვიან ემბრიონს (სურ. 9), რომელიც დაახლოებით ხელიკის განვითარების V ასაკს შეესაბამება, ინტერორბიტალურ ძგიდე არა აქვს ისე გათხელებული, როგორც ხელიყს და თვით ინტერორბიტალური სივრცეც უფრო ფართო აქვს. ეს გამოწვეულია იმით, რომ სეფსს თვალები უფრო პატარა აქვს, ვიდრე ხელიყს, რაც ამ ცხოველების ცხოვრებაში მხედველობის ფუნქციის როლის განსხვავებისაგანაა დამოკიდებული.


¹ გაუპი აღნიშნავს მხოლოდ ამ პროცესის არსებობას, მაგრამ მის თანმიმდევრულ აღწერას არ იძლევა.

კიდევ უფრო ნაკლებადაა გამოხატული ტროპიბაზალურობის აღნიშვნელი ნიშნები მხოხავ ხვლიკისებრ რეპტილიებთან. ჩვენს ხელთ იყო *Ophisaurus apodus* (Ophisaurus apodus) საკმაოდ გვიანი ემბრიონი, რომელსაც შემდეგი სტერეო-



სურ. 9. ს ე ფ ს ი. თვალბუდეთშორისი მიდამოს მაქსიმალური შევიწროების ადგილის განვითარები.


ნიუმის ელემენტები ჰქონდა; სეპტა კიდევ უფრო გასიური და ნაკლებ ფენესტრირებული ჰქონდა, ვიდრე სეფსს. ამავე დროს, როგორც სურათზე (სურ. 10)



სურ. 10. ძ ლ ო კ ი. თვალბუდეთშორისი მიდამოს მაქსიმალური შევიწროების ადგილის განვითარები.

ჩანს, ძლიერი თვաლბუდეთშორისი სივრცე მნიშვნელოვნად უფრო ფართოა, ვიღრე სეფსისა და, მით უმეტეს, ვიღრე წვლიკისა და გეპონისა. ერთგულებულ მაქსიმალური დაახლოების მიღამოში ტვინი საკმაოდ მსხვილი ნაწილებით წარმოდგენილი და არა ვიწრო ყნოსვის ტრაქტებით; შესაბამისად, სუპრასეპტალური ფირფიტაც აქ სავარაუდ ფართოა; ორბიტალური თუმცა ეჭვრიან ერთომეორეს მედიალური კიდეებით, მაგრამ მთლიან სუპრასეპტალურ ფირფიტად შერწყმული არ არიან. ანალოგიურ სურათს იძლევა ბოქმეჭაც (*Anguis fragilis*) ციმერმანის (1913)¹ მინაცემების მიხედვით.

სრულიად საწინააღმდეგოს ვხედავთ ქამელონთან (*Chamaeleo sp.*). ამ ცხოველთან, რომლისათვისაც მხედველობის ფუნქციას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს და რომელსაც, ამის შესაბამისად, თვალების ფარდობითი ზომა ყველა სხვა რეპტილიაზე მეტი აქვს, ტროპიბაზალურობა განსაკუთრებით მაღალ ხარისხს აღწევს. ქამელონის საკმაოდ გვიანი ემბრიონის (სურ. 11) თვალები მნიშვნელოვნად წინაა გადაადგილებული და თავის უდიდესი ნაწილი




სურ. 11. ქამელონი. თვალების ერთმანეთთან მაქსიმალური დაახლოების ადგილის განვითარები.

უჭირავს. ინტერორბიტალური სივრცე უაღრესად ვიწროა, წინა ტვინი საკმაოდ უკანაა გაძევებული, ყნოსვის ტრაქტებიცა და თვით ყნოსვის წილებიც კი, რომლებიც, ჩვეულებრივ, თვალების წინ იმყოფება ხოლმე, თვალებს უკანაა მოქცეული და ძეიდის ზემოთ მხოლოდ ყნოსვის ნერვებია, შესაბამისად, სეპტა უაღრესად მაღალია და თითქმის მთლიანად აპკოგანი, სუპრასეპტალური ფირფიტაც მეტისშეტაც ვიწროა და მას წყვილადი წარმოშობის კვალიც კი არ ემჩნევა.


რეპტილიების თვალბუდეთშორისი მიღამოს განვითარების სრული სურათის მისაღებად აუცილებელია შევეხოთ გველებსაც. ჩვენ მიერ განხილულ

¹ დე ბირის (1937) მოწმობით.

იქნა ანკარას (*Natrix natrix*) ემბრიონების სერიული ანთლები. რომ ადრეულ საფეხურზე (ემბრ. I; სურ. 12) გველების თავის იგებულება შელიან ჰქავს ხვლიკებისას; თვალები პატარაა, მედიოლატერალურად შებრტყელებული, ურთიერთისასგან დიდი მანძილით დაშორებული. წინა ტვინი თვალებს შორისაა მოთავსებული. სათანადოდ დიდი მანძილითაა დაცილებული ერთომეორეს ტრაბეკულების ნერგებიც. უფრო გვიან პერიოდში კი ადგილი აქვს მნიშვნელოვან დავერგენციას გველებსა და ხვლიკებს შორის. ამის მიზეზია გველების თვალების ნაკლები ინტენსივობით ზრდა და ზრდასრული ცხოველის თვალების შედარებით მცირე ზომა, რაც მათ ცხოველებაში (მხოხავი ცხოველები!) მხედველობის ფუნქციის ნაკლები მნიშვნელობითაა განპირობებული. ამ საფეხურზე თვალბუდეთშორისი სივრცე გაცილებით ნაკლებად რედუცირდება, ვიდრე ხვლიკებთან, და წინა ტვინიც სათანადოდ ნაკლებადაა ამ სივრციდან განდევნილი (ემბრ. II და III; სურ. 13, 14). ქალის განვითარებაც, შესაბამისად, ფრიად თავისებურად მიმდინარეობს. ტრაბეკულები უახლოვდება ერთმანეთს, მაგრამ მათ შეერთებას ადგილი არა აქვს, არ ვითარდება ორბიტალიები და აგრეთვე თვალბუდეთშორისი ძგიდე. უნდა აღინიშნოს, რომ სეპტის გველების ქონდროკრანიუმში არსებობა არარსებობის საკითხის თაობაზე ორი აზრია: გაუპი (1901) თვლის, რომ გველებთან სეპტა ვითარდება შედარებით გვიან და წარმოდგენილია ტრაბეკულების ზემოთ მყოფი მეზენქიმოვანი ვერტიკალური ფირფატით. ავტორთა უმ-




სურ. 12. ანკარა, I. განვითარილი თვალების უდიდესი დიამეტრის ადგილზე.



სურ. 13. ანკარა, II. განვითარილი თვალების უდიდესი დიამეტრის ადგილზე.


რავლესობა კი თვლის, რომ გველებს სეპტა საერთოდ არა აქვთ (ბექსტრემი, 1931; ჩეკანოვსკაია, 1936 და სხვანი). ბექსტრემის აზრით, გაუპის მიერ სეპტად ილიარებული წარმოქმნა შუბლის ძვლების მეზენქიმოვანი ნერგის ნაწილია (იხ. ქვემოთ). ჩეკანი ფაქტობრივი მასალაც ამ აზრს ადასტურებს.

მაგრამ უფრო გვიან (ემბრ. IV; სურ. 15) თვალები მაინც შედგენეტული
იმდენად დიდია და წინა ტვინი იმდენად მაღლა იწეული, რომ იქმნება ტენიაცია



სურ. 14. ანკარა, III. განივი ჭრილი თვალების ერთმანეთთან
უძლიერესი, დაახლოების ადგილზე

საყრდენი აპარატის განვითარების აუცილებლობა. ამ ფუნქციას თავისთავზე,
ოსტეოკრანიუმი იღებს: შებლის ძვლების ქვემო ნაწილის (pars descendens),
ნაპირები გარს უვლის წინა ტვინს, ერთდება და ქმნის ფირფიტას, რომელზედაც



სურ. 15. ანკარა, IV. განივი ჭრილი თვალბუდეთშორი-
სი მიდამოს მაქსიმალური შევიწროების ადგილზე.

წინა ტვინი ძევს. შუბლის ძვლების უკიდურესი ვენტრალური ნაწყობი უკავშირდება მის ქვევით მდებარე პარასფენოიდს და მასთან ერთგვარ შესაბამისი გან თვალბუდეთშორის ძგიდეს ქმნის. ამგვარად იქმნება ტვინის საყრდენი აპარატი, რომელიც მარტოოლენ ანალოგიურია ხვლიკების შესაბამისი აპარატისა, რადგან თითქმის ყველა მის ელემენტს სულ სხვა გენეზისი აქვს. აქ ჩვენ გვაქვს ორგანოთა ტიპობრივი კლაინინგერგისეული სუბსტრუქციის საინტერესო შემთხვევა: ფუნქციას, რომელსაც ერთი ორგანო (სეპტა და ორბიტალიები) ასრულებდა, მეორე ორგანო (შუბლის ძვლები და პარასფენოიდი) ასრულებს, ამასთან პირველი ორგანო რედუცირდება. თვით შუბლის ძვლების განვითარება კი ფუნქციის განვრცობის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს.

გველების ქონდროკანიუმის აღნაგობის სპეციფიკა, რაც ტროპიბაზალურობის ზოგი მთავარი ნიშნის დაკარგვით გამოიხატება (სეპტისა და ორბიტალიების უქონლობა, ტრაბეკულების შეუზრდელობა და სხვა), დაკავშირებულია ამ ჯგუფის ეკოლოგიის თავისებურებასთან, კერძოდ მხედველობის ფუნქციის შედარებით ნაკლებ როლთან გველების ცხოვრებაში. ამას ადასტურებს ისიც, რომ მხოხავ ხვლიკებს (ძლოკს, ბოხმეჭას) აგრეთვე ემჩნევა ტროპიბაზალურობის მთელი რიგი ნიშნების შესუსტება.

ჩვენ ვხედავთ, რომ რეპტილიები იძლევიან თვალბუდეთშორისი მიღამოს აგებულების მეტად ილუსტრაციულ ბიომორფოლოგიურ მწერივს: ტროპიბაზალურობა გამოხატულია მით უფრო მკვეთრად, რაც უფრო მეტია ცხოველისათვის მხედველობის მნიშვნელობა. კერძოდ, ყველაზე მეტი ტროპიბაზალურობა მეხეურ ფორმებს (ქამელეონი) ახასიათებს, ამდენადმე ნაკლებადაა იგი გამოხატული მორბენალ და მძრომ ფორმებთან (ხვლიკი, გეკონი), კიდევ უფრო ნაკლებად—ნახევრადმხოხავ და მხოხავ ფორმებთან (სეფსი, ბოხმეჭა, ძლოკი), ამ მწერივს ასრულებენ გველები, რომელთაც ფრიად უსრული ტროპიბაზალურობა ახასიათებს. უნდა ვიფიქროთ, რომ, თუ გველების ცხოვრების პირობების შეცვლა კიდევ უფრო დააკნინებდა მხედველობის ფუნქციის მათთვის მნიშვნელობას, ტროპიბაზალურობის დანარჩენი ნიშნებიც დაიკარგებოდა და მიიღებოდა მეორეული პლატიბაზალურობა. ამრიგად, რეპტილიების, კერძოდ გველების, ქალის განვითარება დაბეჯითებით მოწმობს ევოლუციაში ტროპიბაზალური ქალის პლატიბაზალურ ქალად მეორეულად ქცევის შესაძლებლობას.

საერთოდ, როგორც ჩანს, ქალის ესა თუ ის ტიპი (პლატიბაზალური ან ტროპიბაზალური) არ შეიძლება მიღებულ იქნეს ფილოგენეზური საკითხების გადასაწყვეტ სახელმძღვანელო ნიშნად, რადგან იგი მეტად ლაბილური ნიშანია და ძლიერაა ცხოველის ეკოლოგიური პირობების სპეციფიკისაგან დამკიდებული.

დასკვები

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვების გაცემა.

1. განვითარების აღრეულ საფეხურზე ყველა განხილულ რეპტილიას ტიპობრივი პლატიბაზალურობა ახასიათებს. ამ პერიოდში რეპტილიების თავის თვალბუდეთშორისი მიღამოს აგებულება თითქმის არაფრით განსხვავდება ამფიბიების შესაბამისი მიღამოს აგებულებისაგან.

2. რეპტილიებს, ისევე როგორც ამფიბიებს, ტრაბეკულები ურთიერთისაგან დაშორიშორებით ენერგებათ და მხოლოდ საქმაოდ გვიან ტრაბეკულების საერთო ტრაბეკულად (*trabecula communis*) შერწყმა ხდება. დე ბირის (1929, 1937) მითითება ხელიკის (*Lacerta*) ქალაში საერთო ტრაბეკულის თავიდანვე არსებობის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება.

3. რეპტილიების ქალის ტროპიბაზალურობა მეორეულია და თავის ორგანოთა ტროპორაფიული ურთიერთმიმართებების შეცვლითაა გამოწვეული. აღრეულ პერიოდში პლატიბაზალურობის არსებობა ანცესტრალური ნიშნის რეკაპიტულაციას წარმოადგენს.

4. ქვეწარმავალთა პირველადად პლატიბაზალური ქალის ტროპიბაზალურად ქცევის განმაპირობებელი ფაქტორი თვალების ზომის, ფორმისა და მდებარეობის შეცვლაა. თვალის მუსკულატურა ტროპიბაზალურობის განვითარებაში არ მონაწილეობს.

5. ქალის ტროპიბაზალურად ქცევის პროცესში ადგილი აქვს წინა ტვინის საყრდენი აპარატის გართულებას: პლატიბაზალურ ქალაში ტვინის საყრდენს მხოლოდ ტრაბეკულები წარმოადგენს, ტროპიბაზალურში კი ამ ფუნქციას ტრაბეკულა, სეპტა და ორბიტალები (სუპრასეპტალურ ფირფიტად ქცეული) ასრულებს. თვით ორბიტალების განვითარებაში ადგილი აქვს ფუნქციის შეცვლას: მათი პირველადი ფუნქცია (ტვინის გვერდებიდან დაცვა) აღგილს უთმობს ახალს (ტვინის საყრდენი), რომელიც მათ მთავარ ფუნქციად იქცევა.

6. თვალის განვითარებაში სამ პერიოდს გარჩევთ: ა) შედარებით პატარა ზომის, შებრტყელებული თვალის კაკალი; ბ) თვალის კაკლის ინტენსიური ზრდა, სუერული ფორმის მიღება; გ) საბოლოო ფორმის მიღება, „ჩაძირვა“ (გაუპის „Tiefersinkung“). ტროპიბაზალურობა თვალის განვითარების მეორე პერიოდში ყალიბდება.

7. ქამელეონის, გეკონის, ხელიკის, სეფსის, ძლოკისა და გველის ინტერორბიტალური მიღამოს განვითარებისა და აღნაგობის შედარება გვაჩვენებს, რომ ტროპიბაზალურობის შეტნაკლები სიმკვეთრით გამოვლინება საესებით დამოკიდებულია ცხოველის ცხოვრებაში მხედველობის ფუნქციის მეტი ან ნაკლები მიშვნელობისაგან, ამ ცხოველის ბიოლოგიის სპეციფიკის შესაბამისად.

8. ტროპიბაზალურობის განვითარებას საქმაოდ დიდი აღაპტაციური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი, თვალების ზომის ძლიერი გაღიდებისას,

გარეშე დაზიანებისაგან მათს სრულყოფილს დაცულობას უზრუნველყოფს პოსტემბრიონალურ პერიოდში.

9. გველების ქონდორებიანიუმისათვის დამახასიათებელი ტროპიბაზალურობის ზოგი მთავარი ნიშის უქონლობა (ტრაბეკულების განცალკევებულად დარჩენა, სეპტისა და სუპრასეპტალური ფირფიტის უქონლობა) დაკავშირებულია ამ ცხოველების თვალების შედარებით ნაკლებ ზომასთან, რაც მათი მხოხავი ცხოვრებითაა შეპირობებული.

10. გველების ოსტეოკრანიუმის თვალბუდეთშორისი ნაწილი არაა ხვლიკისებრთა ამავე ნაწილის ჰომოლოგიური. ინტერორბიტალური ჩონჩხის განვითარებაში გველებთან ადგილი აქვს ორგანოთა სუბსტიტუციას, რაც თვალბუდეთშორისი ძგილისა და ძგიდისუხედა ფირფიტის ფუნქციის შუბლის ძელებსა და პარასფენოიდზე გადასვლით და მათი სრული რედუცირებით გამოიხატება.

11. ტროპიბაზალურობის ზოგი მთავარი ნიშის დაკარგვა გველებთან, ან მათი შესუსტება მხოხავ ხვლიკებთან, ადასტურებს პლატიბაზალურობის მეორეულად განვითარების შესაძლებლობას, როდესაც ამას ცხოველის სასიცოცხლო პირობები მოითხოვს.

12. ქალის ინტერორბიტალური ნიშილის ავებულების ტიპი (პლატიბაზალურობა ან ტროპიბაზალურობა) ფრიად ლაბილური ადაპტაციური ნიშანია, რომელიც ცხოველის ბიოლოგიაში, მხედველობის ფუნქციისა და, შესაბამისად, გარემოს პირობებისაგან დამოკიდებულებით, მნიშვნელოვნად იცვლება.

ლიტერატურა

1. A. C. Berg, О положении *Acipenseriformes* в системе рыб: Труды ЗИН АН СССР т. VII, в. 3, 1948.
2. E. F. Еремеева, Морфология и развитие глазных мускулов и межглазничной области костистых рыб: Зоол. журн., т. XI, в. 1, 1932.
3. A. H. Северцов, Zur Entwicklungsgeschichte von *Ascalabotes fascicularis*: Anat. Anz., Bd 13, H. 16, 1900.
4. A. H. Северцов, Этюды по теории эволюции, Киев, 1912.
5. A. H. Северцов, Современные задачи эволюционной теории, Москва, 1914.
6. A. H. Северцов, The head skeleton and muscles of *Acipenser ruthenus*: Acta Zoologica, vol. IX, 1928.
7. A. H. Северцов, Морфологические закономерности эволюции, М.—Л., 1939.
8. O. B. Чекановская, Развитие черепа ужа *Tropidonotus natrix*: Арх. анат., гистол. и эмбриол., т. XV, в. 3, 1936.
9. K. Bäckström, Reconstructionsbilder zur Ontogenie des Kopfskelettes von *Tropidonotus natrix*: Acta Zoologica, vol. XII, 1931.
10. G. R. de Beer, The early development of the chondrocranium of the lizard: Quart. Journ. Micr. Sc., vol. 73, 1929.
11. G. R. de Beer, The development of the vertebrate skull, Oxford, 1937.
12. Fine man, Zur Entwicklungsgeschichte des Kopfskeletts bei *Chamaeleon bitae-niatus*: Morphol. Jahrbücher, Bd 75, H 1, 1941.
13. E. Gaupp, Zur Kenntnis des Primordialcraniums der Amphibien und Reptilien: Verhandl. Anat. Gesellsch. auf V Versamml., 1891.

14. E. Gaupp, Chondrocranium von *Lacerta agilis*: Anat. Hefte, Bd 14, 1900.
 15. E. Gaupp, Alte Problemen und neuere Arbeiten über den Wirbeltierschädel. Ergebnisse der Anatomie und Entwicklungsgesch., Bd X, 1901.
 16. H. S. Pearson, The skull and some related structures of *Lygosoma*: Journ. Anat., vol. 56, № 1, 1921.
 17. E. L. Rice, The development of the skull in skink *Eumeces quinque-lineatus* L.: Journ. Morphol., vol. 34, 1920.
 18. R. F. Shaner, The development of the skull of the turtle with remarks on fossil reptil skulls: Anat. Records, vol. 32, № 4, 1926.

ԱԾԲՈՅՑՑԵՑԻՍ ՑԱԽԱՀՄԻՑԻ

au — Սմերնու ծյանիչքո; Սմերնու լաձորոնու.
 en — Կճուսցու յայտնութեան.
 d — Ցարուսցու Ծզոնո:
 ep — Ճայուղոն.
 fr — Ցջծլու մցլցօն
 h — Վոնա Ծզոնու նախցարսցցրոցնեն.
 hp — Ճոկուցոն.
 i — Ծզոնու մածրո (*infundibulum*).
 m — Ցյա Ծզոնո.
 mo — Ցողցրմա Ծզոնո.

n — Կճուսցու ռըցանո.
 oc — Եցալո.
 orb — ռըծութալոցնեն; Տցութութեալու գործութեա.
 pch — Կարայութալոցնեն (*ցոյնու գործութեա*).
 si — Եցալոցնեցութալունու. Տցութու.
 to — Կճուսցու Ռայութեան.
 tr — Ծրածցկութեան.
 I — Կճուսցու նցրցո.
 II — Թէցցցութալունու նցրցո.

ՍՔԱԼՈՆՈՒ ՍԱԵցլունու

Ծծուլունու և ՏԵՐԵԼՄՇՈՒՅՑ ՄԵՐՎԵՐՆԵՐՆԵՐՆ
 Ցցրհեմլունու Խոռոլոցնու յաւելու

(Ցցմոցու հյայցուանու 1951. X. 20)

Л. Натадзе

Материалы к изучению развития и строения межглазничной области позвоночных

Резюме

На ранних ступенях развития для всех исследованных представителей рептилий (*Tarentola mauritanica*, *Lacerta* sp., *Chalcides tridactylus*, *Chamaeleo* sp., *Natrix natrix*) характерна типичная платибазальность и строение их межглазничной области почти не отличается от таковых амфибий. У них, так же как и у амфибий, трабекулы закладываются на большом расстоянии друг от друга и слияние их в *trabecula communis* происходит лишь довольно поздно. Указание де-Бира (1929, 1937) об изначальном соединении трабекул в *trabecula communis* не соответствует действительности. Тропибазальность черепа рептилий вторична и вызвана изменением топографических взаимоотношений органов головы.

Наличие платибазальности в раннем периоде является рекапитуляцией анцестральных признаков.

Фактором, обуславливающим преобразование первично платибазального черепа пресмыкающихся в тропибазальный, является изменение размеров и положения глаз. Глазная мускулатура в формировании тропибазальности не участвует.

В развитии глаз наблюдаются три периода: а) относительно небольшое, сплющенное глазное яблоко; б) интенсивное разрастание глазного яблока и принятие им сферической формы; в) принятие глазным яблоком окончательной формы, его погружение („Tiefersinkung“). Превращение платибазального черепа в тропибазальный происходит во втором периоде развития глаза.

Из сравнения развития и строения межглазничной области хамелеона, геккона, ящерицы, сепса, желтопузя и ужа выявляется, что выражение тропибазальности с большей или меньшей резкостью всецело зависит от большего или меньшего значения функции зрения в жизни животного, в соответствии со спецификой биологии данного животного.

Развитие тропибазальности имеет довольно большое значение, так как оно обуславливает большую защищенность глаз от внешних повреждений в постэмбриональном периоде, при сильном увеличении их размеров.

В процессе преобразования черепа в тропибазальный имеет место усложнение аппарата, поддерживающего передний мозг: в платибазальном черепе мозг поддерживается лишь трабекулами, в тропибазальном же — эту функцию выполняют трабекулы, септа и преобразовавшиеся в надсептальную пластинку орбиталии. При этом, в развитии самих орбиталий наблюдается смена функций: первичная функция их (защита мозга с боков) уступает место новой (опоры мозга), которая становится их главной функцией.

Для змей характерно отсутствие некоторых главных признаков тропибазальности (отсутствие слияния трабекул, отсутствие хрящевой септы и надсептальной пластинки), связанное с относительно небольшими размерами глаз, что обусловлено ползающим образом жизни этих животных.

Межглазничная часть остеокраниума змей не гомологична этой же части ящерицеобразных. В развитии межглазничного скелета у змей имеет место субSTITУЦИЯ органов, выражаящаяся в том, что лобные кости и парасфеноид принимают на себя функцию межглазничной перегородки и надсептальной пластинки, причем последние полностью редуцируются.

Утрата некоторых главных признаков тропибазальности у змей, как и ослабление этих признаков у ползающих ящериц, свидетельствует о возможности вторичного развития платибазальности, когда этого требуют жизненные условия животного.

Тип строения межглазничной области (тропибазальность или платибазальность) является весьма лабильным адаптивным признаком, значительно меняющимся в зависимости от значения функции зрения в жизни животного и, следовательно, от условий внешней среды.

გ. პაკაძეშვილი

აგარვიდრეობითობისა და მისი ცვალებადობის ზოგიერთი ექიმუროვანია აბრევამის ჭიაში

შესავალი

დიდი რუსი ბიოლოგები, რომელთაც უზრუნველყვეს მშობლიური ბიოლოგიური მეცნიერების — მატერიალისტური ბიოლოგიის წინსვლა და განვითარება, თავიანთი მეცნიერული დებულების ჩამოყალიბებისას მუდამ იქიდან გამოლიოდნენ, რომ ორგანიზმის სიცოცხლეში გარემოს აქტიური მაღიფერებული როლი ეკუთვნის და რომ ორგანიზმის მიერ განვითარების პროცესში შეძენილი თვისებები მემკვიდრეობენ.

ევოლუციური პალეონტოლოგიის ფუძემდებლის ვ. კოვალევსკის ცველა შრომას, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ლ. დავითაშვილი (1948), წითელი ზოლიგით გასდევს ორგანიზმის ევოლუციური განვითარების გარემობირობებისაგან დამოკიდებულების იდეა. ის მიუთითებს, რომ ორგანიზმის ცვლილებებს მუდამ გარემობირობები აძლევს გიძგას.

მეცნიერული ფიზიოლოგიის მამამთავრები ი. სეჩენოვი და ი. პავლოვი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდნენ ორგანიზმისა და გარემოს ერთიანობას. ორგანიზმი გარემობირობების გარეშე, — აღნიშნავდა ი. სეჩენოვი (1861), — წარმოუდგენელია, ამიტომ ორგანიზმის მეცნიერულ განმარტებაში გარემოც უნდა შედიოდეს. ამასთან, სეჩენოვი მიუთითებდა, რომ ორგანიზმს აქვს უნარი მემკვიდრეობით გადასცეს ინდივიდურ ცხოვრებაში შეძენილი სახეცვლილებანი.

ი. პავლოვი აღნიშნავდა გარემობირობების ღიდ როლს უმაღლეს ნერვულ მოქმედებაში. ამასთან ის მიუთითებდა ნერვული სისტემის პლასტიკურობაზე, მისი ცვლილებების უნარზე და აღიარებდა ზოგიერთ ახლად წარმოქმნილი პირობითი რეფლექსების მემკვიდრეობით განმტკიცებას, ე. ი. პირობითი რეფლექსების უპირობოდ გადაქცევას.

გ. ტერირიალისტური ბიოლოგიური მეცნიერების მგზებარე მებრძოლი კ. ტიმირიაზევი მტკიცედ იცავდა გარემოსა და ორგანიზმის განუყრელი ერთიანობის პრინციპს; ის აღნიშნავდა, რომ გარემო ორგანიზმის ფორმისა და ფუნქციის ახალ თავისებურებათა წარმოქმნის ერთადერთი წყაროა. კ. ტიმირიაზევი ლამარკის დიდ დამსახურებად თვლიდა იმას, რომ მან პირველად გადაჭრით მიუთითა გარემობირობების გავლენისაგან მცენარეთა ფორმების დამოკიდებულებაზე.

დიდია ღვაწლი ა. სევერცოვისა, რომელმაც, დაასაბუთა აქტიური როლი, დაუკავშირა მას ცხოველთა ორგანიზაციის ფრანგენერატორი ცვლილებების წარმოქმნა. სევერცოვი მიუთითებდა, რომ ცხოველთა ფილოგენეტიკური ცვლილების ერთადერთი წყაროა გარემობირობები. ის მუდამ ხაზგასმით აღნიშვნავდა, რომ ცხოველთა ცვლილუცია შეგუებითია, ე. ი. ამა თუ იმ ცხოველს ის ნიშანთვისებები ახასიათებს, რაც მოცემულ კონკრეტულ გარემობირობებს შეესაბამება.

ი. მიჩურინმა ბიოლოგიური მეცნიერების ცენტრალური ამოცანის — ორგანული ბუნების მართვის თეორიის დამუშავებით და ამ დარგში გრანდიოზული მნიშვნელობის პრაქტიკული შედეგების მიღებით საფუძველი ჩაუყარო დარვინიზმის ახალ, უმაღლეს საფეხურს — საბჭოთა შემოქმედებითს დარვინიზმს.

ერთ-ერთი მთავარი გარემოება, რომელმაც გააპირობა დარვინის წარუმატებლობა, იყო დარვინის მიერ დაშვებული შეცდომა ცოცხალ ორგანიზმთა ცვალებადობის მიზეზისა და ბუნების გამორკვევის საკითხში. ეს გამოიხატა გარემოს როლის შეუფასებლობაში. გარემობირობების შეფასებაში დარვინისა ზოგვაროდ არათანაბიძევრობას იჩენდა. გარემოს როლი ზოგჯერ მას ორგანიზმის ინდიფერენტული გამოიჩინებლის როლად დაჰყავდა.

დარვინის ეს შეცდომა კიდევ უფრო მკვეთრად გააღრმავა იდეალისტურმა მიმდინარეობამ ბიოლოგიაში (ვეისმანიზმ-მენდელიზმ-მორგანიზმი), — უკანასკნელი ორგანიზმს განიხილავს გარემობირობებისაგან მოწყვეტით, როგორც ავტომატურად მოქმედ სისტემას.

როგორც ცნობილია, შეხედულება გარემოს აქტიური როლისა და შეძნილ ნიშანთვისებათა მემკვიდრეობითობის შესახებ განავითარა დიდმა ნატურალისტმა ლამარქმა; და დარვინიზმის ახალი, უმაღლესი ეტაპის, მიჩურინული ბიოლოგიის მიერ ამ საკითხში ლამარკის დამსახურება ღირსეულად იქნა შეფასებული. „ლამარკიზმის ცნობილი დებულებანი, რომლებიც აღიარებენ გარემობირობების აქტიურ როლს ცოცხალი სხეულის ფორმირებაში და შეძნილ თვისებათა მემკვიდრეობითობას, წინააღმდეგ ნეოდარვინიზმის (ვეისმანიზმის) მეტაფიზიკისა, სრულებითაც არ არიან მანკიერი, პირიქით, საესებით სწორი და სავსებით მეცნიერული არიან“ (აკად. ტ. ლისენკო).

ი. მიჩურინმა და აკად. ტ. ლისენკომ მდიდარი ფაქტიური მასალის საფუძველზე გვიჩვენეს გარემოს აქტიური როლი ორგანული სამყაროს განვითარებაში, საბოლოოდ დაამტკიცეს შექნილ ნიშანთვისებათა მემკვიდრეობითობა და მას სიცოცხლის ძირითადი კანონის მნიშვნელობა მიანიჭეს.

ი. მიჩურინმა და ტ. ლისენკომ გვიჩვენეს, რომ ორგანიზმი და გარემო განუყოფელ ერთიანობაში იმყოფება, ორგანიზმის სიცოცხლის გარემობირობათა ფაქტორების ზეგავლენის შეცვლით იცვლება ორგანიზმის განვითარების ტიპიც.

„...ცოცხალი ორგანიზმების ფორმების ეფოლუციური მოძრაობა, — შერდა მიჩურინი, — რომლის მიზეზიც შექნილ ნიშანთვისებათა მემკვიდრეობითობაა, იმდენად აშეარაა, რომ გადაჭრით სპობს ამ მხრივ ყოველგვარ ეჭვს“.

ამასთან, ი. მიჩურინი გვიჩვენებს ცოცხალი ორგანიზმის ისტორიის დიდ მნიშვნელობას ცვალებადობის ხასიათის განსაზღვრაში. „მხოლოდ წინაპლატფორმაზე სების მემკვიდრეობით გადაცემისა და გარემოს ფაქტორების ზეგავლენის ერთობლივი მოქმედებით,—წერს მიჩურინი,—შეიქმნა და შემდგომში იქმნება ცოცხალ ორგანიზმთა ყველა ფორმა“.

რუსული ზოოტექნიკის კლასიკოსები ნ. ჩირვინსკი, ე. ბოგდანოვი, პ. კულეშოვი, ე. პრიდაროვინი, ა. მოლიგონოვი, ი. კალუგინი და მ. ივანოვი მტკიცედ იცავდნენ გარემოს წამყვან მადიფერენცირებელ როლს შინააურ ცხოველთა ფორმირებაში; მ. ივანოვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სათანა-დო გარემოპირობებს ცხოველთა ახალი ჯიშების გამოყვანის დარგში და გა-რემოს გავლენით შეძენილ ნიშანთვისებების მემკვიდრეობითობას.

გამოჩენილი მიჩურინელი ზოოტექნიკოსები შტეიმანი, ფილიანსკი, იუდი-ნი, გრებენი, ბალმონტი, განუწყვეტელ შერჩევა-გადარჩევასთან ერთად, წარ-მატებით აყენებდნენ გარემოპირობების მიმართულ ზემოქმედებას სას.-სამ. ცხოველთა ახალი, მაღალი პროდუქტული ჯიშების შექმნის დარგში.

ბიოლოგიური მეცნიერება ფლობს შეძენილ ნიშანთვისებათა მემკვიდ-რებით გადაცემის მთელ რიგ ფაქტებს, მიღებულს ექსპერიმენტული გა-მოკვლევის შედეგად.

იმ ექსპერიმენტული მუშაობის შედეგად, რომელიც აკად. ტ. ლისენკოს ხელმძღვანელობით ტარდებოდა, დიდი მასალა დაგროვდა შეძენილ ნიშან-თვისებათა მემკვიდრეობის შესახებ მცენარეებში. შეძენილ ნიშანთვისებათა მემკვიდრეობის ექსპერიმენტული შედეგები მცენარეებში მოცემულია აგრე-თვე ა. ავაქიანის შრომში, რომელიც 1948 წელს გამოკვეყნდა.

შეძენილი ნიშანთვისების მემკვიდრეობითობის მრავალი საინტერესო ექსპერიმენტული ფაქტი გვაქვს ცხოველთა სამყაროშიც. შეძენილი ნიშანთვი-სებების თაობიდან თაობაზე გადაცემის შემთხვევები იღნიშნულია ძუძუმწოვ-რებში, ქვეწარმავლებში, მწერებში და ა. შ. ამ საკითხის დაწვრილებით მი-მოხილვა მოცემულია პ. სახაროვის ნარკვევში, რომელიც 1949 წელს გა-მოქვეყნდა.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აკად. ე. პავლოვსკისა და ს. პერებოვასკის შრომას (1949), რომელთაც შესძლეს კურდღლელში ბალ-ნის შეფერილობის მემკვიდრეობის ექსპერიმენტულად შეცვლა.

„საკითხი შეძენილ ნიშანთვისებათა მემკვიდრეობის შესახებ,—აღნიშ-ნავს ნ. ტურბინი,—იყო და რჩება თანამედროვე ბიოლოგიის ერთ-ერთ ყვე-ლაზე უფრო მთავარ საკითხად“.

აქედან ცხადია, რომ შეძენილი ნიშანთვისებების შემდგომ ექსპერიმენ-ტულ შესწავლის, ახალი ფაქტების დაგროვებას, განსაკუთრებით კი ცხოველ-თა სამყაროში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან „...ცხოველებში შეძენი-ლი ნიშანთვისებების მემკვიდრეობის პრობლემა რჩება საჭირობროტო პრობ-ლემად“ (აკად. ე. პავლოვსკი და ე. პერებოვასკი).

ამის გათვალისწინებით, 1950 წლის მანძილზე ჩვენ ვაწარმოეთ ამ საფეხურის ექსპერიმენტული შესწავლა აბრეშუმის ჭიათურა და გამოვიყენეთ უზრუნველყოფისა მასალა, რომელიც ჩვენ მიერ იქნა მიღებული წინა წლებში იმავე ობიექტზე.

1949 წელს ჩვენ მიერ წარმოებული გამოკვლევის შედეგად ნაჩვენები იყო, რომ ინკუბაციის აწეული ტემპერატურა ($\text{შორისული } \text{ტემპერატურა } 20-21^{\circ}$) იწვევს ბივოლტინური ჯიშის ჭიის ზრდის ინტენსივობის (ჭუპრის წონის) გაზრდას; იმ ჭიის ზრდის ინტენსივობასთან შედარებით, რომელიც ინკუბაციის დაწეული ტემპერატურის (15°) შემთხვევაში მიღება.

ინკუბაციის იგივე ტემპერატურა ზრდის შერეულ ნადებთა (ერთსა და იგივე ნადებში გრენის ნაწილი ილვიძებს და იმავე წელს მეორე შვილეულ თაობას იძლევა, ხოლო მეორე ნაწილი დიაპაუზას განიცდის — იზამთრებს შემდგომი წლის გაზაფხულამდე).

ამასთან ერთად ნაჩვენები იქნა, რომ ინკუბაციის შორისული ტემპერატურისას მიღებიან ჭიები, რომლებიც ცილებით მდიდარი ნორჩი ფოთლის გაძლიერებული ამთვისებლობით ხასიათდებიან,

ყველა ამ ფაქტის საფუძველზე, ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ინკუბაციის შორისული ტემპერატურისას ადგილი აქვს ბივოლტინური ჯიშის შემცველრეობითობის შერეულას და სწორედ ამის შედეგად იზრდება ჭიების საკვების ამთვისებლობა. მაგრამ ამ მოსაზრების დასამტკიცებლად საჭირო იყო ექსპერიმენტის განმეორება და შემდგომი თაობების შესწავლა. ეს მუშაობა ჩატარებულ იქნა 1950 წლის მანძილზე.

მუშაობის მეთოდი და მასალა იგივე იყო, რაც 1949 წელს, საჭირო მასალას წარმოადგენდა ბივოლტინური ჯიში $110\text{-ის } \text{გრენა, } \text{რომელიც } \text{დაემჭვედებარა } \text{ინკუბაციას; } 1949 \text{ წელს } \text{აღებული იყო ინკუბაციის } \text{ორი } \text{ვარიანტი, } \text{სახელმობრ: } 15^{\circ}, 21^{\circ}.$ იმ მიზნით, რომ ადგილად დაგვედგინა ინკუბაციის სხვადასხვა ტემპერატურის გავლენის ხასიათი ჭიის ზრდა-განვითარებაზე და ამასთან გამოგვერევია მიღებული ცვლილებების მემკვიდრეობის ხასიათი, ინკუბაციის ყველა ვარიანტის ჭიები იკვებებოდნენ მხოლოდ ცილებით მდიდარი ნორჩი ფოთლით; ნორჩი ფოთოლს ვლებულობდით თუთის ტოტებზე ზევით განწყობილი ფოთლების შეცვლით ორი კენტრული ფოთლის გამოშვებით; ჭიება ხდებოდა ყოველ $1\frac{1}{2}-2$ საათში ერთხელ დილის 8. საათიდან უმეტეს შემთხვევაში საღამოს 11 საათამდე. აღებული იყო 3 განმეორება; თითოეულ განმეორებაში 250 ჭია იკვებებოდა.

გაზაფხულის ინკუბაციის ცალკეული ვარიანტების ჭიებიდან ცალკე დამზადდა გრენა პირველი და მეორე შვილეული თაობის მისაღებად. ზაფხულისა და შემდგომის გამოკვებისათვის ამ გრენის ინკუბაცია მოხდა ჩვეულებრივ ერთნაირ პირობებში.

ჭიების გამოკვება ისევე წარმოებდა ზაფხულსა და შემოღობაზე, მხოლოდ ახალგაზრდა ფოთლით.

მიღებული შედეგები პარკის წონის მხრივ წარმოდგენილია პირველ ცხრილში.

თექუბაციის სხვადასხვა ტემპერატურის გაცლენა აპრეშუმის ჭირის ზრდაზე და მიღებული ცვლილებების
შთამომაცლობაზე გადაცემის ხასიათი (ნაჩვენებია პარკის წონა მიღიგრამობით)

გამოკვების სეზონი	ტემპერატურის ცვლილების დოზი	თარიღი	გ ა ნ მ ე რ ი რ ი ბ ი ს ნ ი							
			1				2			
			M±m	lim	M±m	lim	M±m	lim	M±m	lim
გაზაფხული	15°	მშ.	1409±22	2150—850	1364±20	1775—850	1352±18	1950—800		
ზაფხული	F ₁		1215±17	1875—625	1242±15	1780—800	1284±14	1700—940		
შემოდგომა	F ₂		1211±15	1800—750	1268±27	2050—750	1237±16	1750—850		
გაზაფხული	21°	მშ.	1786±26	2725—1050	1826±24	2825—1150	1822±24	2675—1100		
ზაფხული	F ₁		1443±23	2875—950	1530±17	2150—1100	1539±16	2050—900		
შემოდგომა	E ₂		1400±19	1950—800	1410±19	1900—700	1348±17	2050—700		

როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, 1950 წელს განვითარებულის გამოკვებამ, უწინარეს ყოვლისა, სავსებით დაადასტურა 1949 წლის გაზაფხულის გამოკვების შედეგად მიღებული დასკვნები, სახელდობრ: ინკუბაციის აწეული ტემპერატურისას (21°) ჭიები ზრდის უფრო მეტ ინტენსიურობას იჩენენ, ე. ი. პარკის უფრო მაღალი წონით ხასიათდებიან, ვიდრე ინკუბაციის დაწეული ტემპერატურისას (15°). ამასთან, 1950 წელს ამ ორი ვარიანტის ჭიის ზრდაში სხვაობა უფრო დიდი მივიღეთ, ვიდრე ეს გვქონდა 1949 წელს. ზრდის მხრივ ამ ორი ვარიანტის ჭიებს შორის სხვაობა შენარჩუნებულია, აგრეთვე პირველსა და მეორე თაობაში—ზაფხულსა და შემოდგმაზე.

ცნობილია, რომ ჭიის პარკის წონა ზაფხულსა და შემოდგომაზე უფრო ნაკლებია, ვიდრე გაზაფხულზე. ჩვენს შემთხვევაშიც აღვილი აქვს პარკის წონის მნიშვნელოვან შემცირებას ზაფხულსა და შემოდგომაზე, მაგრამ საინტერესო ფაქტი ის არის, რომ იმ ჭიებმა, რომლებიც გაზაფხულზე ინკუბაციის აწეული ტემპერატურის დროს იქნენ მიღებული, მეტი საკვები აითვისეს და ზრდის დიდი ინტენსივობა განაცითარეს, — მოვცეს ისეთი შთამომავლობა, რომლებიც აგრეთვე შედარებით უფრო პარკის მაღალი წონით ხასიათდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულისა და შემოდგომის გამოსაკვებად აღებული გრენის ინკუბაცია ორივე ვარიანტისათვის ერთნაირ პირობებში ჩატარდა.

ამრიგად, მიღებული მონაცემები იმას ადასტურებს, რომ გაზაფხულზე გრენის 21° ინკუბაციის დროს ნამდვილად ხდება მეტვიდრეობითობის შეჩევა, რაც აძლიერებს ჭიების ზრდის ინტენსივობას და შთამომავლობასაც ძლიერი ზრდის უფრო მეტ უნარს ანიჭებს.

ამრიგად, მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკრათ, რომ ინკუბაციის აწეული ტემპერატურა (20 — 21°) აბრეშუმის ჭიის ბივოლტინურ ჯიშში იწვევს ზრდის ინტენსივობის გაძლიერებას, რომელიც მეტვიდრეობით გადაიცემა.

აგრეშემის ჭიის ონეოზენეზიური განვითარების სხვადასხვა უაზატა ხანძაქლივობის მავაცილერობის ხელისაწყობის ხელისაწყობის

როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან აშეარაღ ჩანს, გრენის ინკუბაციის ტემპერატურული პირობები ბივოლტინური ჯიშის ჭიებში განაპირობებენ ზრდის გაძლიერებულ ინტენსივობას.

ამასთან, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ფაზათა ხანგრძლივობის საკითხმაც. გარემოს პირობების როლის შესწავლასთან დაკავშირებით ეს უკანასკნელი ჩვენ დავაყენეთ განვითარების სხვადასხვა ფაზათა შორის შეფარდების იმ სხვაობის დასადგენად, რომელსაც აღვილი აქვს ბივოლტინურ და მონოვოლტინურ ჯიშთა შორის და რაც ჩვენ მიერ გამოკვლეულ იქნა წინა წლებში.

ამ მიზნით აღებული იყო იგივე ბივოლტინური 110 -ის გრენა, რომლის ინკუბაცია მოვახდინეთ დაწეული (15 — 16°) და მაღალი (26 — 27°) ტემპე-

რატურის პირობებში. ზუსტად იყო აღნიშნული კიების გამოსვლის დროს თითოეული ჭია ახვევის დაწყების საათი და თითოეული ჭუპრიდან დაწყების გამოსვლის საათი. ამის აღრიცხვა ადგილი იყო, რადგან ყოველ ჭიას, რომელიც ახვევას იწყებდა ხოლმე, ქალალდის პარკში ვათავსებდით და შემდეგ მისგან პეპლის გამოსვლის ვადასაც აღვრიცხავდით, თითოეულ განმეორებაში 250 ჭია იყო. კვების პირობები ორივე ვარიანტისათვის ერთნაირი იყო.

ამ გამოკვების შედეგად მიღებული მონაცემები მოტანილია მეორე ცხრილში.

ცხრილი 2

დაწყებული და მაღალი ტემპერატურის გავლენა ჭიას ზრდა-განვითარების
სხვადასხვა ფაზათა ხანგრძლივობაზე

ინკუბაციის ტემპერატურა	განმეო- რება	მატონის სტადიის ხანგრძლივობა სათობით	ნიმფოზის ხანგრძლივობა სათობით	ნიმფოზის ხან- გრძლივობის პრო- ცენტრი მატლის ხანგრძლივობიდან
		$M \pm m$	$M \pm m$	
26—27°	1	773.0 \pm 1.7	409.3 \pm 1.6	53.0
"	2	776.8 \pm 1.6	411.2 \pm 1.6	52.9
"	3	794.0 \pm 2.1	402.6 \pm 2.2	50.7
15—16°	1	737.4 \pm 2.4	355.9 \pm 2.37	48.3
"	2	763.1 \pm 2.6	350.6 \pm 2.1	45.9
"	3	744	360	48.4

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, გრენის ინკუბაციის მაღალი ტემპერატურა აღიღებს ჭიას ონტოგენეტიკური განვითარების ხანგრძლივობას. ამასთან, ყველა განმეორებაში აღგილი აქვს ნიმფოზის უფრო მეტად გახანგრძლივებას ზრდის პერიოდის ხანგრძლივობასთან შედარებით. ინკუბაციის მაღალი ტემპერატურის სამივე ვარიანტში ნიმფოზის ხანგრძლივობა დიდია მატლის სტადიის ხანგრძლივობასთან შედარებით. ეს ნათლად ჩანს ცხრილის ბოლო სვეტში ნაჩვენები პროცენტებიდან.

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ მხრივ ბიფოლტინური და მონოფოლტინური ჯიშების შედარებითი გამოკვლევები, რომელიც ჩვენ მიერ წინა წლებში იყო ჩატარებული, ნათელყოფენ, რომ მონოფოლტინურ ჯიშებში ბიფოლტინურ ჯიშებთან შედარებით ადგილი აქვს საერთო ონტოგენეზის გახანგრძლივებას. მაგრამ უფრო მეტად აქაც გახანგრძლივებულია ნიმფოზის ფაზა (იხ. ცხრილი 3).

მონოლოგტინური ჯიშების ონტოგენეტიკური განვითარების სხვადასხვა ფაზის სანგრძლივობის შედარება ბიოლოგტინური ჯიშების შესაბამ ფაზათა სანგრძლივობასთან

ჯ ი ზ ი	შატლის პერიოდის სანგრძლივობა საათობით	ნიმუშის სანგრძლივობა საათობით	ნიმუშის სანგრძლივობის პროცენტი
	M±m	M±m	
ასკოლი	793±2	520±2	65.6
ბალდადი	817±1	471±2	57.7
ბუხარული	832±3	495±2	59.60
ბივოლტინური 110 . . .	711±1	325±1	45.7
ბივოლტინური 101 . . .	748±5	352±3	47.1

შენიშვნა: ორივე ბივოლტინური ჯიშის გრენის ინკუბაცია დაბალი ტემპერატურის (15°) პირობებში, სრული სიბრუნვისა და 70% შეფარდებითი ტენიანობის პირობებში ჩატარდა.

ამრიგად, აშეარაა, რომ ონტოგენეზის მანძილზე სხვადასხვა ფაზათა სანგრძლივობის შეფარდებაში ის ცვლილებები, რაც ბივოლტინურ ჯიშში ექსპერიმენტულ პირობებში ემბრიონის განვითარებაზე გარემოს სათანადო პირობების ინკუბაციის ტემპერატურის ზემოქმედებით მივიღეთ, მონოგოლტინურ ჯიშებში უკვე ჯიშურ ნიშანთვისებებს, ე. ი. მერივიდრულად განმტკიცებულს წარმოადგენს. ამ მხრივ მიღებული სრული პარალელიზმი ნათლად შეტყველებს შეძენილი ნიშანთვისებების მერყვიდრეობას.

3-ობგნონგის გამავიდრეობითობის ცვლილებები

გარემოს წამყვან მაღიფერენცირებელ მნიშვნელობას. მოწმობს აგრეთვე მწერთა ვოლტინობის ცვლილებები. ასე, მაგალითად, ჩვეულებრივი ბამბის ტილის *Aphis gossypii* თაობათა რიცხვი წლის განმავლობაში იცვლება 14-დან 20-მდე კლიმატური და განსაკუთრებით ტემპერატურული პირობებისა—გან დამკიდებულებით. ვაშლის ნაყოფქამია (*Laspeyresia pomonella*) იმ ქვეყნებში, სადაც მოკლე ზაფხულია, წლის მანძილზე მხოლოდ ერთ თაობას იძლევა, მაშინ როცა თბილ ქვეყნებში რამდენიმე თაობას წარმოქმნის ხოლმე (უგაროვი, 1931). გამახვიარები (Phytometra gamma) სეზონის განმავლობაში ვოლოგდის სიგანედში ერთ თაობას იძლევა. მოსკოვის სიგანედში შეუძლია წარმოქმნას ორი თაობა, ტყე-სტეპიანსა და სტეპიან ზონაში—სამი, ხოლო კავკასიაში და შუაზიაში—ოთხამდე.

იმისდა მიხედვით, თუ მწერს რა ხანგრძლივობით უხდება ამა თუ ის გარემოს პირობებში ცხოვრება, ციკლურობის ცვლილებები მემკვიდრეობის სხვადასხვა დონით განტკიცდება. ასე, მაგალითად, *Tella polyphemus* (დაუსონი, 1931) ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთის ზონაში მინესოტის შტატში წლის განმავლობაში 4 თაობას იძლევა, ნებრასკაში კი — ორს.

მუხის ჩინური აბრეშუმქსოვი (*Antheraea pernyi*) თავის სამშობლოში — ჩინეთში წლის განმავლობაში ორ თაობას იძლევა, სსრ კავშირში კი განვითარების გარემოს პირობებისაგან დამკიდებულებით წლის განმავლობაში წარმოქმნის ერთს, ორს, ზოგიერთ შემთხვევაში კი სამ თაობას.

მყრალი ხის აბრეშუმის ჭია (*Philosamia cynthia*) წლის განმავლობაში ცვლის თავის ციკლურობას გავრცელების არეალის მიხედვით.

აბრეშუმის ჭია (*Bombyx mori*) შეიცავს ციკლურობის მიხედვით ერთ-მანეთისაგან განსხვავებულ მონოვოლტინურ, ბივოლტინურ და პოლივოლტინურ რასებს.

მონოვოლტინური და ბივოლტინური ფორმები გავრცელებულია იმ ქვეყნებში, სადაც შედარებით მიკლე გაზაფხული და ზაფხული იცის. პოლივოლტინური რასები კი მხოლოდ თბილ ქვეყნებშია გავრცელებული.

ეჭვს გარეშე, ციკლურობისა და სხვა ნიშანვისებათა მიხედვით რასა-თაშორის სხვაობის წარმოქმნაში გარემოს წამყვანი როლი ეკუთხილდა. ამას მოწმობს ისიც, რომ ბივოლტინურ ჯიშებში ვოლტინობის რეგულაციას წარმატებით ახდენენ გრენის ინკუბაციის პირობების საშუალებით.

იმისათვის, რომ გაგვერკვია ტემპერატურის როლი აბრეშუმის ჭიის ვოლტინიზმის დეტერმინაციისა და ვოლტინიზმის მემკვიდრეობითობის შეცვლაში, ჩვენ შევისწავლეთ ბივოლტინური და მონოვოლტინური ჯიშები.

ჩვენ მოვახდინეთ ბივოლტინური ჯიშის საწყისი გრენის ინკუბაცია საშუალო (21°) და მაღალი ($26-27^{\circ}$) ტემპერატურის პირობებში (ბივოლტინობის ხელის შემწყობი სხვა პირობების დაცვით დამყარებულ იქნა სული სიბნელე და ტენიანობა 70%) და ასეთ ტემპერატურულ პირობებში ინკუბაციებული გრენიდან გამოსული ჭიების ვოლტინობა (შვილეული გრენისა) შევადარეთ ბივოლტინობის ხელის შემწყობ პირობებში ინკუბირებულ გრენიდან მიღებულ იმავე ჯიშის ჭიების ვოლტინობას. შედეგები წარმოდგენილია მეოთხე ცხრილში.

ცხრილი 4

ბივოლტინობის შემცირება და მონოვოლტინობის გაძლიერება ბივოლტინურ ჯიშში 110 (საწყის გრენაზე ინკუბაციის ტემპერატურის ზემოქმედებით)

ტემპერატურა ინკუბაციისას	გამოკვლეულ ნადეგთა რაოდენობა	მ ა თ შ ა რ ი ს			მონოვოლტი- ნურ ნადეგთა პროცენტი
		მონოვოლ- ტინური	ბივოლტი- ნური	შერეული	
15°	1229	41	1183	5	3.3 ± 0.51
21°	1238	806	369	63	65.1 ± 1.36
$26^{\circ}-27^{\circ}$	1419	1397	21	1	98.4 ± 0.33

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ტემპერატურის აწევა მკვეთრად ამ ცირქებს შეილეული გრენის ბივოლტინობას და აძლიერებს მონოვოლტინობას ამიტომ, ეჭვს გარეშეა, რომ მონოვოლტინური ჯიშების წარმოქმნის პროცესში დიდი როლი უნდა ეთამაშა ებბრიონის განვითარების პირობებს, კერძოდ ტემპერატურას.

ჩვენი ვარაუდით, მონოვოლტინური ჯიშები ბივოლტინური ფორმებიდან უნდა წარმოქმნილიყვნენ. ასეთ შემთხვევაში ბივოლტინობის მექანიზმი ბითობის ცვლილების ხასიათის განმსაზღვრელი იყო ის კონკრეტული პირობები, კერძოდ ემბრიონული განვითარების პირობები, რომლებშიც ამათუ იმ მონოვოლტინური ჯიშის ჩამოყალიბება ხდებოდა.

ცხადია, სხვადასხვა ადგილას ეს პირობები სხვადასხვანაირი იქნებოდა, ამიტომ მონოვოლტინობის მექანიზმი განმტკიცება სხვადასხვა დონით უნდა წარმართოულიყო. ამ საკითხის გამოსარკვევად ჩვენ შევისწავლეთ სხვადასხვა გეოგრაფიულ და ეკონომიურ პირობებში ჩამოყალიბებული ჯიშების მონოვოლტინობა ისეთ პირობებში, რომელიც ხელს უშენებენ ბივოლტინობის განვითარებას. სახელდობრ, მონოვოლტინური ჯიშების საწყისი გრენის ინკუბაცია ხდებოდა დაბალი ტემპერატურის (15°), სრული სიბრუნვისა და 70% ტენიანობის პირობებში.

შედეგები წარმოდგენილია მეხუთე ცხრილში.

ცხრილი 5

სხვადასხვა მონოვოლტინურ ჯიშთა ჯაჭვების მონოვოლტინობის დონის ცვლილები საწყისი გრენის ბივოლტინობისათვის ხელის შემწყობ პირობებში ინკუბაციის შედეგად

ჯიშების დასახელება	გამოკვლეულ ნადებთა რაოდენობა	მათ შორის			მონოვოლტინურ ნადებთა პროცენტი
		მუნიციპალიტეტი	რეგიონი	ცენტრი	
M \pm m					
დასაცლეთ აზიური ჯიშები					
ბალდადი	1047	1047	—	—	100
ადრიანოპოლისური	387	387	—	—	100
ედერნე	98	98	—	—	100
თურქესტანული თეთრი	205	205	—	—	100
კაზახი მწვანე	160	160	—	—	100
ბურგარული	272	270	1	1	99,26 \pm 0,52
ევროპული ჯიშები					
ევროპული 16	419	419	—	—	100
აბურცო	678	674	3	1	99,41 \pm 0,29
ასკოლი	878	871	1	6	99,20 \pm 0,30
მაიელა	831	824	5	2	99,16 \pm 0,32
ბიონე	172	171	1	—	99,42 \pm 0,58
ეფრაიმული 17	296	284	11	1	95,95 \pm 1,15
სფერიკო	266	191	72	3	71,80 \pm 2,76

ჯიშების დასახელება	გამოყვლებულ ნადებთა რაოდენობა	მათ შორის			მონოკლინული მონოკლინული ნადებთა პროცენტი
		მონოკლინული ტინუაი	ბევრები ნუაი	შერტები	
		M ± m			
იაპონური ჯიშები					
იაპონური მონოკლინური	384	380	4	—	98.96 ± 0.52
სერიუმატა	511	504	7	—	98.63 ± 0.51
იაპონური ოქტორი	471	459	9	3	97.45 ± 0.73
მატურუკაზი	135	98	36	1	72.59 ± 3.84
ჩინური ჯიშები					
შანტუნგი	95	95	—	—	100
ჩინური 13/14	503	502	4	—	99.80 ± 0.20
ორო	334	333	—	1	99.70 ± 0.30
ჩინური ოქტორი	521	503	15	3	96.55 ± 0.80
ჩინური 15	254	245	9	—	96.46 ± 1.16
ჩეკიანგი	188	178	5	5	94.68 ± 1.64
შენკული	195	157	35	3	80.51 ± 2.84

ამრიგად, როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, მონოკლინური და ბიგოლტინური ჯიშები ერთმანეთისაგან მცველად კი არ არიან გამიჯნული, არამედ ჯიშთა ღიღი უმრავლესობა მონოკლინობასთან ერთად ბიგოლტინობასაც იჩენს. იმასთან, ამა თუ იმ ჯიშის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე გარემოს კონკრეტული პირობების ზეგავლენით ბიგოლტინობის მემკვიდრეობითობის შეცვლა და მონოკლინობის მემკვიდრეობითობის განმტკიცება სხვადასხვა ღონით მომხდარა. ამ მხრივ ცველაზე უფრო ძლიერ შეიცვალა დასავლეთ-აზიური ჯიშები, რომლებშიც მონოკლინიზმი ყველაზე უფრო მეტადაა განვითარებული. მეორე ადგილზე მონოკლინობის ღონის მიხედვით უკრობული ჯიშებია, მესამეზე — იაპონური, ხოლო უკანასკნელზე — ჩინური. იმავე ღროს, უნდა აღინიშნოს, რომ ჯიშთა ამ სამ ჯგუფს შორის აშკარა განსხვავებას არა აქვს აღილი.

სავსებით ნათელია, რომ როგორც ჯიშთა ჯგუფებს შორის, ისე ცალკეულ ჯიშთა შორის უფრო მეტი განსხვავება იქნებოდა. მაგრამ საკმაო ღროს განმავლობაში შედარებით ერთნაირ პირობებში მომრავლება-შენახვის პირობების გამო, რასაც ქუთაისის ზონალურ სადგურში აწარმოებენ საკოლექციო მიზნით, ეს ჯიშები სხვადასხვა ნიშანთვისებებისა და, კერძოდ, ციკლურობის გამო დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

ამრიგად, მოტანილი მონაცემები მეტაცველებენ, რომ ჯიშის ჩამოყალიბებისა და ზრდა-განვითარების კონკრეტულმა პირობებმა განაპირობეს ციკლურობის მემკვიდრეობითობის ცვლილებები.

დასკვა


 მარცხნილი
უსაფრთხოები

1. წინამდებარე შრომაში გაშუქებულია გარემოს პირობების წამყვანი მაღიფერუნციორებელი მნიშვნელობა აბრეშუმის ჭიის სიცოცხლესა და მემკვიდრეობითობის ცვალებადობაში.

2. აბრეშუმის ჭიის ბივოლტინური ჯიშის გრენის ინკუბაციის ე. წ. შორისული ტემპერატურა— 21° იწვევს ზრდის ინტენსივობის გაძლიერებას. ამასთან ეს ცვლილება შთამომავლობაშიც შენარჩუნებულია.

3. შრომაში მოტანილი ფაქტები ნათელყოფენ, რომ ადგილი აქვს პარალელიზმს ონტოგენეზის სხვადასხვა ფაზათა ხანგრძლივობაში ინკუბაციის ტემპერატურით გამოწვეულ ცვლილებებსა და იმ თავისებურებათა შორის, რომლებიც მონოვოლტინურ ჯიშებში უკვე ჯიშობრივს ანუ მიმკვიდრულად განმტკიცებულ წარმოადგენს (ნიმუშის უფრო მეტი გახანგრძლივება არის შემთხვევაში). ეს ფაქტები აშკარად ადასტურებენ ინდივიდურ ცხოვრებაში შეძენილ ნიშანთვისებების მემკვიდრეობას.

4. იგრეთვე ადგილი აქვს თვალსაჩინო პარალელიზმს ბივოლტინურ ჯიშში ინკუბაციის ტემპერატურით გამოწვეულ ცვლილებებსა (ბივოლტინობის შემცირება ინკუბაციის მაღალი ტემპერატურის დროს) და იმ თავისებურებას შორის, რომელიც მონოვოლტინურ ჯიშებში სხვადასხვა დონით უკვე მემკვიდრულადაა განმტკიცებული ამა თუ იმ ჯიშის ჩამოყალიბების პირობების მიხედვით. ეს ფაქტიც აშკარად მეტყველებს მემკვიდრეობითობის ცვალებადობის შესახებ გარემოს პირობების ზეგავლენით.

ლიტერატურა

1. И. В. Мичурин, Соч., т. I, 1939.
2. И. И. Павлов, Двадцатилетний опыт, 1942.
3. И. В. Сеченов, Избранные труды, 1935.
4. Ч. Дарвин, Происхождение видов, 1937.
5. Т. Д. Лысенко, Агробиология, 1949.
6. К. А. Тимирязев, Соч., т. V и т. VI, 1938—39 гг.
7. А. Н. Северцов, Морфологические закономерности эволюции, 1939.
8. Л. Ш. Давиташвили, История эволюционной палеонтологии от Дарвина до наших дней, 1948.
9. А. П. Владимирский, Передаются ли по наследству приобретенные признаки, 1927.
10. И. В. Турбин, Генетика с основами селекции, 1950.
11. П. П. Сахаров, Наследование приобретенных признаков у животных: Зоол. журн., т. XVIII, вып. 1, 1949.
12. А. А. Авакян, Наследование приобретенных признаков у растений: „Агробиология“ № 6, 1948.
13. И. Н. Павловский и А. Первомайский, К проблеме экспериментального изменения наследственности у млекопитающих: Изв. АН СССР, серия биол. № 6, 1949.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დარვინიზმისა და გენეტიკის კათედრა

Г. Папалашвили

Некоторые закономерности исследования и его изменения в тутовом шелкопряде

Резюме

1. В настоящей работе приводятся экспериментальные материалы, доказывающие наследование тех изменений, которые приобретаются организмом тутового шелкопряда под воздействием условий внешней среды.

2. При повышенной температуре инкубации 21°C бивольтинной породы тутового шелкопряда возникают изменения в росте, которые передаются по наследству.

3. Изменения в соотношениях между длительностями фаз личного роста и нимфозного развития у бивольтинной породы, возникающие под непосредственным влиянием условий среды в течение эмбрионального развития (при высокотемпературной инкубации гренки, (27°) , в большой мере оказались параллельными тем соотношениям, которыми обладают моновольтинные породы в виде наследственно закрепленных особенностей (более сильное удлинение нимфоза).

4. Также имеет место явный параллелизм между изменениями в цикличности, возникающим под непосредственным влиянием высокой температуры инкубации гренки бивольтинной породы тутового шелкопряда (сильное снижение бивольтинности), и особенностями цикличности моновольтинных пород, у которых моновольтинность закреплена в наследственности в разной мере, в зависимости от условий формирования этих пород.

ტ. კეჩებიძე

ზოლიანი ხვლიქის (*Lacerta strigata* Eichv) როლი გილგანობის

დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ხერხემლიანთა ფაუნისა და მათ ცალკეულ წარმომადგენელთა ბიოლოგიურ თავისებურებათა შესწავლის, თითოეული მათგანის როლის განსაზღვრას ბიოცენოზში, სიცოცხლის პირობებსა და ორგანიზმებს შორის არსებული ურთიერთობის გამორჩევას.

ხერხემლიან ცხოველთა სისტემატიკური შემადგენლობა საქართველოს ფარგლებში ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად დადგენილი. ასევე თითქმის არ არის შესწავლილი ცალკეული სახეობების ბიოლოგიური თავისებურებანი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხერხემლიანთა ზოლობიის კათედრა 1947 წლიდან სისტემატურად აწყობდა ექსპედიციებს და აგროვებდა მასალებს შიდა ქართლის ტერიტორიაზე ხერხემლიანთა ფაუნისა და მათი ცალკეული წარმომადგენლების ბიოლოგიურ თავისებურებათა შესწავლის მიზნით.

პირადად ჩვენს მიზანს შეადგენდა *Lacertilia*-თა სისტემატიკური შემადგენლობის დადგენა და ზოგიერთი მასობრივად გავრცელებული ფორმის როლის განსაზღვრა ბიოცენოზში.

1948 წლის განმავლობაში ჩვენ შევისწავლეთ კასპის რაიონის *Lacertilia*-თა სისტემატიკური შემადგენლობა, მათ შორის ყველაზე მასობრივად გავრცელებული — ზოლიანი ხვლიქის (*L. strigata*) ბიოლოგიური თავისებურებანი.

გასალა და გაშემობის მეთოდი

მასალები შეგროვებულ იქნა კასპის რაიონის ფარგლებში 1948 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში. ამავე პერიოდში წარმოებდა ექოლოგიური დაკვირვებები საველე პირობებში.

ცხოველების შეგროვებას ვაწარმოებდით; ხელით ან ბადის საშუალებით, მაშინვე ვკლავდით ცხოველს თავის ტვინის დაზიანებით და ვახდენდით ფიქსაციას 70% / სპირტში, რაც უზრუნველყოფდა ცხოველის ბუნებრივი შეფარდებისა და მის მიერ უკვე მოპოვებული და კუჭიში არსებული საკვების მთლიანობის შენარჩუნებას.

მასალის შეკრება წარმოებდა სხვადასხვა დროს; ასევე წერმოებული ბიოლოგიურ და ზოგიერთ კლიმატურ ფაქტორთა აღრიცხვა სპეციალურობის საწყო-იარაღების გამოყენებით.

ნიადაგის თ-ის აღრიცხვა წარმოებდა სავინოვის თერმომეტრებით, პაერის თ-ის გაზომვა ჩვეულებრივი ჰაერის თერმომეტრებით—ნიადაგთან ახლოს და მისგან დაშორებით 1 მეტრის სიმაღლეზე. როგორც ნიადაგის, ისე ჰაერის თ-ის გზომავლით მზეზე და ჩრდილში. ტენიანობის გაზომვას (აბსოლუტური, შეფარდებითი) ვაწარმოებლით ასმანის ფსიხორომეტრით, აღილის სიმაღლის განსაზღვრას—ანეროიდით. კასპის რაიონის ფარგლებში შეკრებილი მასალის კამერალური დამუშავება წარმოებდა სტალინის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრაზე.

კოლექციების სისტემატიკური გამორჩევა წარმოებდა სპეციალური სარკვევებით. ცხოველის სხეულისა და სხეულის ცალკეულ ნაწილთა განაზომების აღება წარმოებდა ცირკულით, რომელიც შემდეგ გადაგვექნდა მილიმეტრებიდან და სანტიმეტრებად დაყოფილ სახაზეზე.

კუჭის შიგთავსის ანალიზი წარმოებდა შემდეგნაირად: ჯერ ვწონიდით თითოეული ცხოველის კუჭის შიგთავსს ანალიზურ სასწორზე და გამოვხატავდებით მას მილიგრამებში, შემდეგ გადაგვექნდა იგი ცალკეულ სინჯარებში სათანადო ეტიკეტებით საკვები კომპონენტების დადგენის მიზნით.

საელე დაკვირვებების დროს მიღებული მონაცემების (თ, ტენიანობა, აღილის სიმაღლე) შესწორებასა და დაყვანას ვაწარმოებდით სათანადო ცხრილების გამოყენებით. რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებდა ანდრუშკოს [1] მეთოდით.

კამერალური დამუშავების შედეგად მიღებული რიცხობრივი მასალის საფუძველზე შედგენილ იქნა ზოგიერი ცხრილი.

გავრცელება

ნიკოლსკი [3] მთელი რიგი შეკლევარების (ეიხვალდი, დეფილიბი, კულაგინი, ბეთვერი, ვალენტინი, რადე, შჩუგუროვი, კაზნაკოვი, შელკოვნიკოვი, შმიდტი, სატუნინი, ფლორენსკი, დიტრიხი და სხვ.) მოწმობით აღნიშნავს ამ ცხოველის გავრცელებას ამიერკავკასიის ფარგლებში შემდეგი აღილებისათვის: ნუხა, ზაქათალა, სიღნაღი, თბილისი, ბათუმი, გოგჩის ტბა, კუს ტბა, ბორჯომი, აბაშა, ფოთი, აფხაზეთი, აბასთუმანი, ქუთაისი, აჯამეთის ტყის მიღამოები, გელათის მიდამოები, მოწამეთი, აჭარა და სხვ.

ჩერნოვი [8] აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ფარგლებში კარგად არ არის გამოკვლეული ზოლიანი ხვლიკის გავრცელება. საბჭოთა კავშირში ის გავრცელებულია ამიერკავკასიიში და მის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთ კავკასიის მხარეში და დაღესტანში.

ტერენტიევი და ჩერნოვი [7] მიუთითებენ, რომ ზოლიანი ხვლიკი გავრცელებულია ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, მცირ აზიაში, ჩრდილოეთ ირანში, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, გარდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებისა, დაღესტანში და ორჯონიკიძის მხარეში.

სუხოვის [6] მიხედვით *Lacerta strigata* საბჭოთა კავშირის ფარგლებშიც და ფართოდ არის გავრცელებული — სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, სამხრეთ და დასავლეთ სტაროპოლამდე, არ არის შევი ზღვის სანაპიროებზე, გვხვდება მცირე აზიაში, ჩრდილოეთ ირანში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ღუნაის დელტებზე და აღმოსავლეთ ბულგარეთში.

ბარაჩის [2] მიხედვით *Lacerta strigata* გავრცელებულია აფხაზეთში (წებელდა).

ჩეენ მიერ კასპის რაიონის ფარგლებში ზოლიანი ხვლიკი ნახული და შეგროვილ იქნა შემდეგი აღილებიდან: სოფ. ჩოჩეთი 600 მ ზღ. დონიდან, ახალქალაქი 610 მ, სოფ. კაპრაშიანი 650 მ, სოფ. ჭყობიანი 650 მ, სოფ. გარიყულა 650 მ, სოფ. ნოსტე 800 მ, სოფ. მეტეხი 510 მ, სოფ. კავთისხევი 550 მ, სოფ. ეზატი 550 მ, სოფ. ერთაშოინდა 750 მ, სოფ. ხოვლე 650 მ, თებეის ხეობის ქვემო წელი 550—600 მ, ქვემო ხანდაკი 600 მ, პანტაგორა 515—520 მ, სადგურ მეტეხის მიდამოები 510—515 მ, სამთავისი 660 მ, მდ. ლეხურას და ქსნის მახლობელი კულტურული ნათესები, თოვლიანი 665 მ, სოფ. კალა 670 მ, სოფ. იგოეთი 670 მ, სოფ. გვალიშვილა 670 მ, სადგურ კასპის მიდამოები 550 მ.

აქ დასახელებული აღილებიდან სულ შეკრებილ იქნა ზოლიანი ხვლიკის 100 ეგზემპლარი, მდედრი—70, მამრი—30. მათ შორის ახალგაზრდა ფორმები (როგორც ჩეენ გვიქრობთ) ერთშოიანები — 30, ხოლო ზრდასრული ფორმები — 70, ახალგაზრდა ფორმებს შორის მდედრი 16, მამრი 14, ხოლო ზრდასრულებული ფორმებიდან მდედრი 44, მამრი 26.

სხეულის განაზოშები

ავტორები, რომლებიც აწარმოებდნენ ზოლიანი ხვლიკის სხეულისა და სხეულის ცალკეულ ნაწილთა გაზომვებს, იძლევიან განსხვავებულ მონაცემებს ზოლიანი ხვლიკის სხეულის სიგრძისა და მის ნაწილთა ზომების შესახებ.

მაგალითად, ნიკოლსკის [3] მიხედვით ზოლიანი ხვლიკის სხეულის სიგრძე შეადგენს 395 მილიმეტრს, ჩერნოვის [8] მიხედვით — 310 მილიმეტრს, მათ შორის მდედრის 270 მმ-დე, ხოლო მამრის 310 მმ-დე. კუდის სიგრძე 1,7-დან 2,2-ჯერ (საშუალოდ 2-ჯერ) მეტია ტანის სიგრძეზე თავის ჩათვლით. ტერენ-ტიევის და ჩერნოვის [7] მიხედვით ტანის სიგრძე შეადგენს 110 მმ, ხოლო ტანისა და კუდს შორის შეფარდება $\frac{L}{L_{ed}}$ 0,43 — 0,59, ე. ი. დაახლოებით კუდის სიგრძე ამ ავტორთა მონაცემების მიხედვით უდრის 186 მმ, მაშინ ცხოველის მთელი სიგრძე გამოდის (110+186=) 296 მმ.

სუხოვი [6] ზოლიანი ხვლიკის ტანის სიგრძედ თავის ჩათვლით თვლის, ისევე როგორც ტერენ-ტიევი და ჩერნოვი, 110 მმ. ხოლო მთელი სხეულის სიგრძე სუხოვის მიხედვით შეადგენს 340 მმ. სუხოვის ამ მონაცემებიდან გამოდის, რომ ზოლიანი ხვლიკის კუდის სიგრძე უდრის 230 მილიმეტრს.

ჩვენ ჩავატარეთ სხეულისა და სხეულის ცალკეულ ნაწილთა გაზომვები/ჩვენს ხელთ არსებული ზოლიანი ხვლიკის 100 ეპზემპლარისა (კასპიური მარტივი დან) და ომოჩნდა (იხ. ცხრილი № 1), რომ ცხოველის ტანის საშუალო სიგრძე შეადგენს 76 მმ, კუდის საშუალო სიგრძე 124 მმ, ხოლო სხეულის მთლიანი სიგრძე 200 მმ. სქესთა შორის განსხვავება სხეულის სიდიდის მხრივ მოჰ-

ცხრილი № 1

Lacerta strigata-ს სხეულის სიგრძე სხვადასხვა ავტორის მონაცემებით (მმ-ობით)

	ნიკოლა-სკიო	ჩერნოვით	ტერენტი-ევითა და ჩერნოვით	სუბოვით	ჩვენი მონაცემებით
სხეულის მთლიანი სიგრძე	395	310	296	340	200
ტანის სიგრძე	—	110	110	110	76
კუდის სიგრძე	—	200	186	330	124

ყავს მხოლოდ ჩერნოვს (8) და ოლნიშნავს, რომ მდედრის სხეულის საშუალო სიგრძე აღწევს 270 მმ-დე, ხოლო მამრისა — 310 მმ-დე, მაშინ როდესაც ჩვენ სრულიად საჭინაალმდევო შეფარდებებთან გვაქვს საქმე. მდედრის სხეულის საშუალო სიგრძე შეადგენს 191 მმ, ხოლო მამრისა — 197 მმ.

გარდა ოლნიშნულისა, ჩვენ მიერ გამორკვეულ იქნა ზოლიანი ხვლიკის ახალგაზრდა და ზრდადასრულებულ ფორმათა სხეულის ზრდები სქესის მიხედვით (იხ. ცხრილი № 2).

ცხრილი № 2

	ახალგაზრდა ფორმები		ზრდასრული ფორმები		ახალგ. ფურ. მ. ქვ. ქვ.	ზრდასრ. ფორმ. მ. ქვ. ქვ.
	მდედრი	მამრი	მდედრი	მამრი		
ტანის საშ. სიგრძე	5,7	5,7	8,5	8,3	5,7	8,4
კუდის საშ. სიგრძე	9,7	9,8	13,5	13,5	9,7	13,5
ტანის უდიდ. სიგრძე	7,0	6,5	11,5	10,5	6,7	11,0
ტანის უმც. სიგრძე	5,0	4,5	6,5	7,0	4,7	6,7
კუდის უდიდ. სიგრძე.	15,0	13,5	17,0	18,3	14,2	17,6
კუდის უმც. სიგრძე	7,0	6,5	9,0	9,2	6,7	7,1

როგორც № 2 ცხრილიდან ჩანს, ზრდადასრულებულ ცხოველთა ტანის უდიდესი სიგრძე შეადგენს 110 მილიმეტრს, ხოლო კუდის უდიდესი სიგრძე — 176 მილიმეტრს; ცხადია, ზრდადასრულებულ ცხოველთა სხეულის მთლია-

ნი სიგრძე შეადგენს 286 მილიმეტრს, რაც ძლიერ უახლოვდება ზემომოყვანილ ავტორთა (ნიკოლსკი, ჩერნოვი, ტერენტიევი და ჩერნოვი, სუხოვი) მიეტყოჭარა მოდგენილ მონაცემებს ზოლიანი ხვლიკის სხეულის სიდიდის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ მათი მონაცემები ემყარება მხოლოდ მხოლოდ ზრდადასრულებული ფორმების ანალიზს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება სხვა დასკვნების გამოტანა.

L. STRIGATA-ს საშეორებელი კლასი (გირგოვი)

ჩვენ მიერ ჩატარებული დაკვირვებების საფუძველზე იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ზოლიანი ხვლიკი კულტურული ნათესების, ნაირბალახიანი ველისა და დაბალი ბუჩქნარის ცხოველია. კასპის რაიონის ფარგლებში ეს ცხოველი მეტად იშვიათ შემთხვევაში თუ შეგვხვდებოდა, და ისიც ერთეულ ეგზემპლარებად, სხვა საცხოვრებელ ადგილებში; ისინი თითქმის სრულიად არ გვხვდებიან ხრიოკებში, კლდეებზე, მცენარეულ საფარს მოკლებულ ქვიან, სილიანსა და ლორობიან ადგილებში. მრავლად გვხვდებიან სიმინდისა და პურის ყანებში და საერთოდ კულტურულ ნათესებში, განსაკუთრებით მასობრივად არიან იმ ნათესებში, რომლებიც მდინარეების ან მათგან გაყვანილი სარწყავი არხების მახლობლადა განლაგებული.

ლამით, საშიშროებისა და წვიმების შემთხვევებში, ჩადიან სოროებში, ისინი უმთავრესად იყენებენ მლრღნელების მიერ გაკეთებულ სოროებს.

კასპის რაიონის ფარგლებში მათ ტიპობრივ საცხოვრებელ ადგილებს მდინარეების — თეძამის, ქსნის, ლეხურას, მტკვრის და მათგან ხელოვნურად გაყვანილი არხების მახლობლად განლაგებული კულტურული ნათესები, საძოვრები, ბუჩქნარები, ხეხილისა და ვენახის ბალები წარმოადგენენ.

L. STRIGATA-ს გირგოვის მიეროებულისაგი

1948 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში კასპის რაიონის ფარგლებში შესაძლებლობა გვქონდა შეგვესწავლა ზოლიანი ხვლიკის ბიოტოპის მიკროკლიმატური პირობები მდინარე თეძამის ქვემო წელის მახლობლად განლაგებულ კულტურულ ნათესებზე. როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ, ეს ადგილები წარმოადგენენ ზოლიანი ხვლიკის ტიპობრივ ბიოტოპს.¹

ქვემოთ მოგვყავს პარეზისა და ნიაღაგის (სუბსტრატის) საშუალო თვიური ტემპერატურის მერყეობა გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდისთვის — დილის, შუადღისა და საღამოს სათებში მწეზე და ჩრდილში (იხ. ცხრილი № 3).

არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ წარმოადგენილი მონაცემები ტემპერატურის შესახებ სავსებით გამოსახავს ზემოაღნიშნული ბიოტოპის ტემპერატურულ რეჟიმს მთელი სავაგეტაციო პერიოდის მანძილზე. აქ მოცემული მასალები წარმოადგენას გვაძლევენ პარეზის (ქვედა ფენების) და ნიაღაგის (ზედა მცირე ფენის) ტემპერატურის მერყეობის შესახებ მხოლოდ გაზაფხულის (V) და

¹ შემოკლებისათვის შემდეგში ჩვენ მას „თემაძის მახლობელ ბიოტოპს“ უწოდებთ.

1948 წ. გაზაფხული (V)				1948 წ. ზაფხული (VI, VII, VIII) შედეგები			
ჰაერის $t^{\circ}\text{C}$		ნიადაგის (სუბსტრატის) $t^{\circ}\text{C}$		ჰაერის $t^{\circ}\text{C}$		ნიადაგის (სუბსტრატის) $t^{\circ}\text{C}$	
მზეზე	ჩრდილში	მზეზე	ჩრდილში	მზეზე	ჩრდილში	მზეზე	ჩრდილში
დილეს სა- ათები	15 — 18	13 — 15	14 — 16	12 — 14	17 — 20	16 — 18	4 — 23
შუალის საათ.	30 — 32	23 — 26	24 — 27	20 — 22	30 — 36	25 — 28	26 — 28
საღამოს საათები	20 — 24	17 — 20	21 — 24	18 — 20	26 — 28	21 — 27	23 — 25
							21 — 24

ზაფხულის (VI, VII, VIII) პერიოდში. ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის ადრე გაზაფხულისა და შემოდგომის ტემპერატურული პირობები და სხვ. ქვეწარმავლების ცხოვრებაში ტემპერატურულ რეჟიმს არსებითი მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ ქვეწარმავლები თერმოფილურ ორგანიზმებს წარმოადგენენ, და თუ ადგილის ტემპერატურული რეჟიმი არ აქმაყოფილებს მათში ისტორიულად გამომუშავებულ ნორმებს, მაშინ საესებით გამორიცხულია ბიოტოპზე მათი არსებობის შესაძლებლობაც.

ჩვენ მიერ შემჩნეული იყო, რომ დაკვირვების პერიოდში მაშინ, როდესაც ჰაერის t° აღწევს შუალის საათებში $31 — 36^{\circ}\text{C}$, ხოლო ნიადაგის (სუბსტრატის) ტემპერატურა კი $27 — 28^{\circ}\text{C}$, ზოლიანი ხვლიკები თითქმის სრულიად არ არიან ნიადაგის ზემოთ. იშვიათ შემთხვევაში კი ერთეული ეგზემპლარი შეფარებულია მცენარეებში და პირდაღებული აწარმოებს გახშირებულ სუნთქვას. ამ დროს ისინი ნაკლებ მოძრავი არიან და სრულიად არ ეძებენ საკვებს. ზოლიანი ხვლიკის ინდივიდების ძირითადი მასა ასეთ შემთხვევაში შედის სოროებში და იქ, შედარებით დაბალი ტემპერატურის პირობებში, თავს იცავს მაღალი ტემპერატურისა და მზის რადიაციის უშუალო საზიანო გავლენისაგან. სამაგიეროდ აქტიურნი არიან ისინი დილისა და საღამოს საათებში, განსაკუთრებით კი დილით, რაღაც დილის საათებში აწარმოებენ უმთავრესად საკვების ძებნასა და გამოკვებას ხელსაყრელ ტემპერატურულ პირობებში.

თებამის მახლობელი ბიოტოპის ტენიანობის პირობები 1948 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდისათვის შემდეგნაირად ხასიათდება: საშუალო შეფარდებითი ტენიანობა გაზაფხულის თვეებისათვის შეადგენს $69^{\circ}/\text{o}$ -ს, ხოლო ზაფხულის თვეებისათვის — $66^{\circ}/\text{o}$ -ს, საშუალო აბსოლუტური ტენიანობა გაზაფხულის თვეებისათვის შეადგენს $67^{\circ}/\text{o}$ -ს, ხოლო ზაფხულის თვეებისათვის — $126^{\circ}/\text{o}$ -ს.

თებამის მახლობელი ბიოტოპის ჰაერის ტენიანობა, როგორც ჩანს, ასე თუ ისე აქმაყოფილებს ზოლიანი ხვლიკის მოთხოვნებს ტენიანობის მიმართ. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის გაურბის ზედმეტი სიმშრალის პირობის

ბებს და ამიტომ ის არ შეიძლება ჩაითვალოს ქსეროფილურ ცხოველებზე, ამის გამო ამიტომ სამართლიანი იქნება, თუ ჩვენ ზოლიან ხელიკის მოვათავებთ მეზოფილურ ცხოველთა ჯგუფში. აქ გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ ზოლიანი ხელიკის ბიოტოპის მეტად მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს წყალი. განსხვავებით ზოგიერთი წარმომადგენლებისაგან (მაგ. Agama და სხვ.), ზოლიანი ხელიკი კასპის რაიონის პირობებში თითქმის არ მოსახლეობს იმ ადგილებში, რომლებიც მოკლებულია წყლის პირობებს, და სწორედ ამიტომაცაა, რომ მათი ბიოტოპები ამა თუ იმ გზით უკავშირდებიან მდინარეებს ან მისგან ხელოვნურად გაყვანილ სარწყავ არხებს. ჩვენ მიერ შემჩნეულია, რომ ზოლიანი ხელიკი მაშინ, როდესაც ბიოტოპის მცენარეულ საფარში ვერ პოულობს წყლის საკმაო რაოდენობას, ხშირად მიემართება წყლისათვის ღროვებით ან მუდმივ წყალსატევებთან. ეს მოვლენა შემჩნეულია ჩვენ მიერ არა მხოლოდ ბუნებრივ პირობებში, არამედ ტერარიუმის ხელოვნურ პირობებში. ზოლიანი ხელიკი კარგად ეგუება ხელოვნურ პირობებს, თავისუფლად ღებულობს მიწოდებულ საკვებს და წყალს. აქ ადვილია დაკვირვება, თუ როგორ ხშირად მიმართავენ ისინი წყლიან ჭურჭელს და სვამენ წყალს.

L. STRIGATA-ს ქვეპა

ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს წარმოვადგინოთ ზოგიერთი მონაცემი ზოლიანი ხელიკის კვების შესახებ.

სულ ჩვენ მიერ გარკვეული იყო ზოლიანი ხელიკის 100 ეგზემპლარის კუჭის შემცველობა (წონითი რაოდენობა) ასაკისა და სქესის მიხედვით (იხ. ცხრილი № 4).

ცხრილი № 4

მდედრი	60	12	48	15100	314	22720	77	295	
მამრი	49	11	29	7620	262				
ზრდადასრ. მდ.	44	10	34	13510	368				
ზრდადასრ. მამ.	26	6	20	5750	288	19260	54	357	1540
ახალგაზრდა მდ.	16	2	14	1590	113				
ახალგაზრდა მამ.	14	5	9	1870	207	3460	23	140	

როგორ ცხრილში მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, 100 კუჭის ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ 77-ში იყო საკვები ორგანიზმები, ხოლო 23 იყო ცარიელი. ყველა 77 კუჭის შიგთავსის წონა შეადგენს 22720 მილიგრამს, საიდანაც თითოეული ცხოველის კუჭში არსებული საკვების საშუალო წონა შეად-

გენს 295 მილიგრამს. ამავე ცხრილიდან იჩვევა, რომ მდელონბითი სქესის ცხოველების კუჭის შიგთავსის საშუალო წონა (თითოეულ კუჭზე) აუცილებელია ტია (314 მგრ.), ვიდრე მამრობითების (262 მგრ.).

ცხრილიდან ნათლად ჩანს ისიც, რომ ზრდადასრულებულ ცხოველთა კუჭის შიგთავსის საშუალო წონა უფრო დიდია (357 მგრ. თითოეულ კუჭზე), ვიდრე ახალგაზრდა ფორმების (150 მგრ. თითოეულ კუჭზე), მაგრამ საყრადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ ზრდადასრულებულ მდედრის კუჭის შიგთავსის საშუალო წონაც გაცილებით ჭარბობს (368 მგრ. თითოეულ კუჭზე), ზრდადასრულებულ მამრის კუჭის შიგთავსის საშუალო წონას (288 მგრ. თითოეულ კუჭზე), მაშინ როდესაც საჭინააღმდეგო მოვლენასთან გვაქს საქმე ახალგაზრდა ცხოველთა კუჭის შემცველობის საშუალო წონათა შორის: ახალგაზრდა მდედრის კუჭის შიგთავსის საშუალო წონა შეადგენს 113 მილიგრამს (თითოეულ კუჭზე), მაშინ როდესაც მამრის კუჭის შემცველობის საშუალო წონა შეადგენს 207 მილიგრამს (თითოეულ კუჭზე).

ალსანიშვნაგია ის გარემოება, რომ კუჭის შიგთავსის მაქსიმუმი წონა ზრდადასრულებულ მდედრში იქნა შემჩნეული, და ის შეადგენს 1540 მილი-გრამს.

ამგვარად, აյ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მდედრობითი სქესის ინდივიდუები გაცილებით უფრო ინტენსიურად იყვებებიან, ვიდრე გამრობითი სქესის ინდივიდუები.

ზრდადასრულებული მდედრობითი სქესის ცხოველები უფრო ინტენსიურად იკვებებიან ვიდრე ამავე ასაკის მამრობითი სქესის ინდივიდები.

ახალგაზრდა ფორმებს შორის მამრობითი ინდივიდები უფრო აქტიურ კვებას აწარმოებენ, ვიდრე მდედრობითი ინდივიდები და, ბოლოს, ზრდადას-რულებული დედლების კუჭის შიგთავსის აბსოლუტური წონა ჭარბობს ზრდა-დასრულებული მატლების კუჭის შიგთავსის აბსოლუტურ წონას.

ანალიზი აშეკრიც დასტურებს, რომ კუჭის შიგთავსი წარმოადგენს სანახევროდ და კიდევ უფრო მეტად გადამუშავებული საკეთი ორგანიზმების ნარჩენებს. უმეტეს შემთხვევაში საკვები ორგანიზმების მოლიანობა დარღვეულია, მაგრამ მაინც შესაძლებელია ამ ნარჩენების გათვალისწინებით გამორჩეულ იქნეს ზოლიანი ხვლიკის საკვები ორგანიზმების სისტემატიკური შემადგენლობა. შიგთავსის ზერელ გადასინჯვის შემთხვევაშიც კი ნათელი ხდება, რომ ზოლიანი ხვლიკის საკვების ძირითადი ჰასა ფეხსახსრიან ცხოველთა წარმოადგენლებია. მათ შორის კალიები, კუტკალიები, მინდვრის ჭრიჭინები, სხვადასხვა სახეობის ხოჭოები, პეპლები, ობობები და სხვ. განსაკუთრებით თვალში გეცემათ კალიების, კუტკალიებისა და მათი ახალგაზრდა სტადიების სიჭარე საკვების შემადგენლობაში. ტერენტევი და ჩერნოვიც (6) მიუთითებინ, რომ ზოლიანი ხვლიკი უმთავრესად კალიანაირებით იყვებება.

ჩენ მიერ შემჩნეულია, რომ გაზაფხულისა და ზაფხულის მზიან დღეებში ზოლიანი ხელიკები პვებას აწარმოებენ უმთავრესად დილისა და საღამოს საათებში, მაგრამ ამავე პერიოდის ღრუბლიან დღეებში საკვებს ეძებენ დღის სხვა საათებშიც. წვიმიან დღეებში შედიან სორიებში დი შეუძლიათ რამდე-

ნიმე დღის და ოვის განმავლობაში გასძლონ საკვების გარეშე, მაგრამ წყვეტილი ბის გადალებისას, როდესაც გრუნტი შრება მთლიანად ან ნაწილობრივ, მა-შინვე ამოდიან და იწყებენ აქტიურ კვებას. განსაკუთრებით აქტიურია კვება ხანგრძლივი წვიმების გადალებისას და მზის ამოსვლისას; ამ შემთხვევაში არ ერიდებიან შუადღის საათებში კვებასაც.

ზოლიანი ლაკვირვები

ზოლიანი ხვლიკის გამოზამთრება, უნდა ვითიქროთ, ლრმა სორო-ებში მიმდინარეობს; სამწუხაროდ, გამოზამთრების თავისებურებათა შესახებ საკმარისი მასალები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ამ საკითხის შესწავლა მოითხოვს სეზონური მუშაობის წარმოებას. გამოზამთრების შემდევ ზოლიანი ხვლიკის გამოჩენა ნიადაგის ზემოთ დამოკიდებულია ტემპერატურულ პირო-ბებზე. ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, განაპირობებს ზოლიანი ხვლიკის აქტიურ ცხოველმოქმედებას, ხოლო, მეორე მხრივ, მისი საკვები ორგანიზმების გამო-ზამთრებასაც.

ერთობის ფარგლებში ზოლიანი ხვლიკის გამოსვლა დაზამთრების ადგი-ლიდან ჩვენ მიერ შემჩნეული იყო 1948 წლის თებერვლის შუა რიცხვებში, ხოლო შემოდგომაზე, ნოემბრის შუა რიცხვებში, ზოგჯერ უფრო გვია-ნაც, ვხვდებით დაუზამთრებელ ეგზემპლარებს. მაგრამ, ცხადია, რომ ზოლიანი ხვლიკის დაზამთრება და გამოზამთრება ყოველთვის ჩვენ მიერ აღნიშნული თვის რიცხვებში არ წარიმართება, რადგან ტემპერატურული პი-რობები აღნიშნულ რიცხვებში ყოველწლიურად ერთი და იგივე როდია. მაშინ როდესაც ჰაერისა და ნიადაგის ტემპერატურა არის $10-14^{\circ}\text{C}$, მზის რადია-ციის ხელსაყრელ პირობებში მათ შეუძლიათ აქტიურ მდგომარეობაში დარჩ-ნენ, გამოვიდნენ დასაზამთრებელი ადგილიდან ან წავიდნენ დასაზამთრებლად (თუ ამას ხელს არ უშლის ყინვები, ქარი და ნალექები).

ზოგიერთი ცნობა ზოლიანი ხვლიკის გამარავლების შესახებ

ჩვენი მასალებისა და დაკვირვებების მიხედვით კვერცხების დება მიმდი-ნარეობს ივნისის ბოლოდან, რადგან ივნისამდე დაჭრილ ყველა მდედრს კვერცხები აღმოაჩნდა (განკვეთისას) დაუდებელი.

დასაცემად გამზადებული კვერცხები ოვალური ფორმისაა, თითოეული ასეთი კვერცხის სიგრძე აღწევს 16-მილიმეტრს, ხოლო სიგანე 9—10 მი-ლიმეტრს. ჩვენ მიერ განკვეთილ ეგზემპლარებში კვერცხების რიცხვი საშუალოდ მერყეობდა 4-დან 10-მდე.

გამოჩეული წარმოებს აგვისტოში, ამავე თვეში დაჭრილი ახალგაზრდა ფორმების სხეულის სიგრძე აღწევს 92 მმ., აქედან ტანის სიგრძე — 34 მმ., ხოლო კუდის სიგრძე — 58 მმ. მათთვის დამახასიათებელია სიგრძივი ზოლია-ნობა. საკმაოდ სწრაფად მოძრავი და მოქნილი არიან. ჩვენ მიერ ჩატარებულ დაკვირვებების შედეგად ახალგამოჩეკილ ფორმებზე მშობლების არავითარი მზრუნველობა არ იყო შემჩნეული. აგვისტოში გამოჩეკილი ფორმები იზამთრე-ბენ ნოემბერში, მაგრამ მომავალ ზაფხულში ისინი სქესობრივიად მომწიფებას ვერ ასწრებენ. ეს ჩანს იქიდან, რომ ივნისისა და ივლისს დაჭრილ არცერთ

ახალგაზრდა მდედრებში კვერცხები განვითარებული არ აღმოაჩნდა. ჩვენი აზე
რით, სქესობრივ სიმწიფეს ზოლიანი ხვლიკი აუწევს მეორე ზაფხულში მაყუებლები 2 წლის ასაკში.

თემამის მახლობელი გირგოაის LACERTA STRIGATA-ს რაოდენობივი აღრიცხვა

ზოლიანი ხვლიკის ტიპიურ საცხოვრებელ ადგილზე და, კერძოდ, თეძამის მახლობელ ბიოტოპზე, საღაც ჩვენ მიერ წარმოებდა რაოდენობრივი აღრიცხვა, ზოლიანი ხვლიკი მასობრივად მოსახლეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული რაოდენობრივი აღრიცხვა არ იქნება შეცდომებისაგან დაზღვეული, მაგრამ მიახლებულ წარმოდგენას მაინც გვაძლევს შათი რეალური რაოდენობის შესახებ ბიოტოპის ერთეულ ფართობზე.

თეძამის მახლობელ ბიოტოპზე ზოლიანი ხვლიკის რაოდენობრივ აღრიცხვას ვაწარმოებდით დილის საათებში, როდესაც მისი ინდივიდები ნიადაგის ზედაპირზე ჩნდებოდნენ დიდი რაოდენობით და ყველაზე ძეგლიური იყვნენ. ხერხემლიან ცხოველთა და, კერძოდ, ქვეწარმვალთა ამ ჯგუფის მმარტ მიღებული რაოდენობრივი აღრიცხვის მეთოდით ჩვენ დავადგინეთ, რომ ბიოტოპის ყოველ 25 კვადრატულ მეტრზე მოსახლეობს სულ ცოტა ერთი ზოლიანი ხვლიკი მაინც. მაშინ ბიოტოპის ყოველ ჰექტარზე იქნება ($10.000 : 25 = 400$) ოთხასი ცხოველი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ თეძამის მახლობელი ბიოტოპისათვის ეს მეტად შემცირებული რაოდენობაა.

LACERTA STRIGATA-ს როლი გირგონზში

ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ხმელეთის ხერხემლიანებს შორის ზოლიანი ხვლიკი ბიოცენოზის მნიშვნელოვან წარმოადგენს. ქართლის ველის საკვებ ჯაჭვები ისინი მჭიდრო კვებით ურთიერთობაში არიან ფეხსახლიან ცხოველებთან, განსაკუთრებით კალიებთან და კუტკალიებთან¹, რომლებიც წარმოადგენს სოფლის მეურნეობის კულტურულ მცენარეთა სერიოზულ მავნებლებს; ამავე დროს თვით ზოლიან ხვლიკს კვებითი დამოკიდებულებით უკავშირდება სხვა ცხოველური ორგანიზმები, კერძოდ მუქმედვან მცურავი (Coluber najadum) და კატის გველი (Tardophis fallax iberus), რომელთა საჭმლის მომნელებელ ტრაქტში ხშირად ვაოულობთ ზოლიან ხვლიკებს.

ამგარად, ზოლიანი ხვლიკები ანადგურებენ სოფლის მეურნეობის კულტურულ მცენარეთა ისეთ სერიოზულ მავნებლებს, როგორიც არიან კალიები და კუტკალიები. ამასთან ერთად, ზოლიანი ხვლიკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბუნების ეკონომიკაში, სახელმისამართის ნივთიერებათა ბრუნვის საქმეში.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ზოგიერთი რიცხობრივი მასალა.

¹ ამას მოწმობს ჩვენ მიერ გამოკვლეული კუჭების შიგთავსი.

როგორც ზემომოყვანილი მონაცემებიდან უკვე ცნობილია, ზოლიანი ზელიკის თითოეული ინდივიდის კუჭის შიგთავსის საშუალო წონა $\frac{3}{4}$ მეტრის 295 მილიგრამს.

თუ მივიღებთ, რომ თითოეულ ცხოველს ნამდეილად 3—4-ჯერ მეტი საკვეპის მიღება შეუძლია ყოველდღიურად (და ეს სავსებით შესაძლებელია, რადგან კუჭის შიგთავსი ფაქტურად წარმოადგენს საკვები ორგანიზმების ნარჩენებს, რომლებიც ცხოველმა მიიღო ერთ გამოკვებაზე და ასეთ გამოკვებას ცხოველი ხელსაყრელ პირობებში რამდენჯერმე აწარმოებს), მაშინ მივიღებთ: $295 \times 3,5 = 1027$ მილაგრამს, ე. ი. საშუალოდ 1 გრამს. ეს ციფრი მით უფრო არ არის გადაჭარბებული, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენ მცენ აღმოჩენილია ზრდადასრულებული მდედრის კუჭის შიგთავსი, რომელიც იწონიდა 1540 მილიგრამს.

თუ ამას გადავიყვანთ ბიოტოპის ერთ ჰექტარზე, სადაც (როგორც რაოდენობრივი აღრიცხვებით გამოირკვა) ყოველდღიურად 400 ცხოველი იკვებება, მაშინ აღმოჩნდება, რომ 400 ინდივიდის მეტ ყოველდღიურად მიიღება (1. 400) 400 გრამი საკვები (მაგნე მწერები), თვიურად ერთ ჰექტარზე (400. . 30) — 12000 გრამი (12 კგრ.), ხოლო სავეგეტაციო პერიოდში (IV—X-მდე), 7 თვეს მანძილზე (12.7) 84 კილოგრამი. აქედან ადვილი წარმოსადგენია ის უდიდესი როლი, რომელსაც ასრულებს Lacerta strigata ბიოცენოზში სოფლის მეურნეობის მავნე მწერების განადგურებით.

დასკვნა

1. ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა კასპის რაიონის Lacertilia-თა ფაუნა და მათ შორის მასობრივად გავრცელებული Lacerta strigata-ს როლი ბიოცენოზში.

2. კასპის რაიონის ფარგლებში მასობრივად არის გავრცელებული L. strigata, რომლის ბიოლოგია და როლი ბიოცენოზში, როგორც ლიტერატურული წყაროებიდან ჩანს, შესწავლილი არ არის.

ჩვენ მიერ შესწავლილია აღნიშნული ცხოველის ბიოტოპის მიკროკლიმატური ფაქტორები (ტ°, ტენიანობა, წნევა, წყლის ფაქტორი და სხვ.).

3. კასპის რაიონის თებამის მახლობელ ბიოტოპშე რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველზე ირკვევა, რომ აღნიშნული ბიოტოპის ყოველ 25 კვადრატულ მეტრზე (სულ მცირე) მოსახლეობს ერთი ცხოველი, ხოლო ბიოტოპის ყოველ ჰექტარზე 400 ცხოველი.

4. Lacerta strigata-ს 100 ინდივიდის კუჭის ანალიზის საფუძველზე გამოირკვა, რომ მის ძირითად საკვებს შეადგენს სოფლის მეურნეობის კულტურულ მცენარეთა ისეთი მავნებლები, როგორიც არიან კალიები და კუტკალიები.

5. კამერალური დამუშავების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ თითოეული ცხოველის კუჭის შიგთავსი საშუალოდ შეადგენს 1 გრამს; ამგვარად, ბიოტოპის თითოეულ ჰექტარზე დასახლებულ 400 ცხოველს ყოველდღიურად შეუძლია მიიღოს სულ ცოტა 400 გრამი მავნე მწერები, ყოველთვიურად 12000

շրամօ, յ. օ. 12 կոլոցքամօ. Տաշեցի Յերովով (IV — X-թղթ), 7 տարեկան մանձուցք տուոցով չը էլարնեց նազգուրդը 84 կոլոցքամօ մաքրութիւնը պյուղան նատլած հան L. strigata-ս հոլո ծոռնովի դա մուսան ցամոմքոնարց մեջ թշնելով.

ԾՈՒՅԹԱՑՄԱՆ

1. А. А н д р у ш к о, Методика и техника количественного учета пресмыкающихся: Вопросы экологии в биоценологии, З, 1936.
2. Г. П. Б а р а ч, К герпетологии Абхазии: Изд. Абхазского научного общества, вып. 1, 1915 г.
3. А. М. Н и к о л ь с к и й, Пресмыкающиеся и земноводные Кавказа: Изд. Кавказ. музея, 1913 г.
4. В. Н. Р о с т о м б е к о в, К герпетологии Абхазии.
5. А. А. С и л а н т ьев, Материалы по герпетологии Черноморской губ.: Ежегодник Зоол. муз. АН, т. 1, 1903 г.
6. Г. Ф. С у х о в, Обзор ящериц подрода *Lacerta* (*Sauria*) встречающихся в СССР: Труды. Зоолог. инст. АН СССР, III, 1948 г.
7. П. В. Т е р е н տ ьев и С. А. Ч е р н о в, Краткий определитель пресмыкающихся и земноводных СССР, 1940 г.
8. С. А. Ч е р н о в, Определитель змей, ящериц и Черепах Армении: Изд. АН СССР, 1937 г.

Ս Ե Ր Ա Խ Ա Բ Ո Յ Ն Ո Յ Ն Ո Յ Ն
Թ Ե Ր Ա Խ Ա Բ Ո Յ Ն Ո Յ Ն Ո Յ Ն
Խ Ե Ր Ե Ր Ա Խ Ա Բ Ո Յ Ն Ո Յ Ն Ո Յ Ն
Խ Ե Ր Ե Ր Ա Խ Ա Բ Ո Յ Ն Ո Յ Ն Ո Յ Ն

(Ցեմովութ հայէլութ 1951. XII. 14).

Լ. Е. Կ ւ տ ւ ի ձ է

Роль *Lacerta strigata* Eichv в биоценозе

Резюме

На основании количественного учета выясняется, что в биотопе около с. Тедзами (Каспийский район) на каждые 25 кв. метров площади приходится одна ящерица.

На основании анализа содержимого желудка 100 ящериц выясняется, что основной их корм составляют такие вредители культурных растений, каковыми являются саранча и кузнечики.

При камеральной обработке выяснилось, что содержимое желудка каждой ящерицы в среднем весит 1 грамм. Таким образом, живущие на каждом гектаре биотопа 400 ящериц ежедневно могут принять, самое меньшее, 400 гр. вредных насекомых, ежемесячно — 12 кгр.

В течение же 7 месяцев (т. е. вегетационного периода, IV — X) на каждом гектаре уничтожается, самое меньшее, до 84 кгр. вредных насекомых.

გ6. ჯავედიძე

ზოგიერთი მასალა სახელმწიფო მუზეუმის მოლუსების შეცნევის შესრულების

საქართველოს მტკნარი წყლების მოლუსები ნაკლებადაა შესწავლილი. მრავალ ექსპედიციას უმუშავნია ჩვენი მხარის ფაუნის შესწავლის მიზნით; სხვა მასალებთან ერთად მათ მიერ შეგროვილია მოლუსებიც, მაგრამ ამ უკანასკნელთა შესწავლა-აღწერა ჯერ კიდევ არ არის სრულად წარმოდგენილი. აღსანიშნავია მხოლოდ დოცენტ გ. კოკოჩაშვილის შრომა „Список кавказских моллюсков коллекции Кутаисского государственного педагогического института,” რომელშიც ავტორს აღწერილი აქვს საკუთარი და სობრიევსკის მასალების მიხედვით კავკასიიდან მტკნარი წყლების მოლუსების 27 ფორმა. იმავე ავტორს შრომაში „მასალები Limnaea truncatula Müller-ის გავრცელების შესწავლისათვის საქართველოში“ აღნიშნული აქვს L. truncatula-ს მობოვების 35 ადგილი.

სხვა მკვლევართა შორის აღსანიშნავია სობრიევსკის მასალები მტკნარი წყლების მოლუსების შესახებ, რაც საქართველოს მუზეუმის ზოგან კოფილებისა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოომუზეუმში ინახება.

მტკნარი წყლის მოლუსებს აქვთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა. დადებითი მხარე ამ ცხოველებისა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი წარმომადგენელის ნიუარა გამოიყენება როგორც ნედლი მასალა ლილების დასამზადებლად; მეორე მხრივ, საკმაოდ დიდი ნაწილი წარმოადგენს საკვებ მასალას თევზებისათვის.


მტკნარი წყლების მოლუსების უარყოფითი მნიშვნელობა ისაა, რომ ზოგიერთი სახეობა მწვევლა ჭიებისათვის შორისულ მასპინძლად ითვლება.

პროფ. უადინს [3] თავის შრომაში მოტანილი აქვს ზოგიერთი ცნობა საქართველოს მტკნარი წყლების მოლუსების შესახებ.

ჩვენ მიერ 1945 წლის ზაფხულში ჩატარებული იყო ექსპედიცია სამეგრელოს შემდეგ რაიონებში: ზუგდიდის, ცხაკაიას, გეგექორის, ხობისა და აბაშის მიდამოებში, სადაც ვაგროვებდით იქ გავრცელებულ მტკნარი წყლების მოლუსებს. აღგილზევვ სპორადულად ტარდებოდა ეკოლოგიური დაკვირვებანი—იზომებოდა წყლის ტემპერატურა და სხვ. შეგროვილი მასალა, სახეობრივი შემაღებელობის გარკვევის მიზნით, ჩვენ მიერვე იქნა შესწავლილი.

ქვემოთ მოგვყავს სისტემატიკის მიხედვით თითოეული სახეობის მოკლე აღწერა რილობა და მათი გავრცელება.

სახეობრივი შემადგენლობის გარკვევისას მნიშვნელობა აქვს ნიუარის მორფოლოგიას და სიდიდეს (იხ. სურათი 1). ტერმინების გამეორების აცილების მიზნით ნიუარის სიმაღლეს აღნიშნავს ასო ა, სიგანეს — ბ, ნიუარის პირის სიმაღლეს — გ და სიგანეს — დ).



სურ. 1

ბუნებრივია, რომ ჩვენი ექსპედიციის მიერ მოკლე დროში შეგროვილი მასალები სამეგრელოს მიღამოების მტკნარი წყლების მოლუსკების შესახებ არ იქნება სრული. ამ მხრივ მუშაობა შემდგომშიც იქნება გავრცელებული.

ოჯახი Limnaeidae

გვარი Limnaea

Limnaea auricularia var. *lagotis* L. 1758

აღწერა: ნიუარი რქისებრი ფერისაა გამჭვირვალე. ბრუნთა რიცხვი ოთხს უდრის. სამი საწყისი ბრუნი თანდათან ნაზრდია და კონუსისებური ფორმის შთაბეჭდილებას სტოვებს, უკანასკნელი

სწრაფად ნაზრდია და ამონტენილი, ნიუარის პირი განიერია, ყურის მაგვარი. კოლუმელარული მხარე მარჯვნივ არის გადაზნექილი.

განაზომები: ა) 10 მმ ბ) 6 მმ გ) 6,5 მმ დ) 3,5 მმ

11 " 7 " 7 3,5 "

10 " 7 " 7 3,5 "

გავრცელება: დოც. გ. კოკინჩაშვილის შრომის მიხედვით [I] ნაპონია ბათუმში (წყალსატევის სახელშოდება არაა დასახელებული).

პროფ. ქადინის შრომის მიხედვით [3] ეს სახეობა გვხდება საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ადგილას, დასახელებულია შავი ზღვის აუზი, ამიერკავკასია.

ჩვენ მიერ ნაპონია მდ. აბაშისა და ინჩხიას წყალსატევებში (12.8.45 წ. გეგმვების რაიონი).

L. auricularia morfa *fluvialis* Shadin 1923

აღწერა: ეს ფორმა *L. auricularia*..-საგან განსხვავდება რიგი ნიშნებით, რაც გამოწვეული უნდა იყოს იმ წყალსატევის თავისისებურებით, საღაც ცხოვრობს დასახელებული ცხოველი.

ნიუარი ბაცი ყავისფერია, მკვრივი შედგენილობისა. პირი განიერია, ზემო ნაწილში კუთხეს ქმნის. ბრუნთა რიცხვი 4,5 უდრის; საწყისი 3,5 ბრუნი თანდათან ნაზრდია, უკანასკნელი კი — სწრაფად; ეს კი, თავის მხრივ, 3—4-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე დანარჩენები.

განაზომები:	ა) 13 მმ.	ბ) 8 მმ.	გ) 9 მმ.	დ) 5 მმ.
	14 "	8 "	9 "	6 "
	14 "	8 "	9 "	6 "

გავრცელება: საბჭოთა კავშირში თითქმის ყველგანაა გავრცელებული [3]. ჩვენ მიერ ნაპოვნია მდ. აბაშისა და ინჩხიას წყალსატევებში (18.8. 1945 წ., გეგმურის რაიონი).

L. auricularia var. lapidaria Milasch

აღწერა: ნიუარა რქისებრი ფერისაა, გამჭვირვალე. ბრუნთა რიცხვი ოთხ უდრის; საწყისი ორი ბრუნი თანდათან ნაზარდია, მომდევნო ორი კი—სწრა ფალ. უკანასკნელი ამოზნექილია და 3—4-ჯერ უფრო დიდი დანარჩენებზე. ნიუარის პირი განიერია, კვერცხისებრი ფორმისა. კოლუმელარული მხარე ოდნავ მარჯვნივა გადახრილი.

განაზომები:	ა) 11 მმ.	ბ) 6 მმ.	გ) 8 მმ	დ) 5 მმ.
	11 "	7,5 "	7,5 "	4,5 "
	11 "	7,5 "	8 "	5 "

გავრცელება: ჟალინის მახედვით [3] სხვა ადგილებთან ერთად გავრცელებულია შევი ზღვის აუზში ამიერკავკასიაში.

ჩვენ მიერ ნაპოვნი იყო მდ. აბაშისა და ინჩხიას წყალსატევებში (13.8.45 წ., გეგმურის რაიონი).

L. truncatula Mull 1774

აღწერა: ნიუარა რქისებრი ფერისაა, ვიწრო კონუსისებური ფორმისა და კვრივი შედგენილობის. ბრუნთა რიცხვი 5—6 უდრის, ამოზნექილებია. ნიუარის პირი ვიწროა, კვერცხის ფორმისა.

განაზომები:	ა) 7 მმ.	ბ) 4 მმ	გ) 3 მმ	დ) 2 მმ
	8 "	4,5 "	3 "	2 "
	8 "	4,5 "	4 "	2,5 "

გავრცელება: საქართველოში L. truncatula...-ს გავრცელების ადგილები ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შესწავლილი. დოც. გ. კოკოჩაშვილს [2] თავის შრომაში აღნიშნული აქვს დასავლეთ საქართველოში L. trunc. მოპოვების 35 ადგილი. ეს ლოკონინები სამეცნიერო ფართოდაა გავრცელებული: სოფ. პირველი მაისი (ხობის რაიონი); სოფ. კორცხელი (ზუგდიდის რაიონი); სოფ. ახუთი (ჩხოროწყუს რაიონი); სოფ. ნაზოდელავი (ჩხოროწყუს რაიონი); სოფ. ნაზოდელავის მახლობლად მდ. ზანას მარცხნა ნაპირი; სოფ. ნოღა (გეგმურის რაიონი); მდ. ცივის მარცხნა ნაპირი; სოფ. კიშია (გეგმურის რაიონი); სოფ. სალხინო (გეგმურის რაიონი); მდ. წაჩეურის ხეობა; სოფ. ბალდა (გეგმურის რაიონი, მდ. ჩერის დასაწყისში).

ჩვენ მიერ ნაპოვნია მდ. ინჩხიას წყალსატევებში (13. 8. 45 წ., გეგმურის რაიონი) და მდ. ჩხოშიას წყალსატევებში (3. 8. 45 წ., ზუგდიდის რაიონი).

ოჯახი Planorbidae



გვარი Planorbis

Planorbis planorbis L. 1758

აღწერა: ნიუარა მცვრივია, მოყვითალო-რქისებრი ფერისა. ბრუნთა რიცხვი 5—6 უდრის, ბრუნები გვერდითი ზოლებით ხასიათდება. ნიუარის პირი ირიბია, კვერცხისებრი. ბრუნები ზემოთ მეტად ამონინებილია.

განაზომები:	ა) 11 მმ.	ბ) 3 მმ	გ) 3 მმ	დ) 3,5 მმ
	11 "	3 "	3 "	3,5 "
	12 "	3,4 "	3 "	4,5 "
	8,5 "	2 "	2 "	2,5 "

გავრცელება: პროფ. უადინს აღნიშნული აქვს შავი ზღვის აუზი [3]. ჩვენ მიერ ნაპოვნი იყო ეწერის მიღამოებში (28. 8. 45 წ., აბაშის რაიონში; 23. 8. 45 წ., ხობის მიღამოებში).

გვერცხდოდა ჭაობიან, ჭყანტობ აღგილებში. როგორც ცნობილია, ეს ცხოვრელი აღვილად იტანენ აღგილსამყოფლის ამოშრობას.

Pl. complanatus var. *colchicus* Lindholm 1913

აღწერა: ნიუარა პატარაა, ვიწრო ჭიპით, მუქი-ყავისფერი. ბრუნთა რიცხვი 3,5—4 უდრის. საწყისი ორი ბრუნი მოთეთრო წერტილებს შეიცავს. უკანასკნელი ბრუნი ფარავს დანარჩენებს. ნიუარა ინვოლიტურია, ნიუარის პირი ირიბია.

განაზომები:	ა) 1,5 მმ	ბ) 4 მმ	გ) 2 მმ	დ) 1 მმ
	1,5 "	4 "	1 "	1 "
	1,5 "	4 "	1 "	1 "

გავრცელება: საბჭოთა კავშირში თითქმის ყველგან გვერცხდება. უადინს [3] აღნიშნული აქვს ნატანების მიღამოებში. ჩვენ მიერ ნაპოვნი იყო მდ. ინჩხისა წყალსატევებსა (14. 8. 45 წ., გეგეჭირის რაიონი) და მდ. ჩხოუშიას წყალსატევებში (ზუგდიდის რაიონი).

ოჯახი Aculylidae

გვარი Aculylus

Aculylus lacustris L. 1758

აღწერა: ნიუარა მოგრძოა, ფარისებრი, ლია რქისებრ-მოყვითალო ფერისა. წინა მხარე განიერია, ზემოთ თუთიყუშის ნისკარტის მაგვარი გამონაზარდი აქვს, მარცხნივ გადახრილი. ნიუარის პირი კვერცხისებრი ფორმისაა.

განაზომები:	ა) 6 მმ	ბ) 5 მმ	გ) 3 მმ
	8 "	6 "	3 "

გავრცელება: უაღინს აღნიშნული აქვს ამიერკავკასიისათვის შავი ზოვის აუზი.

ჩვენ მიერ ნაპოვნი იყო მდ. ინჩხიას წყალსატევებში (3. 14. 45 წ.) და მდ. ჩხოუშიას წყალსატევებში (3. 8. 45., ზუგდიდის რაიონი). ცხოველები გვხვდებოდა ქვებზე მიმაგრებული, ისე რომ მოშორების დროს ნიჟარაც კი ზიანდებოდა.

კვერცხი Prosobranchia

ოჯახი Viviparidae

გვარი Viviparus

Viviparus viviparus L. 1758

აღწერა: ნიჟარა კონუსურია, სქელი კეთლებით, ჭიპი ოდნავ ამჩნევია, ზოგჯერ მთლიანად შეტყლეფილია. ბრუნთა რიცხვი უდრის 5, ამოზნექილებია, მომზანო-ყავისფერი, სამი ყომრალი ფერის ზოლი გასდევს. ზოგჯერ ნიჟარა ერთფეროვანია. ნიჟარის პირი ირიბია, აქვს ხუფი, რომელიც მარცხნივ არის გადახნექილი. ხუფი მოყვითალო ფერისაა და წრისიბრ-კონცენტრიულ ნაწილებისაგან შედგება. ხუფს ბირთვი აქვს, მაგრამ ცენტრში არა მოთავსებული. როცა ცხოველი მოძრაობს ან საკვებს ღებულობს, ფეხი გაორთ აქვს გამოშვერილი, ამ დროს ხუფიც გარეთ ექცევა. მოსვენების ან გაღიზიანების შემთხვევაში ნიჟარის პირი ხუფით იხურება.

გადინი თავის შრომაში აღნიშნავს, რომ ნიჟარის სიმაღლე აღწევს 40 მმ., სიგანე კი—28 მმ.

განაზომები:	ა)	24	მმ	ბ)	19	მმ	გ)	12	მმ	დ)	11	მმ
		23	"		29	"		13	"		11,5	"
		25	"		19	"		14	"		11	"

გავრცელება: გვხვდება ტბებში, მდინარეებში, კვანტრობიან ადგილებში. უაღინს აღნიშნული აქვს შავი ზღვის აუზი, პალიასტომის ტბა [3].

ჩვენ მიერ ნაპოვნი იყო მდ. ჭითაწყლის წყალსატევებში (3. 8. 45 წ., ზუგდიდის რაიონი), ეწერის მიდამოებში (28. 8. 45 წ.), ხეთის მიდამოებში (23. 8. 45 წ., ხობის რაიონი).

Viviparus contecta var. caucasica Cless

აღწერა: ნიჟარა მომრგვალო-კონუსური ფორმისაა. ბრუნთა რიცხვი უდრის 4, ამოზნექილებია. უკანასკნელი 2—3 უფრო დიდია დანარჩენებზე. მოყავისური ნიჟარას აქვს მუქი მოყვითალო სამი ზოლი. ნიჟარის პირი განიერია. აქვს ხუფი, რომელიც კონცენტრული ნაწილებისაგან შედგება. ცენტრში ბირთვია მოთავსებული.

განაზომები:	ა)	11	მმ	ბ)	11	მმ	გ)	9,5	მმ	დ)	7	მმ
		18	"		12	"		8	"		6,5	"

ჩვენ მიერ აღწერილი ეგზემპლარები განსხვავდებიან პროფ. ქალინიძის მიერ მოყვანილი ცნობებიდან. უძინის მიხედვით ბრუნთა რიცხვი, უკლესი აღწერილი ჩანს, უდრის 4. იმავე ავტორის აზრით, ეს ვარიაცია უნდა ეკუთვნოდეს *Viviparus viviparus*-ს.

გავრცელება: აღნიშნულია ამიერკავკასიისათვის—ბათუმში, სამტრედიაში.

ჩვენ მიერ ნაპოვნი იყო მდ. ჩხოუშიას მიდამოებში (28. 8. 45 წ., ზუგდიდის რაიონი), ეწერის მიდამოებში (28. 8. 45 წ., აბაშის რაიონი).

ოჯახი Melaniidae

88160 Melanopsis

Melanopsis praerosa var. *mingrellica* Bayer 1863

აღწერა: ნიუარა კონუსური ფორმისაა, მომწვანო-ყომრალი ფერისა. ბრუნთა რიცხვი 7 უდრის, საწყისი ხუთი—თანდათან ნაზრდია. ნიუარის პირი ირიბია, ღარიანი, ბაზალურ მხარეზე მარჯვნივაა გადაზნებილი. აქვს ხუფი, რომელიც მთლიანად ფარავს ნიუარის პირს. ხუფის შემადგენელი ნაწილები კონცენტრული არაა.

განაზომები:	ა)	11	მმ.	ბ)	5	მმ	გ)	2,5	დ)	5	მმ
		13	"		6,5	"		3		6	"
		11,5	"		6	"		3,5		7	"

გავრცელება: გვხვდება ამიერკავკასიაში—ფოთი, ზუგდიდი, სენაკი [1]. ჩვენ მიერ ნაპოვნია მდ. ინჩხის წყალსატევებში (13. 8. 45 წ., გეგეჭორის რაიონი), მდ. ხობის წყალსატევებში (23. 8. 45 წ., ხობის რაიონი). ქალინის მიხედვით ამ წარმომადგენლების ბრუნთა რიცხვი 6 აღწევს. ჩვენი მასალის მიხედვით ბრუნთა რიცხვი 7 უდრის. ფერითაც განსხვავდებიან ტიპიური ფორმებისაგან.

Melanopsis praerosa L. 1758

აღწერა: ნიუარა მაღალია, კონუსური, ბაცი ყავისფერი. ბრუნთა რიცხვი 9—10 უდრის, საწყისი ექვსი ბრუნი—თანდათან ნაზრდია, მომდევნო სამი კი—შედარებით სწრაფად; უკანასკნელი — სიღიღით მეტია დანარჩენებთან შედარებით. ნიუარის პირი ნახევარმთვარისებრია, ირიბი, აქვს ღარი ხუფით. უკანასკნელი მთლიანად ფარავს ნიუარის პირს.

განაზომები:	ა)	25	მმ	ბ)	10	მმ	გ)	11,5	მმ	დ)	6	მმ
		14	"		6	"		5,5	"	3	"	
		24	"		9,5	"		12	"	5	"	

პროფ. ქალინის მიერ მელანიდებათა ოჯახში აღწერილი სამი სახეობისაგან ჩვენი მასალა განსხვავდება რიგი ნიშნებით, სახელდობრ: ბრუნთა რიცხვის რაოდენობით, სიღიღით, ფერით.

ალექსანდრე სობრიევსკის თავის კოლექციაში, რომელიც სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოომუზეუმში ინახება,

Melanopsis sp. აღნიშნული აქვს შორაპნის მიდამოების წყალსატევებითაც. სობრიევსკის მასალასთან შედარებითაც ჩვენი ფორმები თავისებულის უძლიერი ამდენადვე, ვფიქრობთ, ის განსხვავებულია დღემდე ცნობილ მელანილერთა ოჯახში შემავალი სახეობებისაგან.

ჩვენ მიერ ნაპოვნი იყო მდ. ხობის წყალსატევებში (23. 8. 45 წ., ხობის რაიონი) და ჭითაწყლის წყალსატევებში (3. 8. 45 წ., ზუგდიდის რაიონი).

ოჯახი Neritidae

88160 Theodoxus

Theodoxus fluviatilis L. 1758

აღწერა: ნიუარა ნახევრად-კვერცხისებურია, მუქი-მომწვანო, მოთეთრო სამყუთხისებრი ფორმის ჩუქურთმებით, ზოგჯერ მუქი-მოწითალო ზოლებით. ახასიათებს ორი გვერდითი ზოლი ისე, თითქოს ნიუარა ორნახევრად იყოფოდეს.

ნიუარის პირი ნახევრამვარისებურია, მისი კიდე მყვრივია, ხუფი მთლიანად ხურავს ნიუარის პირს. განაპირო მხარე მუქი ფერისაა, რომელსაც მოწითალო ფერი დაკრავს. აქვს ქიცვისებური მორჩი.

განაზომები:	ა)	11	მმ	ბ)	7	მმ	გ)	6	მმ
		10,5	"		7	"		6	"
		12,5	"		7	"		7	"

გავრცელება: პროფ. უადინის მიხედვით [3] გვხდება შავი ზღვის აუზი, ამიერკავკასიაში.

ჩვენ მიერ ნაპოვნი იყო მდინარე ჯუმში (3. 8. 45 წ., ზუგდიდის რაიონი), მდ. ცივში (18. 8. 45 წ., ცხაკაის რაიონი), მდ. აბაშიში (14. 8. 45 წ., გეგექ-კორის რაიონი).

Theodoxus fluviatilis var. brauneri Lindholm

აღწერა: ნიუარა ნახევრად-კვერცხისებრი ფორმისაა, მოშავო ფერის ბრუნი აქვს, წვეროზე მოთეთრო წერტილით. ნიუარის პირი წრისებრია, რომელიც ხუფით იხურება. ხუფი ნახევრად-ელიფსურია. ნაპირი სამივე თავისუფალ მხარეზე მოთეთროა, შემდეგ ცერტრისაკენ მოყვება შედარებით უფრო ფართო ნარინჯისფერი ზოლი. ხუფი სხვადასხვა ფერისაა. ხუფს ნიუარაზე მიმაგრების ადგილას აქვს ქიცვისებური მორჩი.

განაზომები:	ა)	9	მმ	ბ)	6	მმ	გ)	5	მმ
		9	"		6	"		5	"
		9	"		6	"		5	"

გავრცელება: პროფ. უადინის აღნიშნული აქვს შავი ზღვის აუზი, ამიერკავკასია.

ჩვენ მიერ ნაპოვნი იყო მდ. ჯუმში (3. 8. 45 წ., ზუგდიდის რაიონი), წყლის $t = 1$ სათზე 25° უდრიდა. ვპოულობდით ქვებზე მიმაგრებულებს. ცხოველებთან ერთად ნაპოვნია მათი კვერცხებიც. ასევე მდ. აბაშიში (13. 8. 45 წ., გეგექ-კორის რაიონი).

ოჯახი Unionidae

88160 Unio

Unio sieversi var. colchicus Drouet

აღწერა: ნიჟარა მკვრივი შეფენილობისაა, წინა მხარე ვიწროა, უკანა შედარებით განიერი, ზურგის მხარეზე აქვს შემალლება, ლიაყავისფერია. კარგად აქვს განვითარებული კარლინალური კბილი.

განაზომები: სიგრძე—55 მმ. სიმაღლე—27 მმ, წინა ნაწილი 16 მმ
49 „ 24,5 „ 14,35 „

გავრცელება: პროფ. უადინის მიხედვით. გვხვდება ამიერკავკასიაში (სამეგრელო). ჩვენ მიერ ნაპოვნი იყო ზუგდიდში (3. 8. 45 წ.), ბოტანიკური ბალის წყალსატევებში (4. 8. 45 წ.), ჯუმში (23. 8. 45 წ.), ხობის წყალში (ხობის რაიონი), მდ. ცივში (18. 8. 45 წ., ცხაკაის რაიონი). უნიოების გვარიდან ლიტერატურის მიხედვით საქართველოში ცნობილია შემდეგი ფორმები:

Unio tumidus Ret (პალიასტომის ტბა)

Unio sieversi Drouet

Unio sieversi var. *raddei* Drouet (სამეგრელო)

Unio mingrelicus (სამეგრელო) (4)

Anodonta piscinalis Nils. var. *ponderosa* c. Pfr.

ამგეარად, 1945 წ. ჩვენი ექსპედიციის დროს სამეგრელოს მიდამოებიდან აღწერილია მტკნარი წყლის ლოკუინების 14 სახეობა. აღნიშნულია გავრცელების აღგილები და ზოგადი ცნობები მათი ბიოლოგიდან.

ლიტერატურა

1. გ. ჭოკოჩაშვილი, მასალები *Limnaea trucatula* Müller-ის გავრცელების შესწავლის სათვის საქართველოში: ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946 წ.
2. Г. В. Кокочашвили, Список Кавказских моллюсков в коллекции Кутаисского государственного педагогического института: аль. წულუკიძის სახელობის ქუთаисис სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, V, 1945.
3. В. И. Жадин, Пресноводные моллюски СССР, ОГИЗ, Ленснабтехиздат., 1933.
4. В. И. Жадин, Unionidae, фауна СССР: Зоологич. институт Академии наук, 1938.

სტალნის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უხერხემლოთა ზოოლოგიის კათედრა

(შემოგიდა რედაქციაში 1952. X. 20)

პ. შიხისთავი

მასალები სამგორის ორნითოფაუნის შესწავლისათვის
შესავალი

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია სამგორის ველის ფრინველების ცის-
ტემატიკური შემადგენლობისა და გეოგრაფიული გავრცელების დაღვენა და
დაზუსტება.

სამგორის ორნითოფაუნა დღემდე შესწავლის საგანი არ ყოფილა, მიუ-
ხედავად იმისა, რომ საქართველოს ფრინველებს იკვლევდნენ რიგი ავტორები
როგორც წარსულში, ისე ამ ბოლო წლებშიც. ამ მკვლევართა შორის საყურადღე-
ბოა სატუნინი [8, 9], რომელმაც შეადგინა „კავკასიის ფრინველთა კატალოგი“,
რადე [7], „კავკასიის ორნითოფაუნის“ ავტორი, ივ. ჩხეიგიშვილი [10] და
სხვა ავტორები [1, 2, 3, 4, 5, 6], მაგრამ არცერთი მათგანი არ ეხება
ჩენ მიერ საკვლევად აღებული რაიონის—სამგორის ველის ფარგლებში გავრ-
ცელებულ ფრინველთა ფაუნას. ამასთან დაკავშირებით ჩენში უფრო მეტ
ინტერესს იწვევდა სამგორის საირიგაციო სისტემის ორნითოფაუნის შესწავლა,
რაც მიზანად დაივისახეთ 1950 წლიდან და გახორციელებდით ორი წლის გან-
მავლობაში. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩენი ნარკვევი სამგორის
ველის ფრინველთა ფაუნის შესწავლის საქმეში პირველ ცდას წარმოადგენს.

სამგორის საირიგაციო სისტემის ტერიტორია, რომელიც დაახლოებით
150 ათასი ჰექტარამდე აღწევს, გადაჭიმულია თბილისის, საგარეჯოს, კაჭარე-
თისა და გარდაბნის რაიონების ფარგლებში.

ბუნებრივია, რომ ასეთი დიდი ფართობის ორნითოფაუნის შესწავლა
ერთი წლის მანძილზე შეუძლებელი იყო, ამიტომაც ჩენი კვლევის პერიოდი
ორი წლით განვითარებულა.

სამგორის ველი, მიზხდავად მისი თითქმის ერთფეროვნებისა, შეიძლება
გავყოთ შემდეგ ძირითად ლანდშაფტურ უბნებად: 1) უროიანი ველი, 2) მუხა-
ჯაგრცხილიანი ბუჩქნარი, 3) ტყე-მუხითა და ჯაგრცხილით, 4) მთების ტყე
მუხის ჭარბობით, 5) მთების ტყე შიფლის ჭარბობით, 6) ტუგაის ტყე, 7) ჯაგ-
ელიანი ველები, 8) აბზინდიანი ნახევარუდაბნო. აღნიშნულთა შორის ჭარ-
ბობს უროიანი ველები, რომელსაც უკავიათ გაზიანის, ლილოს, უდაბნოს,
ნორიოსა და გარდაბნის მიდამოები. ამბარეს ხეობა დაფარულია მუხისა და
ჯაგრცხილიანი ბუჩქნარით; მუხროვანისა და უჯარმის მიდამოებში გვხვდება

მუხნარი და რცხილნარი ტყე. საცხენე-ახალსოფლის მიდამოები შემოსილია მთების ტყის მუხის ჭარბობით. იორის სანაპიროზე ალაგ-ალაგ, გველების ტუგაის ტყე, ხოლო პატარძეულის მიდამოებში—ჯაგეკლიანი ბუჩქნარი; მდივრის მიდამოებში აქა-იქა ლერწმითა და ჩალით დაფარული ჭაობებიც.

საკვლევ რაიონში გვხვდება მაღლობები და მთები; მაგ., მაღლობი უდაბნო (883 მ ზ. დ.), მაღლობი ნატახტარი (913 მ ზ. დ.), ტურნერის სერი (1113 მ ზ. დ.) და სხვ.

იმის გამო, რომ ჩვენ მიერ აღებული საკვლევი უბნის უმეტესი ნაწილი ერთფეროვანი მცენარეულობითაა დაფარული, ცხოველთა შემადგენლობასაც ერთფეროვნების დაღი აზის, თუმცა ტყეებისა და ბუჩქნარების მიდამოში ეს ერთფეროვნება ირლვევა, რაც ორნითოფაუნის ნაირსახეობით ვლინდება. თავისებურია ფრინველთა შემადგენლობა ბალებსა და სხვა სახის კულტურულ ლანდშაფტებში.

მასალა და მეთოდი

საველე მუშაობის დროს ჩვენ მიერ ორი წლის მანძილზე მოპოვებულია 70 სახეობის ფრინველი 212 ეგზემპლარი, რომელთა პრეპარაციასა და რკვევას—ვაწარმოებდით სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხერხემლიანთა ზოლოგიის კათედრაზე. გარკვეულ მასალას უკეთდებოდა ეტიკეტი, მოპოვების თარიღისა და ადგილის აღნიშვნით. გარდა პირადად მოპოვებული ფრინველებისა, სამგორის ველის ფრინველთა სიაში წარმოდგენილია ისეთი ფორმებიც, რომლებიც აღრიცხულია ჩვენ მიერ მათი მიმოფრენის დროს. აქვე უნდა დავვამატოთ, რომ ზოგიერთი სახეობის მიმართ მოცემულია ბიოლოგიური დაკვირვება, ცნობები სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის შესახებ და სხვა.

ქვემოთ მოგვყავს სამგორის ველზე გავრცელებულ ფრინველთა სია.

საქოთხის განებლვა

I რიგი. ჩათმისნაირნი—GALLIFORMES

1. მწყერი—*Coturnix coturnix* L.

ეს ფრინველი სამგორის საირიგაციო სისტემის ფარგლებში ჩვენ მიერ მასობრივად იყო აღნიშნული მარტყოფის მიდამოებში. იგი მოიპოვება აგრეთვე ვაზიანის, სართიჭალისა და გარდაბნის მიდამოებში.

საკვლევ რაიონში მწყერი ყველაზე იდრე ნახული იყო 28 აპრილს, ხოლო ყველაზე გვიან—26 ოქტომბერს. აღნიშნულ ადგილებში ძირითადად სიმინდისა და ბურის ნათესებში გვხვდება.

2. ამიერკავკასიის გნოლი—*Perdix perdix canescens* But.

გნოლი საკვლევ უბანში ჩვენთვის ცნობილია ვაზიანის, აზაბბურისა და მარტყოფის მიდამოებიდან. გვხვდებოდნენ გორაკების ფერდობებზე პატარა-გუნდების სახით (თითოეულ გუნდში 4—9 ეგზემპლარია აღნიშნული).

3. კაკაზი—*Alectoris graeca caucasica* Suschkin

კაკაზი სამგორის ველზე მეტად იშვიათად გვხვდება. ჩვენ მიერ იგი მხოლოდ აზამბურის მახლობლად კლდოვან ადგილებშია აღნიშნული მცირერიცხვანიგუნდის სახით.

II რიგი. მტრედისნაირნი—COLUMBIFORMES

4. გარეული მტრედი—*Columba livia neglecta* Hume

სამგორის ველზე გარეული მტრედი გვხვდება სოფ. სართიჭალასთან, მდ. იორის მარცხენა ნაპირზე არსებულ ჭალაში და სოფ. მარტყოფის მიდამოებში.

5. ეგრობის ქედანი—*Columba oenas oenas* L.

ეს ფრინველი საკვლევ რაიონში, კერძოდ სართიჭალისა და მარტყოფის მიდამოებში, აღნიშნულია ერთეულების სახით.

6. ეგრობის გვრიტი—*Streptopelia turtur turtur* L.

გვრიტი სამგორის ველზე შედარებით ფართოდაა გავრცელებული. მას ხშირად ვხვდებით შარაგზის პირას ტელეგრაფის მავთულზე მჯდომს, აგრეთვე ჭალის პირებსა და კულტურული ლანდშაფტის მიდამოებში. სამგორის ველზე იგი ჩვენ მიერ აღნიშნულია აპრილის შუა რიცხვებიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე.

III რიგი. ლაინასნაირნი—RALLIFORMES

7. ლალლა—*Crex crex* L.

სამგორის ველზე ლალლა გვხვდება მხოლოდ მიმოფრენის დროს. საკვლევ რაიონში ამ ფრინველის მხოლოდ ერთი ეგზემპლარია მიპოვებული მდ. იორის მარცხენა ნაპირზე არსებულ ჭაობში, სექტემბრის დამლევს.

IV რიგი. მეჭავიასნაირნი—CHARADRIIFORMES

8. გელის პრანწია—*Vanellus gregarius* Pall

ამ ფრინველის საქმაოდ მოზრდილი გუნდი ჩვენ მიერ აღნიშნულია სოფ. სართიჭალის მიდამოებში, მიმოფრენის დროს (აპრილი, 1950 წ.).

9. ჩრდილოეთის მცირე წინტალი—*Charadrius dubius curonicus* Gm.

ეს ფრინველი გვხვდება მდ. იორის ნაპირებზე მცირე რაოდენობით.

10. მებორანე—*Tringa hypoleucus* L.

მებორანის რამდენიმე ეგზემპლარი ჩვენ მიერ აღნიშნულია „თბილისის ზღვის“ (ყ. მლაშე ტბების) მიდამოებში.



11. შავულა—*Tringa ochropus* L.

ეს ფრინველი მცირე რაოდენობით ბინადრობს „თბილისის ზღვისა“ (ყ-მლაშეტბების) და მუხრანგანის ტბების მიდამოებში. შავულას რამდენიმე ეგზე-მპლარი ჩვენ მიერ მოპოვებულია მუხრანგანის ტბაზე.

12. ტყის ქათაში—*Scolopax rusticola* L.

ტყის ქათაში, ანუ ვალდშენები სამგორის ველზე გვხვდება მხოლოდ ში-მოფრენის პერიოდში—გაზაფხულსა და შემოდგომაზე. უფრო მეტად იგი აღ-ნიშნება მდ. იორის სანაპირო ჭალებში.

V რიგი. თევზიულაპიასნაირი—LARIFORMES

13. მდინარის თევზიულაპია—*Sterna hirundo hirundo* L.

ეს ფრინველი სამგორის ველზე აღნიშნულია მხოლოდ მიმოფრენის პერიოდში. ჩვენ მიერ იგი მოპოვებულია მდ. იორის სანაპიროზე 1950 წლის 23 ოქტომბერს.

VI რიგი. ბატისნაირი—ANSERIFORMES

14. ინკინჯა—*Anas querquedula* L.

ინკინჯა საკვლევ რაიონში გვხვდება მუხრანგანისა და „თბილისის ზღვის“ (ყ. მლაშე ტბების) მიდამოებში. აღნიშნება მხოლოდ ზამთრობით.

15. გარეული ინგი—*Anas platyrhynchos* L.

გარეული ინგი გვხვდება სამგორის ველზე, როგორც გზად გამავალი-ფრინველი. ჩვენ მიერ ამ ფრინველის საკმაოდ მოზრდილი გუნდი აღნიშნუ-ლია „თბილისის ზღვის“ (ყ. მლაშე ტბების) მიდამოებში 1951 წლის 2 აპრილს.

VII რიგი. ყარჩატისნაირი—CICONIIFORMES

16. რუხი ყანჩა—*Ardea cinerea cinerea* L.

რუხი ყანჩა სამგორის ველზე უმნიშვნელო რაოდენობით მოპოვება. ამ ფრინველის მხოლოდ ერთი ეგზემპლარია ჩვენ მიერ მოპოვებული მდ. იო-რის სანაპირო ჭალაში.

17. ღამის ყანჩა—*Nycticorax nycticorax* L.

ღამის ყანჩა სამგორის ველზე გვხვდება მხოლოდ მიმოფრენის დროს. საკვლევ რაიონში ჩვენ მიერ აღნიშნული და მოპოვებულია ამ ფრინველის მხოლოდ ერთი ეგზემპლარი.



VIII հ080. ՇԱՑԱՀԸՆՈՒՆԵԱԿԻՆՈ—FALCONIFORMES

18. ալալո—*Falco subbuteo subbuteo* L.

յև ցրնինց լո սամցորու զելի ցածրաց օքա սակմառ եթորա դա մրացալ ալացա ս. հցեն մոյր ալալու ցաշրպելու օլնունու մշերու անտան, աչամթյուր- տան, սարտու պալաստան դա մարդպու տան.

19. հցելու բրոց գորկու—*Falco tinnunculus tinnunculus* L.

կորկու տա սամցորու զելի ցարտու ցաշրպելու օլնունու մշերու անտան, աչամթյուր- տան, սարտու պալաստան դա մարդպու տան.

20. ցացյա սու յորո—*Accipiter gentilis caucasicus* Klein.

յացյա սու յորո սամցորու զելի ցածրաց օքա մուրու հառա նունու օլնու ծոնա մուրու հցեն մոյր ալնունու աչամթյուրու դա մարդպու մուդա մոյր օլնու.

21. թօթոն—*Accipiter nisus nisus* L.

միմոն սամցորու ցարտու ցաշրպելու օլնունու մշերու անտան, սարտու պալու նունու մուդա մոյր օլնու.

22. թգելու ծոլու պեցա—*Circus pygargus* L.

յև ցրնինց լո սամցորու զելի ցածրաց օքա մունու ու օլնունու մուդա մոյր օլնու. ալնունու սարտու պալու սա աչամթյուրու մուդա մոյր օլնու.

23. զելու ծոլու պեցա—*Circus cyaneus cyaneus* L.

զելու ծոլու պեցա սամցորու զելի սակմառ ցարտու ցաշրպելու օլնու դա մրացալ ցանա ց ցածրաց օքա մուրու մուդա մոյր օլնու. աչամթյուրու մածլու օլնու.

24. ալմու ցալու զելու արթոց—*Aquila rapax nipalensis* Hudson

ալմու ցալու զելու արթոց սամցորու զելի սակմառ ցարտու ցաշրպելու օլնու դա մրացալ ցանա ց ցածրաց օքա մուրու մուդա մոյր օլնու. աչամթյուրու մածլու օլնու.

25. ցացյա սու ցայահա—*Buteo buteo menetriesi* Bogd.

յացյա սու ցայահա սամցորու զելի ցածրաց օքա մուրու հառա նունու օլնունու մշերու անտան, ամ ցրնինց լո սա աչամթյուրու մուդա մոյր օլնու.

XI հ080. ՑՍՆԵԱԿԻՆՈ—STRIGIFORMES

26. հցելու բրոց կառածու ծոյ—*Asio flammeus flammeus* Pontopp.

կառածու ծոյ սակմառ հառա նունու սակմառ մրացալ ցարտու ցաշրպելու օլնու, աջ օլնու ծոյ ծոյ մուրու մուդա մոյր օլնու.

**27. კაგუახის ფეხბანჯგვლიანი ბუ—*Aegolius funereus caucasicus* ბუსტა
გილორისტი**

ფეხბანჯგვლიანი ბუ სამგორის ველზე გვხვდება იშვიათად. ჩვენ მიერ მოპოვებულია ამ ფრინველის მხოლოდ ერთი ეგზემპლარი სოფ. სართიჭალას-თან მდ. იორის მარცხენა ნაპირზე მდებარე ჭალაში.

X რიგი. გუგულისეაირი—GUCULIFORMES

28. ჩერულებრივი გუგული—*Cuculus canorus canorus* L.

გუგული სამგორის საირიგაციო სისტემის ფარგლებში ფართოდაა გავრცელებული. იგი მრავლად გვხვდება სართიჭალისა და მარტყოფის მიდა-ბოებში, ხოლო მცირე რაოდენობით—მუხროვანთან.

XI რიგი. გრძელფრთიანები—MACROCHIRES s. MICROPODIFORMES

29. გეროპის შავი ნამგალა—*Cipselius apus apus* L.

შავ ნამგალას საქმაოდ დიდი კოლონია აღნიშნულია ჩვენ მიერ სოფ. სართიჭალაში სახლის სახურავზე.

XII რიგი. ყაყაპისეაირი—CORACIFORMES

30. კვირიონი—*Merops apiaster* L.

კვირიონი სამგორის ველზე ფართოდაა გავრცელებული; აქ მისი მრავალ-იკეთვანი გუნდები გვხვდება აპრილის შუა რიცხვებიდან სექტემბრის ბო-ლომდე. ჩვენ მიერ ეს ფრინველი მოპოვებულია სოფ. სართიჭალასთან.

31 ჩერულებრივი ალკუნი—*Alcedo atthis* atthis L.

ალკუნი საკვლევ რაიონში მოიპოვება მცირე რაოდენობით და განსაზ-ლვრულ ადგილებში. ჩვენ მიერ მოპოვებულია მხოლოდ სართიჭალის მახლობ-ლად, ჭალაში.

32. ჩერულებრივი ყაპყაპი—*Coracias garrulus garrulus* L.

ყაპყაპი სამგორის ველზე ფართოდაა გავრცელებული. მოფრინავს მაი-სის პირველ რიცხვებში, ხოლო ოქტომბრის დასაწყისში ამ ფრინველთა ძირი-თადი მასა უკვე გადატრენილია, ოქტომბრის ბოლომდე რჩებიან ერთეული ეგზემპლარები. ძირითადი ბიოტოპია—ტყის პირი და ბალები.

XIII რიგი. ოფოჭისეაირი—UPUPIFORMES

33. ოფოჭი—*Upupa epops epops* L.

ოფოჭი სამგორის ველზე მრავალ ადგილას გვხვდება; მოფრინავს მარტის პირველ რიცხვებში, ხოლო მიფრინავს ოქტომბრის დამლევამდე. ოფოჭი ჩვენ მიერ აღნიშნულია მუხროვანთან, საცხენისთან, ნარტყოფთან.

XIV հ080. Ճռდալաւեաւենո—PICIFORMES



ՄԱՐՈՅԱՀԱ
ՑՈՒՑԱԿԱՐԱԳՈՒՅՆ
34. კაզკაսიօն საშუალო კოდალა—*Dendrocopos medius caucasicus* Bianci

კავკასიօნ საშუალო კოდალას յრտი ეგზემპლარი ჩვენ მიერ მოპოვებულია სართიჭალის მახლობლաდ იორის პირას, ჭალაში.

XV հ080. ՑԷԼՇԻՒԱՎԵԱՎԻՆՈ—PASSERIFORMES

35. ყორանი—*Corvus corax corax* L.

ყორանი სამგორის საირიგაციო სისტემის ტეրიტორიაზე მცირე რაოდ լցნობით მოიპოვება. ჩვენ მიერ იგი աղրიცხულია მხოლოდ სოფ. მარტყოფის მიდამოებში.

36. ყვაցი—*Corvus corone sharpii* Oates

ყვაցი სამგორის ველზე გვხვდება მცირე რაოდ ენობით და განსაზღვრულ ადგილებში. ჩვენ მიერ იგი მოპოვებულია მუხროვანის მახლობლად. გვხვდება აგრეთვე სოფ. მარტყოფის მიდამოებშიც.

37. კაჭკაჭი—*Pica pica fenorum* Lönd

კაჭკაჭი სამგორის ველზე გვხვდება მცირე რაოდ ენობით და განსაზღვრულ ადგილებში. ჩვენ მიერ იგი მოპოვებულია მუხროვანის მახლობლად. გვხვდება აგრეთვე სოფ. მარტყოფის მიდამოებშიც.

38. კაզკაսიօն ჩხიკვი—*Garrulus glandarius krynicki* Kalen.

კაզკასიօნ ჩხიკვი გვხვდება ძირითადად ტყიან ადგილებში—მუხროვანის, უჯარმისა და მარტყოფის მიდამოებში.

39. კაզკასიօნ შოშია—*Sturnus vulgaris caucasicus* Lorenz

შოშია, რომელსაც ხშირიდ შროშანს უწოდებენ, მასობრივად გვხვდება გაზაფხულის დასაწყისსა და შემოუგომის დამლევს, ხოლო ერთეულების სახით აღნიშნულია ზამთარსა და ზაფხულში. ჩვენ მიერ ეს ფრინველი მოპოვებულია სოფ. სართიჭალისა და სოფ. მარტყოფის მიდამოებში.

40. ჩეշულებრივი შოშია—*Sturnus vulgaris vulgaris* L.

გვხვდება ზამთრობით კავკასიօნ შოშიასთან ერთად.

41. კაզკასიօნ მოლალური—*Oriolus oriolus caucasicus* Zar.

საკვლევ რაიონში მოლალური გვხვდება მოზაფხულე ფრინველის სახით. მოიპოვება საკმარისი რაოდ ენობით, ძირითადად ტყის პირას და ბალებში. მოლალური ჩვენ მიერ აღნიშნულია სართიჭალასთან, მარტყოფთან და ვაზიანთან.



42. კავკასიის ჩიტბატონა—*Carduelis carduelis brevirostris* Zarudny

ჩიტბატონა სამგორის ველზე გვხვდება მობინადრე ფრინველის სახით. ჩვენ მიერ სოფ. სართიჭალის მახლობლად ოლიშნულია ამ ფრინველის მრავალრიცხოვანი გუნდები; გარდა ამისა, ეს ფრინველი მოპოვებულია პატარ-ძეულთან, მუხროვანთან და საცხენისთან.

43. კავკასიის მთის ჭვინტა—*Acanthis flavirostris brevirostris* Moore

ალიშნულ რაიონში ჭვინტა გვხვდება მხოლოდ ზამთრობით. ჩვენ მიერ მოპოვებულია ამ ფრინველის ორი ეგზემპლარი სოფ. მუხროვანის მახლობლად.

44. კავკასიის სკვინჩა—*Fringilla coelebs solomkoi* Menz et Suschkin

სამგორის ველზე მთის სკვინჩა გვხვდება ძირითადად ტყითა და ბუჩქნა-რით დაფარულ აღგილებში; ჩვენ მიერ ეს ფრინველი მოპოვებულია მარტყოფ-თან, საცხენისთან, უჯარშასთან და მუხროვანთან.

45. მინდვრის ბელურა—*Passer montanus transcaucasicus* But.

მინდვრის ბელურა სამგორის საირიგაციო სისტემის ფარგლებში გვხვდება. იშვიათად. იგი ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ სოფ. სართიჭალის მიდამოებიდან.

46. სახლის ბელურა—*Passer domesticus caucasicus* Bogd.

სამგორის ველის ფარგლებში სახლის ბელურა გვხვდება თითქმის ყველ-გან და საქმაოდ მრავალრიცხოვანი გუნდების სახით; განსაკუთრებით ეტანება ადამიანის საცხოვრებელს, სადაც ბუდეს სახლის სახურავები ან კედლებში იკეთებს.

47. ესპანეთის ბელურა—*Passer hispaniolensis transcaspius* Tschusi

ესპანეთის ანუ შავმერდა ბელურა სამგორის ველის ფარგლებში გვხ-დება იშვიათად. ჩვენ მიერ 1950 წლის ივნისში, ბუდობის დროს, აღნიშნულია ამ ფრინველის საქმაოდ მოზრდილი გუნდი სოფ. სართიჭალასთან.

48. ჩვეულებრივი მეფეთვია—*Emberiza calandra calandra* L.

ჩვეულებრივი მეფეთვია სამგორის ველის ფარგლებში გვხვდება ძირი-თადად ტყის პირას და ბუჩქნარით დაფარულ აღგილებში. იგი ჩვენ მიერ მოპოვებულია სოფ. მუხროვანსა და სართიჭალასთან.

49. ეგრობის ველის ტოროლა—*Melanocorypha calandra calandra* L.

აღნიშნულ რაიონში ეგრობის ველის ტოროლა გვხვდება დიდი რაოდე-ნობით. ბინადრობს ძირითადად უროიან ველებზე. ჩვენ მიერ მოპოვებულია სოფ. სართიჭალის მახლობლად.

50. აზის მცირე ტოროლა—*Calandrella cinerea engipennis* Eversmann

სამგორის საირიგაციო სისტემის ფარგლებში აზის მცირე ტოროლა მოიპოვება მხოლოდ კულტურული ლანდშაფტების ზონაში. ეს ფრინველი ჩვენ მიერ აღრიცხულია სოფ. სართიჭალასა და პატარძეულთან.

51. კავკასიის ქოჩორა ტოროლა—*Galerida cristata caucasica* Taczan.

კავკასიის ქოჩორა ტოროლა სამგორის ველზე საკმაოდ ფართოდა გავრცელებული. იგი ჩვენ მიერ მოპოვებულია ლოჭინის ხეობაში, სამგორთან, სართიჭალასთან, აზამბურთან და მუხროვანთან.

52. თეთრი წყალწყალა—*Motacilla alba alba* L.

თეთრი წყალწყალა სამგორის ველის ფარგლებში გვხვდება მხოლოდ წყალსატევების მიდამოებში. ჩვენ მიერ მოპოვებულია მდ. იორის მიდამოებში.

53. შავთავა წყალწყალა—*Motacilla flava feldegg* Michahelles

სამგორის საირიგაციო სისტემის ფარგლებში შავთავა წყალწყალა გვხვდება მცირე რაოდენობით. ჩვენ მიერ მოპოვებულია ამ ფრინველის ორი ეგზემპლარი სოფ. მუხროვანთან.

54. ჩრდილოეთის ყვითელი წყალწყალა—*Motacilla flava trimbergi* Billd.

ჩრდილოეთის ყვითელი წყალწყალა სამგორის ველზე აღნიშნულია მხოლოდ მიმოფრენის პერიოდში (აპრილში). ამ ფრინველის ერთადერთი ეგზემპლარი მოპოვებულია სოფ. სართიჭალასთან.

55. მდელოს მწყერჩიტა—*Anthus pratensis* L.

სამგორის ველზე მდელოს მწყერჩიტა გვხვდება სეზონურად—მარტიდან ნოემბრამდე. მოპოვებულია აზამბურისა და მარტყოფის მიდამოებში.

56. კავკასიის ჩვეულებრივი ცოცია—*Sitta europea caucasica* Reich.

ცოცია აღნიშნულ რაიონში გვხვდება იშვიათად. ჩვენ მიერ საკვლევებიანში აღნიშნულია მხოლოდ ორი ეგზემპლარი, სოფ. სართიჭალასთან, მდიორის მარცხენა ნაპირზე არსებულ ჭალაში.

57. დიდი წიგწივა—*Parus major major* L.

სამგორის ველზე დიდი წიგწივა საკმაოდ მრავლად მოიპოვება. ბინადრობს ტყეში. ჩვენ მიერ მოპოვებულია მუხროვანისა და სართიჭალის მიდამოებში.



58. კაგებასიის წიწკანა—*Parus coeruleus satunini* Zar. ცარიცხული უმაღლესობის

სამგორის ველზე კავკასიის წიწკანა ფართოდაა გავრცელებული; გვხვდება როგორც ტყეში, ისე ბუჩქნარიან ადგილებში. მოპოვებულია სოფ. სართიჭალის მიღამოებში.

59. შავთავა ლაჟო—*Lanius minor* L.

სამგორის ველისათვის შავთავა ლაჟო მობუდარია. ჩვენ მიერ მოპოვებულია ვაზიანის მიღამოებში.

60. კაგებასიის ლაჟო—*Lanius cristatus kobilyni* But

კაგებასიის ლაჟო სამგორის ველზე მოპოვება დიდი რაოდენობით. გვხვდება ძირითადად ტყის პირას, ბუჩქნარებსა და ბალებში. მოპოვებულია სართიჭალასთან და მუხროვანთან.

61. ევროპის შაშვისებური ლერწამა—*Acrocephalus arundinaceus arundinaceus* L.

ეს ფრინველი სამგორის ველზე მცირე რაოდენობითაა გავრცელებული. ჩვენ მიერ მოპოვებულია მხოლოდ ერთი ეგზემპლარი მდ. იორის ნაპირას, ჭალაში, სოფ. სართიჭალის მახლობლად.

62. კაგებასიის შავთავა ასპუჭაკა—*Sylvia atricapilla dammholzi* Stres.

აღნიშნულ რაიონში შავთავა ასპუჭაკა გავრცელებულია საქმაოდ ფართოდ. გვხვდება ძირითადად ბუჩქნარსა და ბალებში. მოპოვებულია სოფ. მუხროვანთან.

63. რუხი ასპუჭაკა—*Sylvia communis communis* Lath.

რუხი ასპუჭაკა ბინადრობს ტყესა და ბუჩქნარით დაფარულ ადგილებში, გავრცელებულია საქმაოდ ფართოდ. მოპოვებულია სოფ. სართიჭალის მახლობლად.

64. წრიპა—*Turdus ericetorum philomelos* Brehm

სამგორის საირიგაციო სისტემის ფარგლებში წრიპა ანუ მგალობელი შაშვი გვხვდება მხოლოდ ტყიან ადგილებში. მოპოვებულია სოფ. უჯარმასთან.

65. შაშვი—*Turdus merula aterrimus* Mad.

სამგორის ველზე შაშვი მობინიდრე ფრინველის სახით საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული. ბუდობს ტყესა და ბუჩქნარით დაფარულ ადგილებში. იშვიათად ბინადრობს ბალებშიც. ჩვენ მიერ მოპოვებულია სოფ. სართიჭალასთან, მუხროვანთან და უჯარმასთან.



66. თეთრმკერდა მელორლია—*Oenanthe isabellina* Temm.

სამგორის ველზე ეს ფრინველი გვხვდება ლორლიან ფერდობულში.

67. შავთავა ოქსალი—*Saxicola torquata variegata* Gm.

სამგორის საირიგაციო სისტემის ფარგლებში შავთავა ოქსალი გვხვდება მხოლოდ ტყიან ადგილებში. მოპოვებულია უჯარმის ციხის მახლობლად.

68. სოფლის მერცხალი—*Hirundo rustica rustica* L.

სოფლის მერცხალი საკვლევ უბანში ფართოდა გავრცელებული. ბუღალტე აივნებსა და კედლებში.

69. ქალაჭის მერცხალი—*Delichon urbica meridionalis* Kart.

ამ ფრინველების საკმაოდ მოზრდილი კოლონია ჩვენ მიერ აღნიშნულია სოფ. სართიშვილის მახლობლად, ხილის ქვეშ.

ლასქნა

ვაჯამებთ რა ზემოთქმულს, ავლინიშნავთ, რომ სამგორის საირიგაციო სისტემის ფარგლებში ჩვენ მიერ რეგისტრირებულია 70 სახეობის ფრინველი, რომლებიც ერთიანდება 15 რიგში. ცალკეული რიგების მიხედვით აღნიშნული ფრინველები შემდეგნაირადაა განაწილებული:

- I. ქათმისნაირნი წარმოდგენილია 3 სახეობით;
- II. მტრედისნაირნი — 3 სახეობით;
- III. ლაინისნაირნი — 1 სახეობით;
- IV. მეჭვავისნაირნი — 5 სახეობით;
- V. თევზიყლაბიასნაირნი — 1 სახეობით;
- VI. ბატისნაირნი — 2 სახეობით;
- VII. ყარყალისნაირნი — 2 სახეობით;
- VIII. შავარდნისნაირნი — 8 სახეობით;
- IX. ბუსნაირნი — 2 სახეობით;
- X. გუგულისნაირნი — 1 სახეობით;
- XI. გრძელფრთიანები — 1 სახეობით;
- XII. ყაბყაბისნაირნი — 3 სახეობით;
- XIII. ოფოფისნაირნი — 1 სახეობით;
- XIV. კოდალასნაირნი — 1 სახეობით;
- XV. ბელურასნაირნი — 36 სახეობით;

როგორც ზემომოყვანილიდან ჩანს, სამგორის ველის ფრინველთა ძირითად ბირთვს შეადგენენ ბელურასნაირნი, რომლებიც, ამასთან ერთად, სახეობის ფარგლებში ინდივიდთა სიმრავლითაც ხასიათდებიან.

სახეობათა უმრავლესობა ტყის ფორმებია, თუმცა სამგორის ველზე ამგვარი ბიოტოპი ფართობის მხრივ უმნიშვნელოა.

ველის ფორმათა რაოდენობა მცირეა. ამ უკანასკნელებს მხოლოდ ტოროლები, მელორლიები და სხვები შეაღენენ.

სამგორის ველზე მობუდარ ფრინველთაგან 31 სახეობა მობინადრეა, 28 სახეობა გვხვდება მხოლოდ სეზონურად, ხოლო 11 სახეობა მიმოფრენის პერიოდშია აღნიშნული.

სამგორის ველზე ჩერ მიერ აღნიშნულ ფრინველთა შორის უმრავლესობა სასარგებლოა; ისინი დიდი რაოდენობით ანადგურებენ სოფლის მეურნეობის მავნებლებს (მაგნე მწერებს, მღრღნელებს და სხვ.).

ლიტერატურა

1. В. Б. Баньковский, К орнитофауне Закавказья: Изв. Кавк. музея, VI, 1913.
2. М. Богданов, Птицы Кавказа: Труды Общ. ест. при Казан. унив., VIII, 1879.
3. С. А. Бутурлин, Птицы Закавказья по сборам А. М. Кобылина: Псовая и ружейная охота, 1906.
4. А. М. Кобылин, Интересные орнитологические находки на Кавказе: Изв. Кавк. музея, III, вып. 1, 1907.
5. И. Г. Михайловский, Орнитологические наблюдения в Закавказье летом, 1878 г. Труды СПБ об-ва естествоиспытателей, т. XI, вып. 1, 1880.
6. П. В. Нестеров, Заметки о Закавказских птицах: Орнитологический вестник, 1911, 1912, 1913, 1914.
7. Г. Радде, Орнитологическая фауна Кавказа, Тифлис, 1885.
8. К. А. Сатуин, Систематический каталог птиц Кавказского края: ЭКОРГО, 1911—1912.
9. К. А. Сатуин, Материалы к познанию птиц Кавказского края: ЭКОРГО, 1907 г.
10. ივ. ჩხილი, საქართველოს ფრინველები: საქართველოს მუნიციპალიტეტი, 1951.
11. Г. П. Дементьев, Н. А. Гладков, Е. С. Птушенко, А. М. Судиловская, Определитель птиц СССР, Москва, 1918.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრა

(შემოვიდა ოედაქციაში 1953. I. 9)

დ. კუჭუბიძე და ე. პაშარიძე

ყოფილი ქაქის ჩაის ორგანიზაციი და მათი სასიცოცხლო პირობები

მასავალი

სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა ომის შემდგომი სტალინური ხუთწლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. იგი ხალხთა დიდი ბელადის ი. სტალინის ინიციატივით იყო შეტანილი მეოთხე ხუთწლიან გეგმაში.

ბუნების გარდაქმნის ამ გრანდიოზულმა სტალინურმა გეგმამ ჩვენს წინაშე დააყენა სამგორის სარწყავ სისტემაში შემავალი ტერიტორიების ფლორისა და ფაუნის შესწავლის პრობლემა, მათ შორის წყალსატევთა პიღრობითლოგიური გამოკვლევა.

კუჭის ტბა სამგორის სარწყავი სისტემის ტერიტორიაზე მდებარეობდა. იგი სარწყავი არხის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მთლიანად მოისპონ. ამ ტბასთან ერთად მოისპონ ილლუნიანის და ავლაბრის მარილიანი წყალსატევებიც, ისინი „თბილისის ზღვით“ დაითარენ.

კუჭის ტბა ზემარილიან წყალსატევს წარმოადგენდა: მისთვის დამახასიათებელი. იყო სპეციულური მცენარეული და ცხოველური ორგანიზმები;

მისი მოსპობის შემდეგ აქ წარმოშობილ „თბილისის ზღვაში“ განსხვავებული ფლორა და ფაუნა ყალიბდება, რადგან იგი მტკნარწყლიანი წყალსატევია, რომელსაც ძირითადად მდინარე იორის წყალი ჰქვებავს.

„თბილისის ზღვაში“ მოაშენებენ სარეწაო თევზებს, მოეწყობა მასზე ნაოსნობა და წყლის სპორტის სადგურები, მის გარშემო გაშენდება ბალპარკები და ხეივები; აქამდე უწყლობით გადამწვარი მიღამოები თბილისელებისათვის დასასვენებელ ადგილად გადაიქცევა.

„თბილისის ზღვა“ ყოველწლიურად 20—25 მილიონ კუბ. მეტრ წყალს აორთქლებს, რაც თბილისის პავას შესამჩნევად გაარბილებს.

„თბილისის ზღვის“ ბიოცენოზის ფორმირების გაგება შედარებით ადვილი საქმე იქნება, თუ ჩვენ გვეცოდინება მდინარე იორის და ზემო სამგორის წყალსატევების ორგანიზმთა სისტემატიკური შედგენილობა და სიცოცხლის პირობები. ამიტომ კუჭის ტბის ორგანიზმების და მათი სასიცოცხლო პირობების ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მღაშე წყალსატევების სიცოცხლის პირობები იცვლება არა მარტო წლების, თვეებისა და კვარეების განმავლობაში, არამედ დღე-ლამის ფრთხელებისაშიც კი. ამიტომ არის, რომ მღაშე წყალსატევებში არსებობა და განვითარება შეუძლია მხოლოდ სახეობების ძლიერ მცირე ჯგუფს, რომელიც სპეციფიკური შეგუებითი თავისებურებით ხასიათდება.

ის ფორმები, რომლებიც სიცოცხლის ასეთ პირობებს ეგუებიან, ინდივიდუების დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეობათა სიმრავლე ხდება ერთ-ერთი არახელსაყრელი ფაქტორი, რომელიც კიდევ უფრო ძალის წყალსატევებში სახეობათა შორის ბრძოლას.

მარილიანი წყალსატევების მოსახლეობა მკვლევარებში თავიდანვე დიდ ინტერესს იწვევდა. ამიტომ იყო, რომ მას მთელი რიგი ავტორები იკვლევდნენ. მაგალითად, ტუტკოვსკისა [20] და ერმაკოვის [10] მიერ შესწავლილია ელტონისა და ბასკუნჩავის ტბები; დაგევას [8] ეკუთვნის სევასტოპოლის მიდამოებში მრგვალი ყურის მღაშე ტბების, ხოლო შმანკვის [21] ოდესის მიდამოების მომლაში წყალსატევების ჰიდრობიოლოგიური გამოკვლევა; ასევე ბორუცი [4] აწარმოებდა მთელი რიგი მარილიანი წყალსატევების ჰიდრობიოლოგიურ გამოკვლევას.

თბილისის ოქტში ავლაბრის ტბა შეისწავლა ლ. კუტუმბიძემ [1], ილლუნიანისა—ო. ბურჭულაძემ, კუმისისა—ო. კაგაურიძემ, ხოლო მუხროვანისა—ე. დიდმანიძემ.

საველა და ლაპორაზორიული მუშაობის გეოთონიკა

1950 წლის მაისიდან 1951 წლის მაისამდე, ყოველთვიურად, ჩვენ ვაწარმოებდით კუჭის ტბის ორგანიზმების შეგროვებას და ჰიდრობიოლოგიურ დაკვირვებებს. ორგანიზმთა შეგროვება ხდებოდა 18 სმ დიამეტრის პლანქტონის ბალით. აღებული მასალის ფიქსაციას იმ დღესვე ვახლენდით $4-5\%$ —იანი ფორმალინის სხნარით. მაგრამ ფიქსაციამდე ადგილზე და შემდეგ ლაბორატორიაში ვახლენდით მასალის გაღათვალიერებას და ცოცხალი ფორმების აღრიცხვას¹.

კუჭის ტბის წყლისა და მისი მიღამოების ჰაერის ტემპერატურის შესწავლის მიზნით ყოველთვიურად წარმოებდა როგორც ტბის წყლის, ისე ჰაერის ტემპერატურის აღრიცხვა. წყლისა და ჰაერის ჩვეულებრივი თერმომეტრების საშუალებით. ჰარალელურად ვაწარმოებდით წყლის მარილთა კონცენტრაციის განსაზღვრას. ამისათვის გილებდით წყლის გარკვეულ მოცულობას, კვილტრაციით მას იმ მიზნით, რომ თავიდან აგვეცილებინა ასაორთქლებელ მასალაში ორგანიზმების ან მკვრივი სხეულაკების შეყოლა. გაფილტრის შემდეგ ვიღებდით ვარკვეული მოცულობის სხნარს მენზურით და გადაგვერნდა

¹ მთელ რიგ შემთხვევაში მასალაში გვხვდებოდა მკდარი ცხველები, რომლებსაც სრულად შენარჩუნებული ჰქონდათ მთლიანობა თვით მარილიანი წყლის შემოქმედებით.

იგი ქიმიურ ტიგელში ასაორთქლებლად. ორთქლების შემდეგ მშრალი ნაზ-თის აწონვა მიმდინარეობდა ანალიზურ სასწორზე. სათანადო გამოანიჭონ მიმდევა გსაზღვრავდით მარილების კონცენტრაციას 1 ლიტრი წყლის მიმართ ყოველთვიურად.

პლანქტონის სისტემატიკური შედგენილობის გამორკვევას ვაწარმოებდით ბინკულარისა და მიკროსკოპის ქვეშ სათანადო სარკვევების გამოყენებით, ხოლო რაოდენობრივ აღრიცხვას ვაწარმოვებდით ბოგოროვის [3] კამერაში.

ცყლის გენერაციის შეაჩერება ეჯეიის განაში ცლის მანძილზე

კარგად ცნობილია, რომ ტემპერატურა გარემოს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. გარემოს ტემპერატურის დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმთა განვითარების, გამრავლების, ნივთიერებათა ცვლისა და სხვა სასიცოცხლო პროცესების ნორმალურად წარმართვისათვის.

ძლიერ მაღალი ან დაბალი ტემპერატურა ცოცხალ ორგანიზმებზე მომაკვდინებლად მოქმედებს.

ტემპერატურა ხშირ შემთხვევაში წყალსატევების ორგანიზმთა სიცოცხლე-ზე არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს, განსაკუთდებით ეს ითქმის მარილიანი წყალსატევების მოსახლეობაზე. მაგალითად, მაღალი ტემპერატურა ზაფხულობით წყლის ინტენსიური აორთქლების წყალობით იმდენად ცვლის მარილების კონცენტრაციას, რომ წყალსატევში წყდება ორგანიზმების სიცოცხლე.

კუკიის ტბის წყლის ტემპერატურის ცვალებადობას ჩვენი დაკვირვების პერიოდში და ამავე დროს მისი მიღამოების პაერის ტემპერატურას გამოხატავს შემდეგი (№ 1) ცხრილი.

ცხრილი 1

ტემპერატურის ცვლილებანი ჰაერში და წყალში

თვეები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშუალო წლიური
გარემო													
წყლის	7,0	10,0	15,1	—	24,0	29,0	34,0	—	—	18,0	17,0	9,0	18,1
ჰაერის	6,0	11,0	14,0	18,0	20,0	27,0	33,0	35,5	30,0	20,5	18,0	11,0	20,3

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჰაერის ტემპერატურა წლის განმავლობაში 6°C -დან $35,5^{\circ}\text{C}$ -დე მერყეობდა. ყველაზე დაბალი ტემპერატურა ჩვენ მიერ შემჩნეული იყო იანვარში (6°C), ხოლო ყველაზე მაღალი — აგვისტოში ($35,5^{\circ}\text{C}$).

წყლის ტემპერატურა იმავე პერიოდში იცვლებოდა 7°C -დან 34°C -მდე და დიდად არ განსხვავდებოდა ჰაერის ტემპერატურის რყევისაგან. წყლის ტემპერატურის მინიმუმი ჩვენ მიერ იმავე იანვარში იყო შემჩნეული (7°C), ხოლო მაქსიმუმი იცლისტი (34°C).

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენდა $20,3^{\circ}\text{C}$, ხოლო წყლის $18,1^{\circ}\text{C}$.

კუკიის ტბის ცხოველებისათვის წყლის ოპტიმალურ ტემპერატურას 24°C შეადგენდა, რაღაც ტემპერატურის ამ პირობებში (V), სხვა ხელსაყრელ პირობებთან ერთად, ორგანიზმები ტბაში ყველაზე მასობრიოვად იყვნენ წარმოდგენილი (იხ. ცხრილი № 2).

კუკის ჭბის ოჩებიზეთა სახეობისი შეაღენილობა და მათი რაოდენობისი და თვისწოდისი ცვალებაზე ცენტრის მიხედვით

კუკიის ტბიდან ერთი წლის განმავლობაში შეკრებილი სინჯების სისტემატიკური დამუშავების შემდეგ გამოირკვა, რომ მასში სეზონის ამა თუ იმ პერიოდში მოსახლეობდა ორგანიზმთა 9 სხვადასხვა სახეობა. შოლტოსნებიდან (Mastigophora): 1) *Asteromonas gracilis* Art, 2) *Dunaliella salina* Teod; ინფუზორიებიდან (Infusoria): 1) *Fabrea salina* Henn; ციბრუტელა ჭიებიდან (Rotatoria): 1) *Brachionus plicatilis* Müll, 2) *Pedalia oxyure* Sernov; ნიჟარიანი კიბოებიდან (Ostracoda): 1) *Eucypris inflata* Saïs; ნიჩაბფეხიანებიდან (Copepoda): 1) *Diaptomus salinus* E. Daday, 2) *Wolterstorffia blanchardi* (Douve); ფოთოლფეხიანებიდან (Phillopoda) 1) *Artemia salina* (L). როგორც ორგანიზმთა სისტემატიკური შემადგენლობა გვიჩვენებს, კუკიის ტბა ღარიბი იყო ცოცხალ ორგანიზმთა სახეობებით.

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა ერთი წლის განმავლობაში სეზონის მიხედვით დაკვირვება გვეშარმოებინა კუკიის ტბის ორგანიზმთა სახეობრივი შედგენილობის ცვალებადობაზე და ყოველი ცალკეული სახეობის ეგზემპლართა მიახლოვებითს რაოდენობაც გამოგვერკვია ერთი კუბ. მეტრი წყლის მიმართ. მიახლოვებითი რაოდენობას აღვნიშნავთ იმდენად, რამდენადც არც ერთი დღემდე არსებული რაოდენობრივი აღრიცხვის მეთოდი არ გვაძლევს ორგანიზმთა ზუსტ რაოდენობრივ მაჩვენებლებს.

ჩვენ მიერ მიღებული მონაცემები ამტკიცებენ, რომ კუკიის ტბაში წლის სხვადასხვა სეზონში და თვეებში, სიცოცხლის პირობების ცვალებადობის შესაბამისად იდგილი ჰქონდა ორგანიზმთა სახეობითი შედგენილობის და თითოეული სახეობის ეგზემპლართა რაოდენობის შესაძლენე ცვლილებებს:

ზამთრის პირველ ორ თვეებში, შეიძლება ითქვას, ტბაში სიცოცხლე არ მცირდებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ დეკემბერში ჩვენ მიერ ტბაში ჟემჩინული იყო მხოლოდ ერთი სახეობა, სახელობრ *Pedalia oxyure*, ისიც არა მასობრივად (60 ეგზემპლარი 1 მ³ წყალში)¹, მაშინ როდესაც იანგირში არცერთი სახეობა ნახული არ ყოფილა.

როგორც ჩანს, დეკემბრის საკმაოდ ღაბალი ტემპერატურის პირობებს (9°C), მიუხედავად წყლის მარილთა კონცენტრაციის შედარებით ხელსაყრელი

¹ შემდგომში, შემოკლების მიზნით, ეგზემპლართა რაოდენობის გამოშახველი ციფრები
1 მ³ წყლის მიმართ იქნება ნაგულისხმევი.

ფარგლებისა ($80,6\%$), პალობიონტების უმეტესობა ვერ უძლებდა და იღებებოდა.

რა თქმა უნდა, იანვარში ტბის ტემპერატურული რეჟიმი კიდევ უფრო არახელსაყრელ ფარგლებში იყო წარმოდგენილი (7°C), რაც ზღუდავდა ორგანიზმთა განვითარებასა და არსებობას წყალსატევში.

სრულიად შეიცვალა სურათი თებერვალში; ამ თვეში იანვართან შედარებით, ტემპერატურის უმნიშვნელოდ მომატებამ (3°C) წყლის მარილთა კონცენტრაციის ($89,0\%$) მისაღებ ფარგლებთან ერთად ხელსაყრელი პირობები შექმნა ტბაში მთლიანი სახეობრივი შედგენილობიდან $50\%-ის$ არსებობისათვის; სახელდობრ, 9 სახეობიდან, რომელიც კუკიის ტბაში ამა თუ იმ პერიოდში გვხვდებოდა, 5 სახეობა ჩვენ მიერ შემჩნეული იყო თებერვლის თვის სინჯებში. ესენია: *Artemia salina* (ნაუპლიუსები), *Pedalia oxyure*, *Eucypris inflata*, *Wolterstorffia blanchardi* და *Fabrea salina* (იხ. ცხრ. № 2), მათ შორის პირველი, მეორე და მეოთხე ერთნაირად უმნიშვნელო რაოდენობით (ათ-ათი ეგზემპლარი), ხოლო მესამე სახეობა—*Eucypris inflata* 2-ჯერ უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე არტემიას ნაუპლიუსები და *Pedalia oxyure* ცალკ-ცალკე (ე. ი. 20 ეგზემპლარი); რაც შეეხება *Fabrea salina*-ს, ამ სახეობის ეგზემპლართა რაოდენობრივი აღრიცხვა ჩვენ არ გვიწარმოებია, მისი მიკროსკოპულობისა და რკვევის სპეციალური მეთოდიკის ჯერჯერობით არ არსებობის გამო. ასევე არ გვიწარმოებია ორი დანარჩენი მიკროსკოპული სახეობების (*Dunaliella salina*, *Asteromonas gracilis*) რაოდენობრივი აღრიცხვაც, და თუ მათ რაოდენობრიობაზე ზოგ შემთხვევაში გვექნება ლაპარაკი, ეს მხოლოდ სუბიექტური შეხედულებების მიხედვით. აქვე უნდა აღნიშნოთ ისიც, რომ დეკემბერსა და იანვარში შეგროვილ ნიმუშებში ჩვენ გვხვდებოდა ზოგიერთი სახეობის მკვდარი ეგზემპლარები, რომელთაც მარილიანი წყლის გავლენით სრულად შენარჩუნებული ჰქონდათ მთლიანობა და გაუხრწნელ მდგომარეობაში იყვნენ.

გაზაფხულზე, კერძოდ მარტში, ადგილი ჰქონდა ტბის წყლის ტემპერატურის შემდგომ მომატებას (15°C), ამავე დროს ამ თვეში ჩვენ მიერ მილაშე ტბების რაიონში შემჩნეული იყო საქმაოდ ძლიერი ქარები და ნალექების სიმცირე, რაც წყალსატევების წყლის დონის მნიშვნელოვან შემცირებას და მარილთა კონცენტრაციის ზრდას იწვევდა. მაგალითად, კუკიის ტბის წყლის მარილთა კონცენტრაციამ მარტის შუა რიცხვებისათვის 169% მიაღწია.

სწორედ ამ დროისათვის ტბაში არცერთ ფორმას არ გვხვდებოდით აქტიურ მდგომარეობაში. ნიმუშებში გვხვდებოდა მხოლოდ ამომწყდარი ეგზემპლარები. უნდა ვითიქროთ, რომ ორგანიზმთა მასობრივი ამოწყვეტა გამოწვეული იყო მარილთა მილალი კონცენტრაციით.

შემდეგში ადგილი ჰქონდა ზემოაღნიშნულ ფაქტორთა გავლენით წყლის გაძლიერებულ აორთქლებას და აპრილში ტბა სრულიად ამოშრა.

მაგრამ მაისში კუკიის ტბაში დასახელებული ფორმებისათვის განვითარების ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ამ დროს (24°C და 48%) მარილია-

ნობისას) ჩვენ მიერ აღებულ სინჯებში შემჩნეული იყო 8 სახეობა, ამასთან უკავშირდება თაღ, Artemia salina, რომელიც ისევ ნაუბლისების სტადიაზე გვხვდებოდა, აღწევდა 99 ეგზემპლარს. ასეთივე რაოდენობით იყო წარმოდგენილი მაისში Brachionus plicatilis, ხოლო Eucypris inflata შეაღენდა 11 ეგზემპლარს, Diaptomus salinus და Wolterstorffia blanchardi, კი—სამოც-სამოც ეგზემპლარს. ამავე თვეში შესამჩნევი რაოდენობით გვხვდებოდნენ Asteromonas gracilis, Dunaliella salina და Fabrea salina.

მაისში ტბის ორგანიზმთა შემადგენლობაში არ გვხვდებოდა მხოლოდ Pedalia oxyure. უნდა ვითქიქროთ, რომ ეს ფორმა სიცივის უფრო მოყვარულია და ამიტომ ტბაში გვხვდებოდა წლის შედარებით ცოდნილებში; იგი, როგორც ჩანს, კარგად ეგუება $8-10^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის ფარგლებს.

ზაფხულში, კერძოდ ივნისში (29°C და $80,5\%$), Pedalia oxyure ჩვენ არ გვხვდებოდა ტბის ორგანიზმთა შედგენილობაში, მაშინ როდესაც ყველა დანარჩენი 8 სახეობა ჩვენ მიერ ნახული იყო ივნისის სინჯებში, თუმცა მაისთან შედარებით საქმარისად შეიცვალა ცალკეულ სახეობათა სიხშირე, ზოგჯერ შესამჩნევ ფარგლებშიც კი.

ბაგალითად, Artemia salina ივნისში გვხვდებოდა მეტანაურლიუსის საფეხურზე, მაგრამ მათი რაოდენობა მაისთან შედარებით ნაკლები იყო (70 ეგზემპლარი). Brachionus plicatilis-მა განვითარების მაქსიმუმს მიაღწია (42204 ეგზემპლარი), ხოლო Diaptomus salinus და Wolterstorffia blanchardi წინა თვესთან შედარებით რაოდეობრივად $4-5$ -ჯერ შემცირდა (ცამეტ ცამეტი ეგზემპლარი), შესამჩნევი რაოდენობით გვხვდებოდნენ Dunaliella salina და Asteromonas gracilis.

ივლისში კვლავ არ იყო ტბაში სიცოცხლე მისი აქტიური ფორმით. ამ თვეში ჰაერისა ($35,5^{\circ}\text{C}$) და წყლის (34°C) ტემპერატურამ მაქსიმუმს მიაღწია, რამაც ისევ გამოიწვია წყლის ინტენსიური ორგენეტიკური და აგვისტოში ამოშრობა, რაც სექტემბრის ბოლომდე გრძელდებოდა.

გაძლიერებული აორთქლების გამო ივლისში კუკიის ტბის მარილთა კონცენტრაციამ $301,5\%$ მიაღწია, რამაც, როგორც ჩანს, გადაულიახავი დაბრკოლება შექმნა ცოცხალი ორგანიზმების აორგებობისათვის; ამ დროს მრავლად გხედებოდით ცხოველთა მქვდარ ეგზემპლარებს, რომლებიც, წყლის მაღალი კონცენტრაციის გამო, კარგად იყვნენ შენახული.

ცხრილი 2
ტბის ცხოველები

ორგანიზმთა დასახელება	თვეები	I	II	III	V	VI	VII	X	XI	XII
		—	—	—	99*	70**	—	—	—	—
1 Artemia salina		—	10*	—	99*	70**	—	—	—	—
2 Brachionus plicatilis		—	—	—	99	40204	—	9	1258	—
3 Pedalia oxyure		—	10	—	—	—	—	—	—	60
4 Eucypris inflata		—	20	—	22	25	—	9	39	—
5 Diaptomus salinus		—	—	—	60	13	—	109	—	—
6 Wolterstorffia blanchardi		—	10	—	60	13	—	9	—	—
7 Asteromonas gracilis		—	—	—	+	+	—	#	#	—
8 Dunaliella salina		—	—	—	+	+	—	#	#	—
9 Fabrea salina		—	+	—	+	+	—	#	#	—

პირობითი ნიშნები: ციფრები აღნიშნავს ორგანიზმთა რაოდენობას 1 მ³ წყალში; [* = ნაუპლიუსები; **] მეტანუპლიუსები; — ტბაში არ გვხვდებან; + გვხვდებან საქმაო რაოდენობით (შესამჩნევი რაოდენობა); # გვხვდებან ერთეული ეგზემპლარებით.

შემოდგომაზე, ოქტომბერში (18°C და $62,40\%$), ტბაში ხელახლა იღვიძებს სიცოცხლე. ამ დროს მცირე რაოდენობით (9 ეგზემპლარი) აღრიცხულ იქნა Brachionus plicatilis, მაგრამ განვითარების მაქსიმუმს აღწევს Diaptomus salinus (109 ეგზემპლარი); ერთეული რაოდენობით გვხვდებოდნენ: Asteromonas gracilis, Dunaliella salina და Fabrea salina. ნოემბერში ტბის ორგანიზმთა შედეგნილობაში ისეთივე რაოდენობით გვხვდებოდა უკანასკნელი სამი სახეობა, მაგრამ წლის მანძილზე განვითარების მეორე მაქსიმუმს აღწევს Brachionus plicatilis (1258 ეგზემპლარი), თუმცა მათი რაოდენობა ჩამორჩება ივნისის მაქსიმუმს. Eucypris inflata აგრეთვე თავის განვითარების მაქსიმუმს აღწევს (39 ეგზემპლარი), მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ მისი რაოდენობა განსაზღვრულ ფარგლებშია მოქცეული.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კუკის ტბის პილოლოგიური რეჟიმის ცვლილებები წლის სხვადასხვა სეზონში იწვევს მასში დასახლებულ ორგანიზმთა სახეობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს. ამავე დროს ტბის პილოლოგიური განსაციფრებელი უნარი აქვთ გარემოს ცვლილებებთან შესაგუებლად, რაც, პირველ ყოვლისა, მათ სწრაფ განვითარებასა და გამრავლებაში გამოიხატება.

კუკის განსაზღვრულ რეგისტრაცია მოქმედ ეკოლოგიურ-სისხემაზე მიმოხილვა

შოლტოსნების წარმომადგენლები Dunaliella salina და Asteromonas gracilis თითქმის ყველა მარილიანი წყალსატევისთვისაა დამახასიათებელი.

ეს ფორმები აღნიშნულია ელტონისა [10] და მრგვალი ყურის [8] მოაშე
ტბებისათვის. საქართველოს მარილიანი ტბებიდან ისინი აღნიშნულია რის [1] და ილლუნიანის ტბებასათვის.

Dunaliella salina-ს ვალური ფორმის შოლტოსანია, რომელიც ნარინჯის-
ფერი შეფერადებით ხასიათდება. ლიტერატურული ცნობების მიხედვით [9]
Dunaliella salina-ს ნარინჯისფერი შეფერადება გამოწვეულია მის სხეულში
პიგმენტ ლიბოქრომის არსებობით. სხეულის წინა მხარეზე მას ორი გრძელი
და წვრილი შოლტი მოეპოვება.

ო. ბურჭულაძე აღნიშნავს, რომ დუნალიელას მასობრივი გამრავლება
ილლუნიანის ტბაში იწყება გაზაფხულზე და იწვევს ტბის ნარინჯისფრიდ
შეფერადებას, ასეთივე მოვლენა უფრო ადრე შემჩნეული იყო ერმაკოვის [9]
მიერ ელტონისა და ბასკუნჩაკის ტბებზე.

კუკის ტბაში *Dunaliella salina*-ს მასობრივ გამრავლებას აღგილი არ
ჰქონია, ამიტომ ტბის ნარინჯისფერი შეფერადებაც ჩვენ მიერ შემჩნეული არ
ყოფილა.

პირველად მლაშე ტბების შეფერადებას აკვირდებოდა ისაჩენკო (1919წ.).
ამის შემდეგ მიეცა საშუალება ერმაკოვს, შეესწიო გლა მარილიანი ტბების შე-
ფერადება, რომელიც ფაქტიურად *Dunaliella salina*-ს მასობრივი გამრავლე-
ბით იყო გამოწვეული.

შოლტიანების მეორე წარმომაღენელი *Asteromonas gracilis* გაცილებით
მცირე ზომის არის, ვიდრე *Dunaliella salina*. *Asteromonas gracilis* მწვანე-
ფერის ორშოლტიანი ფორმაა. იგი კუკის ტბაში შესამჩნევი რაოდენობით გვხვ-
დებოდა გაზაფხულზე, ხოლო შედარებით მცირე რაოდენობით—შემოდგომაზე.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ორივე ეს შოლტოსანი დიდი
ეკოლოგიური ვალენტოვნებით ხასიათდება. ერმაკოვის [9] აზრით ისინი
Artemia salina-ს ძირითად საკვებს წარმოადგენენ.

Fabrea salina Henn. ეს ინფუზორია, როგორც მისი სახელწოდება გვი-
ჩვენებს მარილიანი წყალსატევებისათვისაა დამახასიათებელი. ამაზე მიუთითებს
გაეცსააც [7], მაგრამ ჩვენ ხელთ არსებულ ლიტერატურულ წყაროებში
მისი გაფრცელების შესახებ ცნობები ვერ ვნახეთ. ყოველ შემთხვევაში იგი
საქართვილოს მლაშე წყალსატევებისათვის ჯერჯერობით აღნიშნული არ
არის.

აღნიშნული ინფუზორია ჩვენ მიერ შემჩნეულია კუკის ტბის ორგანიზმთა
შედეგნილობაში საკმაო რაოდენობით თებერვალში, მაისსა და ივნისში, ხოლო
ოქტომბერსა და ნოემბერში—ერთეული ეგზემპლარებით.

იგი კარგად ეგუება წყალსატევის ტემპერატურისა და მარილიანობის
კონცენტრაციის ცვალებადობას; თებერვალში კარგად გრძნობს თავს 10°C
და $89,0\%$ კონცენტრაციის პირობებში; ასევე მაისში და ივნისში იგი ეგუება-
ტემპერატურის მერყეობას $24-29^{\circ}\text{C}$, ხოლო მარილიანობის მერყეობას $48,1-80,5\%$ ფარგლებში, აქედან შეიძლება დაგასკვნათ, რომ *Fabrea salina* არის,
როგორც ევრიპალინური ისე ევრითერმებული ფორმა.

გავესკაიას [7] მიხედვით გვარი *Fabrea* ერთადერთი სახეობით — *F. salina*-თი არის წარმოდგენილი. მას მსხლისებური ფორმა აქტუალური დაკვირვებით *F. salina* სხეულის ფორმას არ იცვლის 4%, ფორმალინს მოქმედებითაც კი, წყალში მოძრაობს სწრაფად, ახასიათებს მარჯვნიდან მარცხნივ ტრიალით მოძრაობა, რომელსაც იგი ახორციელებს წამჭამების მოქმედებით. მისი სხეულის წინა ნაწილის გრძელი წამჭამები განუწყვეტლივ მოძრაობაში იმყოფებიან.

Brachionus plicatilis Müll. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით *Brachionus plicatilis* იღნიშნულია: მრგვალი ყურის მლაშე ტბაში [8], ელტონისა და ბასკუნჩაკის ტბებში [10], ამავე დროს აკლაბრის [1], იღლუნიანის და მუხროვანის ტბებისათვის. კუკის ტბაში ეს სახეობა გვხვდებოდა: მასში, ინისში, ოქტომბერში და ნოემბერში. მისი მასობრივი გამრავლება ჩვენ მიერ შემჩნეული იყო ინისა და ნოემბერში. იგი კარგად იტანდა კუკის ტბაში ტემპერატურის ($17-24^{\circ}\text{C}$) და მარილთა კონცენტრაციის ($62,4-80,5\%$) მერყეობას.

არახელსაყრელი პირობების დადგომისას. სახელდობრ ტბის ამოშრობისას, ბრახიონუსი მკვრივ გარსს იკეთებს, ხოლო ხელსაყრელ პირობებში ისევ იწყებენ გამოცოცხლებას. ნეიტრალური უადინას [15] მიხედვით ეს ფორმა 40 თვის განმავლობაში იმყოფებოდა გამომშრალ მდგომარეობაში, მაგრამ ხელსაყრელი პირობების დადგომისას ისევ გამოცოცხლდნენ.

Pedalia oxyure Sernow. *Pedalia oxyure* მარილიანი წყალსატევების ტიპობრივი დამახასიათებელი ფორმა, მაგრამ საქართველოს მარილიანი ტბებისათვის იგი ჯერჯერობით ღინიშნული არ ყოფილა.

კუკის ტბაში ჩვენ მიერ ნახული იყო მხოლოდ დეკიმბერსა და თებერვალში, მაგრამ ღიკებერში უფრო მეტი რაოდენობით, გიდრე თებერვალში.

Eucypris inflata G. O. Sars. *Eucypris inflata* ჩვენ მიერ ნახული იყო როგორც მდედრები, ისე მამრები. მამრები 1 მმ აღწევდა, ხოლო მდედრები — 1,1—1,2 მმ-დე. ნიუარიანი კიბოების რიგიდან *Eucypris inflata* მარილიანი წყალსატევების ტიპობრივი მობინადრეა. იგი საბჭოთა კავშირში ნახულია ტბა ჯერსორში (მდედრ.), ბუსკულის და აიდაის მარილიან ტბებში (მდედრ.), კინბურნის მარილიან ტბებში და კასპიის ზღვის მახლობელ მარილიან წყალსატევებში; თბილისის ახლოს Klie-ს მიერ ნაპოვნია როგორც მდედრები, ისე მამრები, საქართველოს მარილიანი ტბებიდან იგი აღნიშნულია: მუხროვანის, ავლაბრის [1] და იღლუნიანის ტბებში.

ბრონშტეინის [6] მონაცემებით, ეს კიბო კარგად იტანს მარილთა კონცენტრაციის მერყეობას. მისივე აზრით, არსებობს ამ კიბოს ორი რასა, რომელთაგან ერთი მრავლდება პარონოვენეზულად და დამახასიათებელია ჩრდილოეთისათვის. ნაუბლიუსი ბრონშტეინის მიხედვით სქესმწიფე ფორმას დაახლოებით 5—6 თვეში აღწევს. ხელსაყრელ პირობებში *Eucypris inflata* მრავლდება მასობრივად; დაგოვევას აღწერილი აქვს ამ ფორმის დიდი რაოდენობით გამრავლება მრგვალი ყურის ტბაში. კუკის ტბაში *Eucypris inflata* დიდი რაოდენობით არ გვხვდებოდა. აკვარიუმში *E. inflata*-ს კვერცხების

განვითარება წარმოებდა 16°C ტემპერატურის და $33\%_{\text{air}}$ კონცენტრაციის
პირობებში. მასობრივი გამრავლება იწყებოდა 20°C -ზე.

კუკიძის ტბაში *E. inflata* ჩვენ მიერ ნახული იყო თებერვალში, მაისში, ივნისში, ოქტომბერსა და ნოემბერში. იგი ეგუება ტემპერატურისა და მარილიანობის მერყეობის მნიშვნელოვან ფარგლებს.

Diaptomus salinus E. Daday. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით
Diaptomus salinus დამახასიათებელია მომლაშო და მლაშე წყალსატევებისა-
თვის. ერმაკოვის [10] დაკვირვებით, მისი მასობრივი გამრავლება წარმოებს
მაშინ, როდესაც ცყლის მრიილანობა აღწევს 2° (ბომეთი).

გართალია, ეს სახეობა პალობიონტია, მაგრამ მთელ რიგ შემოხვევაში იგი მტკნარ წყალშიც ცხოვრობს. რილოვის [16] მიხედვით ეს კიბო გრჩმანის ზოგიერთ ტბაში მთელი წლის განმავლობაში მოიპოვება მასობრივი რაოდენობით.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით *Diaptomus salinus* კარგად ეგუება შედარებით დაბალ ტემპერატურას. აღწერილია შემთხვევა, როდესაც იგი უნახავთ ზამთარში ყინულის ქვეშ ხარჯოვის მიღამოების მარილიან წყალ-სატემპერატურო მდგრადი.

კუპის ტბაში ღიანგრომეული ყველაზე მეტი რაოდენობით ჩვენ მიერ შემჩნეული იყო მხოლოდ ოქტომბერში— $+18^{\circ}\text{C}$ ტემპერატურისა და $62,4\%$ ჰონცვანტრაციის პირობებში.

ლაბორატორიულ პირობებში *Diaptomus salinus* კვერცხების განვითარება მოხდა 17°C ტემპერატურის და $33^{\circ}/\text{m}$ კონცენტრაციის პირობებში..

ჩვენში *Diaptomus salinus* პირველად ნაპოვნი იყო Wan-Douwe ს მიერ 1905 წელს კუკიისა და კუს ტბაში; ფაზაევის მიერ—1925 წელს ობილისის მახლობელ მარილიან ჭყალსატევებში, ისევე რილოვის მიერ—1928 წელს კუს ტბაში. სმირნოვის მიერ 1928 წ. ლისის და კუს ტბებში. ავლაბრის ტბაში აღნიშნულია იგი კუტუბიძის [1] მიერ, ილღუნიანის ტბაში—ბურჭულაძის მიერ, ხოლო მუხრანვანის ტბაში—სტ. დიდმანიძის მიერ.

Wolterstorffia blanchardi (Douve). ნიჩაბფეხიანი კიბოების მეორე წარმომადგენელი კუკიის ტბაში არის *Wolterstorffia blanchardi*. ეს კიბი დამახასიათებელია ხმელეთის მარილიან წყალსატევებისათვის. ბორცუმების [4] მიხედვით იგი ზღვის ტიპობრივი ფორმა არის.

საბჭოთა კავშირში ნახულია მთელ რიგ მარილიან წყალსატევებში, მაგალითად, ზავი ზღვის სანაპიროს ყურეებში იგი ნაპოვნი იყო შმანკვერის მიერ 1875 წელს, ბუჩინსკის მიერ—იქვე 1885, 1900 წლებში, ელტონისა და ბასკუნჩავის ტბებში—ბორუცკის, მედვედევას და ბენინგის მიერ 1926 წელს; ჩუგუნოვის მიერ—კასპიის სამხრეთ ნაწილის მარილიან წყლებში, ხოლო სარსის მიერ—კასპიის ზღვაში. იგი აღნიშნულია აგრეთვე ვეისოვისა და ბუხარის მარილიან წყალსატევებში Wan-Dauwe-ს მიერ 1905 წელს, ხოლო 1906 წელს არაორის ზღვაში—მეისნერის მიერ.

დასავლეთ კომბინისათვის იგი შენიშვნულია კასკარის მარილიან ტბაში (რომელიც შედის ბურლას ტბების სისტემაში), ომსკის ტბებში—ლეპიოშინის მიერ 1900—1901 წლებში, ტენიზის მღამე ტბაში—სარსეს მიერ 1903 წელს.

საქართველოში პირველად ეს სახეობა 1905 წელს ნახა *Wan-Douwe*-მ კუკის მარილიან წყალსატევში. იგი ნახულია აგრეთვე ავლაბრის ცალის და მუხროვანის ტებებში,

კუკის ტბაში ჩვენ მიერ შემჩნეული იყო: თებერვალში, მაისში, ივნისსა და ოქტომბერში. ამ ხნის განმავლობაში ტემპერატურა იცვლებოდა $+10^{\circ}\text{C}$ — $+29^{\circ}\text{C}$ -მდე ხოლო მარილთა კონცენტრაცია $48,1$ — $89,0\%$ -მდე, ყველა ამ მონაცემის მიხედვით შევვიძლია ვთქვათ, რომ *Wolterstorffia blanchardi* კარგად იტანს ტემპერატურისა და კონცენტრაციის მერყეობის მნიშვნელოვან ფარგლებს.

Artemia salina (L.). ფოთოლფეხიანი კიბოებიდან ეს სახეობა გავრცელებულია თითქმის ყველა მდლაშე წყალსატევში, იგი ითვლება კოსმობრლიტურ ფორმად და გვხვდება იქ, სადაც მას არსებობისათვის ხელსაყრელი პირობები ექმნება.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით გავრცელებულია: სამხრეთისა და ხერსონის წყალსატევებში, ასტრახანში, დასავლეთ კიბიძირის ოლქსა და თურქმენეთის ჩხარეში [14]. ივანოვის [11] მიხედვით, არტემია გავრცელებულია ყაზახეთში, ზუა აზიაში და ამიერკავკასიაში. საქართველოში გვხვდება: ავლაბრის [1], ილღუნიანის და მუხროვანის ტებებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს ფორმა აღნიშნული იყო 4525 მეტრზე ზღვის დონიდან ტიბეტში.

ზიბოლდი [5] აწარმოებდა ექსპერიმენტს არტემიების პაროგნოგენეზულ გამრავლებაზე, ხოლო ვ. შმანკევიჩი აკვირდებოდა ამ ფორმაზე მარილთა სხაადასხვა კონცენტრაციის ზეგავლენას. მან ამ ცდებით 1873 წელს დაასაბუთა გარემოს ზემოქმედების როლი ცოცხალი ორგანიზმების ცვალებადობაზე. შმანკევიჩი მარილთა კონცენტრაციის თანდათანობითი შემცირებით არტემიისაგან მიიღო ფორმა, რომელიც ძლიერ უახლოვდებოდა მტკნარი წყლის ფოთოლფეხიანების ერთ-ერთ გვარს—*Branchipus*-ს. კონცენტრაციის თანდათანობითი მომატებით კი *Artemia salina* ისე შეიცვალა, რომ დაემსგავსა *A. arietina*-ს, ხოლო კონცენტრაციის კადევ გაზრდით *A. mihausenii*-ს. სხვადასხვა კონცენტრაციის მიერ გამოწვეული ცვლილებები არტემიას განსაკუთრებით კარგად ეტყობა გარეგნულად. მაგ., კონცენტრაციის თანდათანობით შემცირებისას ფურკალური დანამატების სიგრძე გაცილებით დიდია.

კუკის ტბიდან ჩვენ მიერ აღებულ სინჯებში გვხვდებოდნენ მხოლოდ მამრები.

Artemia salina-ს გამრავლება ხელსაყრელ პირობებში დიდი სისწრაფით მიმდინარეობს. შმანკევიჩის მოცემული აქვს ერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც არტემიები ისე მასობრივად გამრავლებულან, რომ მათი გვამებისაგან ტბის ნაპირზე საკმაოდ დიდი გროვა დამდგარა.

კუკის ტბაში არტემიას ეგზემპლარები საერთოდ მცირე რაოდენობით შოიპოვებოდა, მაშინ როდესაც კვერცხები ყოველ თვეში დიდი რაოდენობით იყრებოდა. ნაუპლიუსები იჩეკებოდა, მაგრამ მათი განვითარება მხოლოდ ვანსაზღვრულ პირობებში მიმდინარეობდა.

დასკვნა



1. კუკიის ტბა სამგორის სარწყავი სისტემის ტერიტორიაზე მდებარეობდა. სარწყავი არხის ამჟღავნების შემდეგ იგი „თბილისის ზღვით“ დაიფარა. კუკიის ტბის ორგანიზმების სახეობრივი შედგენილობისა და სიცოცხლის პირობების ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს „თბილისის ზღვის“ ბიოცენოზის წარმოშობის ზუსტიდ შესწავლისათვის.

